



MES 5 21 0000318492



02/04/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 19.03.2021

სხდომის დაწყების დრო: 15:02 სთ

სხდომის დასრულების დრო: 23:00სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი I, II საკითხები

სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე III, IV, V საკითხები

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ელენე ჟურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

- ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- 8. ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
- 9. ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
- 10. გიორგი დაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- 11. დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
- 12. დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
- 13. ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
- 14. თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- 15. თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
- 16. მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
- 17. ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
 წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	თამთა ანთიძე	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ანი ბილანიშვილი	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
4	ნინო გულიაშვილი	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	თეა კორძაძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
2	აკაკი ძნელაძე		საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის	I

			„კომპიუტერული მეცნიერებების“ ხელმძღვანელი	
3	აკაკი გირგვლიანი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერებების“ ხელმძღვანელი	I
4	გიორგი ჭიჭინაძე		ბიბლიოთეკის დირექტორი	I
5	გიორგი ჩაჩუა		აწსუ-ის ფაბლაბის მენეჯერი	I
6	პაატა გერაძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
7	ომარ კიკვიძე		საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი	II
8	თეიმურაზ კოჩაძე		სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო - ლოჯისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის“ პროგრამის ხელმძღვანელი	II
9	რომანი მამულაძე		სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო - ლოჯისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის“ პროგრამის ხელმძღვანელი	II
10	საფფეთ ბაირაქეთუანი		რექტორი	III
11	თეა კბილცეცხლაშვილი	რექტორის მოადგილე, პროფესორი	III	
12	ილია ბოცვაძე	ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	III	
13	ნინო ჯოჯუა	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	III	
14	ირაკლი როდონაია	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	III	
15	ხათუნა ელბაქიძე	პროგრამის თანახელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	III	
16	ბესიკ დუნდუა		III	

		შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	პროგრამის თანახელმძღვანელი, პროფესორი	
17	ვახტანგ როდონაია		აფილირებული ასოცირებული	III
18	მზია კიკნაძე		მოწვეული პროფესორი	III
19	გელა პატარაია		მოწვეული პროფესორი	III
20	მიხეილ რუხაია		ასოცირებული პროფესორი	III
21	მერაბ ხალვაში		რექტორი, ასოცირებული პროფესორი	IV
22	ირაკლი კორძაია		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი	IV
23	თეა ქოიავა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
24	ნატო ზოსიძე		პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	IV
25	ნერიმან ცინცაძე		პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	IV
26	ვაჟა ვარდიძე		რექტორი	V
27	დომიტრი გეგენავა		ვიცე-რექტორი	V
28	ნინო ქათამაძე		ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი	V
29	ნინო წიქვაძე		ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი	V
30	ეკა დარბაიძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	V
31	ირაკლი ჯავახიშვილი		აკადემიური პერსონალი	V

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონ ულსაშუალებით მონაწ ილეობის შესახებ	საკითხი
1	ნანა დიხამინჯია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	თინათინ დავითაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მარიამ ზანგალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ცოტნე ცაავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	მანანა მოისწრაფიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ვალერი ჯაჯანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ლაშა ლალიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	გიორგი დათუკიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ზურაბ ბოსიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

11	ბაქარ დუაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	ელისო მურვანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	ნანა მაჭარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:02 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

- 1.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 2.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო - ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 3.შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 4.სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 5.შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

- 1.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 2.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო - ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 3.შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 4.სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5.შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.09.2011, გადაწყვეტილება №49
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0613
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქ. №59, ქუთაისი, კორპუსი 3, 4600, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა დიხამინჯიამ განმარტა, რომ პროგრამა გადიოდა რეაკრედიტაციაზე, ვიზიტი ჩატარდა ძალიან კარგად, დაწესებულებამ ექსპერტებს გააცნო ყველა დეტალი.

„კომპიუტერული მეცნიერებების“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, დასაზუსტებელი იყო პროგრამის მიზნები და ერთ-ერთი კონცენტრაციის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ სწავლის შედეგები. რეკომენდაციის გაცემის შემდეგ, დაზუსტდა პროგრამის მიზნები, კონცენტრაცია „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ შეიცვალა და საგნების განლაგება, ისე, როგორც რეკომენდაციაში იყო გაწერილი;

მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, გასასწორებელი იყო საგნების წინაპირობები, ზოგიერთ საგანში ლიტერატურა იყო გასაახლებელი/შესაცვლელი, რადგან გარკვეული რაოდენობით რუსულენოვანი ლიტერატურა იყო მითითებული. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაციები გაითვალისწინა, ექსპერტებს რეკომენდაციაში გაწერილი იყო - „შეიცვალოს კონცენტრაციის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ შინაარსი და შესაბამისი სასწავლო კურსები“, რომელიც დაწესებულებამ გაითვალისწინა.

მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ექსპერტებს ჰქონდათ პრობლემა ბიბლიოთეკაში ლიტერატურის მოძიების, რასაც დაწესებულება არ დაეთანხმა და რთულია აღნიშნული საკითხის დისტანციურად გადამოწმება;

მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, სწორედ იმიტომ, რომ ლიტერატურასთან დაკავშირებული პრობლემები აღმოჩნდა ისეთი, რომელთა აღმოჩენა შესაძლებელი იყო ხარისხის კუთხით, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით გასაძლიერებელია ხარისხის შიდა მექანიზმების პრაქტიკული განხორციელება, რადგან თვითონ მექანიზმები კარგად არის გაწერილი, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა მისი კარგად განხორციელება და სასურველია გარე შეფასებაში მეტი პრაქტიკოსი სპეციალისტი ჩაერთოს, რადგან

უნივერსიტეტს ჰქონდა გარე ხარისხის შეფასება, რომელიც გაცემული იყო ერთ-ერთი უნივერსიტეტის პროფესორის მიერ, მაგრამ უკეთესი იქნება მეტი პრაქტიკოსი სპეციალისტის ჩართულობა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დეტალურად არ წაიკითხა რეკომენდაციები, რადგან მათი უმეტესობა დაწესებულებამ უკვე გაითვალისწინა. მან განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ძალიან კარგი მატერიალური რესურსი, საუკეთესო პრაქტიკად გამოყვეს ფაბლაბის მუშაობა, რომელიც ახორციელებს ბევრ საინტერესო პროექტს და სტუდენტებს აძლევს საშუალებას, განვიითარონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და შექმნან იდეების პროტოტიპები.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით განსახილველ პროგრამას აქვს ძალიან კარგი პოტენციალი რეგიონში, რომ ინფორმატიკის კუთხით გაზარდოს კარგი სპეციალისტები, აღსანიშნავია ისიც, რომ ვიზიტის დროს გამოვლინდა ადგილობრივი კომპანიების დიდი ჩართულობა, რაც ნიშნავს იმას, რომ პროგრამა თანამშრომლობს ადგილობრივ კომპანიებთან დასაქმებისა და სხვადასხვა პროექტების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, ექსპერტებსა და ცენტრს პროგრამის განხილვისათვის. მან განაცხადა, რომ დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა რამდენიმე რეკომენდაცია, რაც ექსპერტებმა ასახეს საბოლოო დასკვნაში, რისთვისაც ასევე მადლობა გადაუხადა მათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განსახილველი პროგრამა უნივერსიტეტში ხორციელდება 2006 წლიდან, მსგავსი პროგრამა ხორციელდებოდა უნივერსიტეტების გაერთიანებამდე, ჯერ კიდევ ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში 2000 წლიდან და 2011 წლიდან პროგრამამ პირველად გაიარა აკრედიტაცია. პროგრამა მოთხოვნადია, აღსანიშნავია ისიც, რომ 2019-2020 წლებში 2 სემესტრის განმავლობაში აღნიშნულ პროგრამაზე სწავლობდა უცხოელი სტუდენტიც. აკადემიური პერსონალი და სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი Erasmus+ გაცვლით პროექტებში და 2011-2014 წლებში თავად იყო Volkswagen-ის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ჩაშენებული სისტემების სწავლება საქართველოში“ კოორდინატორი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა პერსონალი კაიზერსლაუტენის ტექნიკურ უნივერსიტეტში და შეიქმნა ჩაშენებული სისტემების ორი ლაბორატორია.

პროგრამის ხელმძღვანელი, აკაკი ძნელაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პროგრამის განხილვისა და სასარგებლო რეკომენდაციებისათვის და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის შემდეგ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებიდან აღსანიშნავია 2013 წელს მომხდარი ცვლილება, რომლის შედეგადაც პროგრამას დაემატა არჩევითი კონცენტრაცია „ჩაშენებული სისტემები“, რომელიც გერმანიის ქალაქ კაიზერსლაუტენის ტექნიკური უნივერსიტეტის ხელშეწყობით, პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესში გათვალისწინებული იქნა სტუდენტების, დამსაქმებლების, წარმატებით დასაქმებული კურსდამთავრებულებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოსაზრებები, შეცვალეს გარკვეული მიმართულებები, კერძოდ შემოიტანეს 6 სავალდებულო და 15 არჩევითი სასწავლო კურსი, ინგლისური ენის სწავლება გახდა სავალდებულო, პროგრამა ითვალისწინებს ინგლისური ენის სამ სემესტრიან კურსს - კვირაში 4 საათი, მეოთხე სემესტრში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ დარგობრივი ინგლისური. პროგრამას აქვს სამი არჩევითი კონცენტრაცია და უნდა აღნიშნოს, რომ არჩევითი კონცენტრაცია - „ჩაშენებული სისტემები“ სტუდენტებს, სურვილის შემთხვევაში საშუალებას აძლევს შეისწავლონ ინგლისურ ენაზე. ასევე აქვთ პროფესიული პრაქტიკის კურსი და თავისუფალი კომპონენტი. განაახლეს ძირითადი ლიტერატურა, გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გერმანიის, კაიზერსლაუტენის ტექნიკურ

უნივერსიტეტთან, რომლის მიხედვითაც ახორციელებენ „ჩაშენებული სისტემების“ კონცენტრაციას. აღნიშნულ უნივერსიტეტში დაწესებულების ორი თანამშრომელი კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებით იმყოფებოდა 6 თვის განმავლობაში, ასევე, უნივერსიტეტის ფინანსური დახმარების შედეგად განსახილველი პროგრამის განხორციელებისათვის მოეწყო ორი თანამედროვე ლაბორატორია. მემორანდუმი აქვთ გაფორმებული საფრანგეთის ქალაქ რენეს უნივერსიტეტთან, სადაც იმყოფებოდა დაწესებულების პროფესორი და წაიკითხა ლექციები, ასევე აღნიშნული უნივერსიტეტიდან მათთან იყო პროფესორი, რომელმაც სტუდენტებს წაუკითხა ლექციები. დაწესებულება 2 წელიწადში ერთხელ ატარებს საერთაშორისო კონფერენციას, უკვე ჩატარებულია 8 კონფერენცია, რომლებშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ამაცობს მათი კურსდამთავრებულებითა და მათი პროფესიული წარმატებით, რომლებიც მუშაობენ პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიებში, ბანკებში, საკომუნიკაციო კომპანიებში, სამინისტროებში, იუსტიციის სახლებში, უნივერსიტეტებში, სკოლებსა და სხვა ორგანიზაციებში. რამდენიმე კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელა გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის უნივერსიტეტებში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ მოუწოდა პროგრამის ხელმძღვანელს ესაუბრა რეკომენდაციებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრები გაეცნენ ყველა დოკუმენტს, დაწესებულების წარმომადგენლებს შეეძლოთ ესაუბრათ იმ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომლებსაც დაწესებულება არ იზიარებს და აქვთ საკუთარი პოზიცია, თუ არის ასეთი რეკომენდაციები.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულება არ იზიარებენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რამდენიმე რეკომენდაციას. კერძოდ, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება ლიტერატურას, რომელსაც დაწესებულება არ იზიარებს, რადგან მათ ბიბლიოთეკაში ყველა ლიტერატურა იძებნება და სტუდენტს არ გამოუთქვამს პრეტენზია ლიტერატურის ვერ მოძებნასთან დაკავშირებით.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით „განისაზღვროს ინგლისური, როგორც სავალდებულო უცხო ენა პროგრამაზე დაშვებისთვის“ განმარტა, რომ დაწესებულება თავს იკავებს აღნიშნული შეზღუდვის დაწესებისგან, რადგან არ შეზღუდონ ის სტუდენტები, რომელთაც არ იციან ინგლისური ენა.

დანარჩენ რეკომენდაციებთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ ძალიან სასარგებლო იყო პროგრამის განვითარებისათვის და დაწესებულება აპირებს მათ გათვალისწინებას, თუმცა მათი უმეტესობა უკვე გათვალისწინებულია.

15:15 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნინო ინასარიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ განაცხადა, რომ საბჭო არ არის უფლებამოსილი მხედველობაში მიიღოს დასკვნის შემდგომ ინსტიტუციის მიერ განხორციელებული ქმედებები არსებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ნინო ჭალაგანიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ მოინიშნა რამდენიმე კითხვა, რომლებსაც ინსტიტუციაც დაუბრუნდა თუმცა პასუხი მაინც ვერ მიიღო.

პირველ რიგში ექსპერტის ნათქვამიდან გამომდინარე დაინტერესდა თუ რა სირთულე შეიძლება იყოს წიგნების დისტანციურად გამოყენებასთან დაკავშირებით, როდესაც პანდემიის პერიოდი გადაიტანეს და ყველა იძულებული იყო დისტანციურად ემუშავათ, რათა

სტუდენტებისთვის მიეცათ წვდომის საშუალება იმ აბსოლუტურ ლიტერატურაზე, რომელიც ბიბლიოთეკაშია განთავსებული და რატომ არის ამის გადამოწმება რთული, არის თუ არა შესაძლებელი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა დიხამინჯიამ განაცხადა, რომ ზოგიერთი წიგნი, რომელიც ექსპერტებმა დაასახელეს ვერ მოიძებნა და აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკის დათვალიერება განხორციელდა დისტანციურად.

საბჭოს წევრი, ნინო ჭალაგანიძე დაინტერესდა ექსპერტებმა თვითონ თუ მოძებნეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა დიხამინჯიამ განმარტა რომ, ექსპერტთა ჯგუფის წევრები ვერ მოძებნიან, რადგან ვიზიტი ჩატარდა დისტანციურად.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ იკითხა არის თუ არა შეუძლებელი წიგნის მოძებნა დისტანციურად, სწორედ ეს იყო მისი კითხვაც.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სტუდენტს აქვს წვდომა, რასაც ექსპერტთა ჯგუფი ვერ მოთხოვს დაწესებულებას, რომ ჰქონდეთ ღია წვდომა.

საბჭოს წევრმა დააზუსტა ჰქონდათ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შემოწმებისთვის წვდომის საშუალება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ასე არ ხდება დისტანციური შეფასების დროს.

საბჭოს წევრის, ნინო ჭალაგანიძის თქმით თავისი გამოცდილებით ექსპერტებს ყოველთვის უქმნიდნენ პირობებს, რომ სტუდენტის ხედვაც დაენახათ და ჰქონოდათ დაზუსტებული ინფორმაცია სტუდენტების მხრიდან ლიტერატურაზე წვდომის შესახებ.

ასევე, ექსპერტმა ახსენა, რომ დაწესებულებას ჰყავს ბევრი დამსაქმებელი და აქვს კარგი ურთიერთობა მათთან, თუმცა დოკუმენტაციაში წარდგენილია ურთიერთანამშრომლობის მხოლოდ ოთხი მემორანდუმი და ბაზრის კვლევაშიც გამოკითხულია მხოლოდ ოთხი დამსაქმებელი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რამდენად რელევანტური და საკმარისია ოთხი დამსაქმებლისგან მიღებული ინფორმაცია, როდესაც დაწესებულება ამბობს, რომ მათი სტუდენტები არიან კონკურენტუნარიანები. რატომ არ გამოიკითხეს უფრო მეტი, რატომ არ განახორციელეს ბაზრის კვლევა უფრო მარტო მასშტაბით, მითუმეტეს, განსახილველი სპეციალობა ხელს უწყობს დაწესებულებას უფრო ფართო მასშტაბიანი კვლევა ჩატარებინა.

საბჭოს წევრმა გაიხსენა ექსპერტის მიერ ნათქვამი ფრაზა, რომ დაწესებულებას აქვს ერთი გარე შეფასება, თუმცა სასურველია მეტი გარე შეფასების ჩატარება, ესეც ადგილობრივია, მათი ფანტასტიკური, ინტერნაციონალური სპეციალობიდან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლებს უფიქრიათ თუ არა, რომ გაეფართოებინათ საზღვრები და უცხოელი ექსპერტებისგანაც ჰქონოდათ მხარდაჭერის წერილები იმასთან დაკავშირებით რასაც ასწავლიან.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხვა მრავალ დოკუმენტთან ერთად გაეცნო შრომის ბაზრის კვლევასაც და დაინტერესდა რამდენად წარმომადგენლობითია კვლევაში მონაწილე ოთხი ორგანიზაცია და რამდენად ვალიდურია კვლევა პროფესიასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, გიორგი ლაღანიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ მას კვლევის ვალიდურობასთან დაკავშირებით კითხვა არ აქვს, რადგან ოთხი ორგანიზაციის კვლევა თავისთავად არა რის ვალიდური. მისი კითხვა მიმართული იყო ექსპერტებისკენ, რომ როდესაც ნახეს აღნიშნული შრომის ბაზრის კვლევა, რატომ არ გააკეთეს მინიშნება, ჩათვალეს თუ არა ვალიდურად.

მან მიმართა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რომ ბიუჯეტის დოკუმენტები გაესწორებინათ, რადგან აღნიშნული ბიუჯეტიდან არაფერი ჩანს, მაგრამ იქნებ გაასწორონ აღნიშნული ხარვეზი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბიუჯეტის ნაწილში პრაქტიკის ანაზღაურების კომპონენტში, მუხლში წერია 300 ლარი, და მას სურს დააზუსტონ აღნიშნული მუხლის შინაარსი.

საბჭოს წევრი, დავით კაპანაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტებს. მან აღნიშნა ექსპერტების კარგი მუშაობა, რასაც მათ მიერ გაცემული რჩევები/რეკომენდაციები მოწმობს, ასევე ძალიან სასიამოვნოა რომ უნივერსიტეტმა სწრაფად მოახდინა რეაგირება იმ შენიშვნებზე, მართალია საბჭო ვერ ითვალისწინებს, მაგრამ თანამშრომლობის ძალიან კარგი მაგალითია და შეიძლება ითქვას, რომ თუ რეკომენდაციები შესრულდა, ზოგიერთი სასწავლო კურსი ნამდვილად გაუმჯობესდებოდა.

მისი თქმით ინფორმატიკის დარგში ყველა უნივერსიტეტი წერს, რომ ითვალისწინებს ACM სტანდარტს, როგორც სილაბუსების ასევე პროგრამის გაწერისას, იგი დაინტერესდა, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმატიკა/კომპიუტინგი არ არის რეგულირებადი მათ გაუმართლათ და აქვთ ACM, რომელსაც რეკომენდაციები აქვს საბაკალავრო-სამაგისტრო საფეხურებისათვის, საბაკალავრო დონეზე აქვს 5 განსაკუთრებული პროგრამა/რეკომენდაციები. დაწესებულებას აქვს საბაკალავრო პროგრამის კომპიუტერული მეცნიერებები 1 და ის დასახელება, იგი დაინტერესდა სახელით სასწავლო კურსის შეეხება, თუ „კომპიუტერული მეცნიერებები“ მარკეტინგულად კარგი სახელია და შინაარსობრივად ასახავს კვალიფიკაციის მიხედვითაც კარგი დასახელება გამოდის, ანუ ACM-ის პროგრამის გამო დაარქვეს ასე, თუ არა, რადგან შემდეგ პროგრამაში კონცენტრაციაა „ჩაშენებული სისტემები“ და ის არ ჟღერს იმ გაგებით, რასაც ACM ამბობს, რაც ცუდი არა არის, რადგან დაწესებულება სახელში თავისუფალია და შეუძლია დაარქვას ის, რაც სურს და რის შესაძლებლობასაც იძლევა საკვალიფიკაციო ჩარჩო.

დაწესებულებას რეკომენდაციაში ჰქონდა, რომ კომპიუტინგის შესავალი და კომპიუტერული უნარ-ჩვევები არ ემთხვეოდა ერთმანეთს სალექციო და ლაბორატორიული მასალა, მან სილაბუსს გადახედა და მისი მოსაზრებით ლექციებში სულ არის პირველი ნაწილი „კომპიუტინგის შესავალი“, რასაც ადრე „შესავალს სპეციალობაში“ ეძახდნენ, რომელსაც პრაქტიკა მართლაც არ უნდა ჰქონდეს, ხოლო ლაბორატორიაში სულ არის კომპიუტერული უნარ-ჩვევების სტანდარტული პაკეტი Excel და ა.შ. ამიტომ, განმეორება არ მოხდა.

მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ ექსპერტებისგან მიიღო ერთი, ძალიან კარგი რჩევა (უნივერსიტეტის ვებსაიტზე ბიბლიოთეკისა და სხვა ინტერნეტ რესურსების ძიების ინსტრუმენტების სარგებლობის გაუმჯობესება (ვებსაიტზე ზოგადი ძიება, SEO ოპტიმიზაცია)) რაც გაუმართივებდა, როგორც სტუდენტებს, ასევე გარეშე პირებს ინფორმაციის მოძიებას, რადგან Google და სხვა ბევრი საძიებო სისტემა ასე მუშაობს, თუ დაწესებულება კარგად დაალაგებს გაცილებით მარტივი მოსაძებნი იქნება, გარე მოწყობილობებიდან. დაწესებულების პასუხში მითითებული იყო აღნიშნული რჩევის გაუგებრობის შესახებ, მაგრამ თუ სპეციალისტები შეხედავენ ნამდვილად სწორი იყო ექსპერტთა ჯგუფის რჩევა და ამის გათვალისწინება ნამდვილად ძალიან კარგი იქნება.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ საუბარი იყო არა ინფორმატიკის პროგრამებზე, მათგან დაინტერესებდა დისტანციური სწავლების გამო შექმნილ სირთულეებსა და გამოწვევებს როგორ გაუმკლავდნენ, განსაკუთრებით სწავლა-სწავლების, საგამოცდო პროცესის ჩატარების, დეკანატების/ადმინისტრაციის მუშაობის საკითხი და ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი რთული პროცესი ეს არის უკუკავშირი ლექტორებთან, სტუდენტებთან.

საბჭოს წევრი, ნინო იმნაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ გაეცნო პროგრამას და ექსპერტებს მიხრიდანაც იყო გაჟღერებული, რომ დაწესებულებას აქვს ძალიან კარგი მატერიალურ ტექნიკური ბაზა და მათ შორის აქვთ ფაბლაბი - ბიზნეს ინკუბატორი, რომელიც ძალიან კარგია. დაწესებულებას, რომელსაც ფაბლაბი აქვს ძალიან დიდი პლიუსია, იგი დაინტერესდა თუ რა პროექტებია განხორციელებული ფაბლაბში, რადგან ეს არის ინოვაციების ბანკი, როგორ არის ჩართული საგანმანათლებლო პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარდგენილ დოკუმენტში SWOT ანალიზია გაკეთებული, სადაც სუსტ მხარეებში შემდეგი ჩანაწერია - სტუდენტები და აკადემიური პერსონალი საჭიროებს სერიოზულ გადამზადებას უცხო ენებში. შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ამ მიმართულებით რა აქვს დაგეგმილი დაწესებულებას.

საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ გაეცნო დოკუმენტაციას, და დარჩა ასეთი შთაბეჭდილება, რომ პროგრამა მიმართულია Software Engineering-ისკენ და საერთოდ არ ჩანს Hardware Engineering, მაგ., კომპიუტერის არქიტექტურა, შეძლება იყო, მაგრამ ვერ ნახა. მან განაცხადა, რომ კომპიუტერი მხოლოდ პროგრამის დაწერა არ არის, სხვა საკითხებშიც უნდა ერკვეოდეს კურსდამთავრებული, დაინტერესდა რატომ მოხდა ასე.

მისი მოსაზრებით დამატებით ლიტერატურაში მიზანშეწონილია, რაც შეიძლება მეტი უცხოენოვანი ლიტერატურა იყოს მითითებული.

საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ გაჟღერდა ლიტერატურა და ბუნებრივია კარგია დაწესებულების მზაობა ცვლილებებს განსახორციელებლად, რომელთა უმეტესობა უკვე განხორციელებული აქვს დაწესებულებას, რასაც საბჭო ვერ გაითვალისწინებს, თუმცა მნიშვნელოვანია დაწესებულების დამოკიდებულება. იგი დაინტერესდა, რომ თუ კი მიუთითებენ თანამედროვე ლიტერატურას, მისი დიდი ნაწილი შესაძენი იქნება და რა დრო დასჭირდება ამ ყველაფერს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა დიხამინჯიამ ლიტერატურის შემოწმების საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეალური აკრედიტაციის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრი გვერდით უჯდება ბიბლიოთეკარს, რომელიც ბაზაში შედიოდა სტუდენტის პაროლით და ექსპერტებს აჩვენებს თუ როგორ აქვს წვდომა სტუდენტს, დისტანციური აკრედიტაციის დროს დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის წევრს ვერ გადასცემს ვერც სტუდენტის და ვერც სხვა პირად მომხმარებლებს, მოდელი ასეთია, დაწესებულების წარმომადგენელი თვითონ შედის და აჩვენებს ექსპერტთა ჯგუფს, ამ შემთხვევაში კი რამდენიმე წიგნი ვერ მოიძებნა, ექსპერტების მოსაზრება აისახა რეკომენდაციით, თუმცა დაწესებულება აღნიშნავს, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი ლიტერატურა.

ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დასკვნაში გაწერილია კვლევის არასაკმარისობის შესახებ, ასევე ცენტრთან ყოველი შეხვედრისას აჟღერებს, რომ ბაზრის კვლევა არ უნდა ხორციელდებოდეს დაწესებულებების მიერ, სახელმწიფოს უნდა ქონდეს ერთიანი ბაზა და რომელიმე ორგანიზაცია მის ანალიზს აკეთებდეს, რასაც გაიზიარებს ყველა მხარე, როგორც ეს ხდება განვითარებულ ქვეყნებში, არცერთ ქვეყანაში არ აქვს არცერთ ინსტიტუციას უნარი ცალ-ცალკე განახორციელონ ბაზრის კვლევა, თუმცა ინფორმატიკის მოთხოვნა ეჭვქვეშ ცალსახად არ დგას.

ექსპერტთა ჯგუფი თავმჯდომარისათვის გაუგებარია რა იგულისხმა საბჭოს წევრმა Hardware-ში, კომპიუტერის არქიტექტურა არის ის რაც შედის, მაგრამ Hardware Engineering არ არის ინფორმატიკის ნაწილი და ვერც იქნება, MBDT Systems არის კონცენტრაცია, რომელიც მოიცავს კომპიუტერის არქიტექტურისა და ორგანიზაციის ნაწილს.

ბიბლიოთეკის დირექტორი, გიორგი ჭიჭინაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი უმდიდრესი ბიბლიოთეკა აქვს უნივერსიტეტს, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ვერსიების, დასკვნაშიც წერია, რომ ბიბლიოთეკას, რომელსაც გააჩნია ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მოიცავს სალექციო კურსებს და ა.შ. წიგნებთან დაკავშირებით, რომლებიც ვერ მოიძებნა მან განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა იქვე გააკეთეს დასახელებული წიგნის ანაბეჭდის გადაგზავნა, რადგან ორივე წიგნი იძებნება. ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული კატალოგი (OPAC), რომელიც დევს ვებ გვერდზე, რა თქმა უნდა აღნიშნული კატალოგი ვერ ასახავს მილიონიანი ფონდის სრულ ვერსიას, მაგრამ უახლესი ლიტერატურა, რომელიც შედის და ემატება აღნიშნულ კატალოგს, OPAC კატალოგს იყენებენ სხვა უნივერსიტეტები, რომელიც არის Evergreen

Software-ზე დაფუძნებული, გარდა ამისა დაწესებულებას გააჩნია მათივე შექმნილი პროდუქტი - ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია ის ელექტრონული წიგნები/რესურსები/რიდერები, რომლებზე წვდომაც მხოლოდ კორპორატიული მეილით რეგისტრაციის შემდეგ აქვთ მომხმარებლებს, საავტორო უფლებების დარღვევასთან რომ არ ჰქონდეთ საქმე. დასკვნაში მითითებული ორივე წიგნი არის ელექტრონულად და მისი ანაბეჭდი, როდის არის სისტემაში შეყვანილი ესეც ჩანს, თავისთავად უნივერსიტეტს გააჩნია მრავალფეროვანი სამეცნიერო ბაზები, როგორცაა Cambridge, Elgar, Science Direct, EBSCO და სხვა, თუმცა უნივერსიტეტში მიუსვლელად რამდენიმე ბაზა იყო გახსნილი - EBSCO, Science Direct რომელიც ჰქონდათ 2020 წლამდე და აღნიშნული ელექტრონული ბაზები მოიცავს, როგორც ელექტრონულ წიგნად ფონდს, ასევე ჟურნალ-გაზეთებსაც, თუმცა დასკვნაში მითითებული ლიტერატურის ანაბეჭდების გადაგზავნა შესაძლებელია, რომელებიც ასახულია როგორც ელექტრონულ კატალოგში და ბიბლიოთეკაში.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, მოიძებნა თუ არა აღნიშნული ინფორმაცია მაშინ, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა.

ბიბლიოთეკის დირექტორმა განაცხადა, რომ მოიძებნა, დაწესებულებას გააჩნია ორივე მათგანის ანაბეჭდი თუ როდის არის ატვირთული, ორივე მათგანი არსებობს და არის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საკუთრებაში.

წიგნების შეძენასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ არის ბიუჯეტი გამოყოფილი და შეუძლიათ მარტივად შეიძინონ წიგნები თუ იქნება ელექტრონულ რესურსზე წვდომა მისაღები შესაძლებელია ერთ დღეში შესყიდვა.

ფაბლაბის მენეჯერი, გიორგი ჩაჩუა მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. ფაბლაბთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მათი ლაბორატორია ფუნქციონირებს ინოვაციების ფორმატში და მათთან აქტიური კომუნიკაცია აქვთ სტუდენტებს, კონკრეტულად ეს არიან ის სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ აღნიშნულ მიმართულებაზე. სტუდენტები ფაბლაბში მიდიან ძირითადად 3D პრინტერებისთვის, ჩაშენებული სისტემების კონცენტრაციაში არიან ჩართულნი და ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ მათთან კომუნიკაცია აქვთ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ გარკვეულ საკითხებს, მაგ., კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულებით, ჩაშენებული სისტემების მიმართულებით, პროგრამირების მიმართულებით და მათ ეხმარებიან იდეების რეალიზებაში, სტუდენტები მუშაობენ სხვადასხვა სასარგებლო მოდელების შექმნაზე, არამარტო სტუდენტები, არამედ ლექტორ-მასწავლებლებიც, გამომგონებლებიც და ძალიან მნიშვნელოვანია არსებობდეს რეალური მოდელი, სტუდენტები მუშაობენ ჰკვიანი მოწყობილობების მიმართულებით, ფაბლაბში აქვთ პროგრამირებადი დაფები, სხვადასხვა ტიპის სენსორები და სხვა, სადაც ძალიან ბევრი სტუდენტი მიდის და ცდილობს საკუთარი იდეა განახორციელოს პრაქტიკაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ძალიან რთულია ინსტიტუციამ ყველა მიმართულებით განახორციელოს ბაზრის კვლევა იმ პროგრამების შესახებ, რაც მას აქვს. დაწესებულებაში 98 პროგრამაა სხვადასხვა მიმართულებით, იხელმძღვანელებს შრომის ბაზრის იმ კვლევებით, რომელიც განახორციელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2016-2019 წლებში, ასევე 2019 წელს გაკეთებულია საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაკეთებული, შრომის ბაზრის კომპონენტების კვლევა, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს მიერ გაკეთებული კვლევა, დაწესებულებამ ამით ისარგებლა და ასევე, პროგრამის ხელმძღვანელს აქვს გაკეთებული ბაზრის კვლევა იმ ოთხ სხვადასხვა დამსაქმებელთან, რომლებიც ჩართულნი არიან პროგრამის განვითარებაში, ასევე უნივერსიტეტი გარკვეული მიმართულებებით დებს კონტრაქტს სხვადასხვა კვლევით ჯგუფებთან, ერთ-ერთი ჯგუფი აკეთებს ბაზრის კვლევას, მაგრამ განსახილველ პროგრამასთან მიმართებით მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გაკეთებული კვლევა და ზოგადი კვლევებია წარმოდგენილი.

ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მან მოითხოვა, კიდევ ერთხელ გადახედა და ნახა ციფრი 300, დაეხედა კითხვა რატომ არის მაინცდამაინც ეს ციფრი, მას აუხსნეს, რომ ბიუჯეტი შედგება ფიქსირებული და ცვლადი ხარჯებისაგან/დანახარჯებისაგან, კონკრეტულად ეს 300 არის ხარჯი, რასაც უნივერსიტეტი უხდის ობიექტს და კონკრეტულად პრაქტიკის განხორციელებისათვის, ცალკე არის მითითებული 226 ლარი თანხა, რომელსაც ღებულობს პრაქტიკის ხელმძღვანელი, გაწეული შრომისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა, ბიუჯეტში მითითებული 300 ლარი არის ერთჯერადად მითითებული და რამდენი სტუდენტი ჰყავს აღნიშნულ პროგრამას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, თეა კორძაძე დაეთანხმა, რომ დაწესებულება იხდის წელიწადში 300 ლარს და ბიუჯეტი გათვლილია მინიმუმ 21 სტუდენტზე, ამჟამად კი ჰყავთ მეტი სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ თუ 21 სტუდენტი წავა პრაქტიკაზე 300 ლარს გადაიხდის უნივერსიტეტი და ეს საკმარისი იქნება.

საბჭოს წევრის, გიორგი ლაღანიძის თქმით იმავე ბიუჯეტში წერია, რომ ერთ სტუდენტზე 20 ლარი აქვთ გაწერილი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში 300 ლარი ფიქსირებულად არის წელიწადში.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ ურჩია აღნიშნული ჩანაწერი ჩაესწორებინათ და გაეწერათ, რომ ერთ ობიექტზე 300 ლარი აქვთ გამოყოფილი და არა ერთ სტუდენტზე - 20 ლარი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ეს ერთიდაიგივე ფორმაა და რადგან ადრე იყო წარდგენილი ამიტომ არის ხარვეზით.

საბჭოს წევრმა მიმართა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რომ გაესწორებინათ ფორმა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, აკაკი ძნელაძემ „კომპიუტერული მეცნიერებების“ სახელთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მარკეტინგული სახელია და ისე არის ინფორმატიკის ბაკალავრი, ACM-ის კვალიფიკაციით კი კომპიუტინგის ბაკალავრი, სადაც კომპიუტერული მეცნიერებები ცალკე განხრავა, თუმცა პროგრამას დაარქვეს, რადგან მიმზიდველი გამხდარიყო.

კომპიუტინგის შესავალთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა გამოთქმულ აზრს, აღნიშნულ კურსში გაერთიანებულია ორი კურსი, ესენი: (1) შესავალი სპეციალობაში, სადაც განხილულია კომპიუტინგის ძირითადი საკითხები, ტერმინები, კომპიუტერის ზოგადი აგებულება, კომპიუტერული სისტემები და ა.შ.; (2) კომპიუტერულ უნარ-ჩვევებში საუბარია მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც სტუდენტებს გამოუმუშავდებათ ძირითადი უნარ-ჩვევები, რაც შემდეგ სწავლის დროს დასჭირდებათ.

დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დისტანციური სწავლება გაუადვილდათ, რადგან კომპიუტერის საშუალებით აქვთ ურთიერთობა და სტუდენტებს, რომლებსაც კომპიუტერი აქვთ სახლში უადვილდებათ შესწავლა, ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება და პრობლემა არ შექმნიათ, გამოცდებიც დისტანციურად ჩაატარეს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დისტანციურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით დასძინა, რომ საქართველოში ყველა უნივერსიტეტი დიდი გამოწვევის წინაშე დადგა, მაგრამ აღნიშნული უნივერსიტეტი 2013 წლიდან სარგებლობს Microsoft Teams-ით, უნივერსიტეტი Microsoft-ის ოფიციალური პარტნიორია და ყიდულობენ აღნიშნულ მომსახურებას, ამიტომ უფრო მარტივი იყო მათთვის ამ სისტემაზე გადაწყობა დისტანციური სწავლებისას, ძირითადი ჯგუფები შექმნილია და სწავლება მიმდინარეობს Microsoft Teams-ში, იმ რეგულაციების დაცვით რაც უნივერსიტეტებს მიაწოდა სამინისტრომ, მარტივი არ არის, მაგრამ მაქსიმალურად მობილიზებულია რესურსები, სტუდენტები და ლექტორები ჩაერთნენ დისტანციურ სწავლების პროცესში, რათა თითოეული მათგანი გასულიყო სასურველ შედეგზე.

SWOT ანალიზთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალის უცხო ენაში გადამზადებასთან დაკავშირებით ზოგადი ანალიზია გადაგზავნილი, რადგან უნივერსიტეტი

ყოველწლიურად გამოყოფს ბიუჯეტს აკადემიური პერსონალის უცხო ენაში გადამზადებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ შესაბამის დოკუმენტში, ჩანაწერსი მითითებულია სტუდენტები და პერსონალი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ეს ხდება გარკვეულ პროგრამებზე, რადგან განსახილველი პროგრამის სტუდენტებს არ აქვთ პრობლემა უცხო ენასთან დაკავშირებით და ბოლო წელს, უკვე ფაკულტეტმა/დეკანატმა, ხარისხის სამსახურის რეკომენდაციებით გადაწყვიტა, რომ უცხო ენად განსაზღვრულიყო ინგლისური ენა, სტუდენტს შეუძლია ჩააბაროს მისაღები გამოცდები სხვადასხვა ენაში, მაგრამ განსახილველ პროგრამაზე უცხო ენად განსაზღვრულია მხოლოდ ინგლისური ენა. შესაძლოა სტუდენტს სხვა ენა ჰქონდეთ ჩაბარებული და დაწესებულება მათ სთავაზობს ინგლისურს ნულოვანი დონიდან, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ლიტერატურის წაკითხვა ინგლისურად.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა მისაღები ენა პროგრამისთვის გახდება თუ არა ინგლისური ენა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ მხოლოდ ინგლისური ენა არ იყო მიღების წინაპირობა, ღებულობენ ყველა ენით, მაგრამ უნივერსიტეტში გამოცდის შემდეგ იწყებენ ინგლისურის ენის სწავლებას იმ დონიდან რა დონეც ესაჭიროებათ.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ განაცხადა, რომ Software Engineering და Hardware Engineering-ზე არ უთქვამს რომ ინფორმატიკის ნაწილია, თუმცა მან ვერ ნახა ფიზიკური ნაწილი პროგრამაში, მაგ., სტუდენტები ფიზიკის რა დონით მიდიან უნივერსიტეტში. მას სურდა დაეზუსტებინა წინაპირობები, თუ რა დონეზე იცოდა სტუდენტმა ელემენტარულის სიხშირე და ძაბვა, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია სასწავლო კურსში ვერ ნახა, მაშინ როდესაც მსგავსი პროგრამებში თითქმის ყველგან იყო გაწერილ და იგი დაინტერესდა, თუ რატომ არ არის აღნიშნულ პროგრამაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სტუდენტებს შეუძლიათ ფიზიკა შეისწავლონ თავისუფალ კომპონენტში და ბოლო სემესტრში ბევრი სტუდენტი ირჩევს აღნიშნულ დისციპლინას და დააზუსტა, რომ სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ფიზიკა თუკი მას სურვილი აქვს.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ სტუდენტის სურვილზე არ არის დამოკიდებული, როდესაც ასწავლიან აღჭურვილობას იქ სჭირდებათ რაღაც ფიზიკური განზომილებები და ეს საგანი ვერ ნახა პროგრამაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ არცერთ დისციპლინას არ აქვს ფიზიკა წინაპირობად.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ განაცხადა ფორმულირებასთან დაკავშირებით „სასურველია გაძლიერდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა“, გაჩნდა კითხვა, რომ როდესაც ოთხი დამსაქმებლის გამოკითხვა ნახეს აქვთ თუ არა მხოლოდ აღნიშნული რჩევა, გაძლიერდეს თანამშრომლობა, დაინტერესდა თუ რატომ არ წერია „გაზარდეთ“. არის თუ არა ვალიდური ოთხი დამსაქმებლის გამოკითხვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ოთხი დამსაქმებლის კვლევა საკმარისი არ არის, მაგრამ სწავლის შედეგები პასუხობს დამსაქმებლის მოთხოვნებს.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ განაცხადა, რომ გარე შეფასებებთან დაკავშირებით არის ერთ-ერთი ადგილობრივის გამოხმაურება, ექსპერტის მოსაზრებით კარგი იქნებოდა მეტი ყოფილიყო, საბჭოს წევრი კი ფიქრობს, რომ პროგრამების ერთმანეთთან დადარება რა პრინციპით მიდის განვითარება საქართველოსა და მის გარეთ ჩაუტარებია თუ არა, უფიქრიათ და ჰყავთ ასეთი პარტნიორები თუ არა.

15:56 საათზე საბჭო დატოვა ნიკა თიკანაშვილმა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ აღნიშნულ უნივერსიტეტში ხარისხის პოლიტიკის მიხედვით აუცილებელი მოთხოვნაა პროგრამის შიდა და გარე შეფასება, პროგრამის შიდა შეფასებას აკეთებენ ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურების დახმარებით, ეს არის ტექნიკური გადამოწმება, მეთოდები, სწავლების მეთოდების ან ფორმების, რაც შეეხება პროგრამის შინაარსის შეფასებას აკეთებს გარე შემფასებელი სხვადასხვა პარტნიორი უნივერსიტეტიდან. საბაკალავრო პროგრამებზე მათ აქვთ მოთხოვნა მინიმუმ 1 გარე შეფასების გაკეთება, ხოლო სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამებზე საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლების მიერ გაკეთებული გარე შეფასება, ამიტომ რადგან ამ პროგრამას 1 გარე შეფასება უკვე ჰქონდა პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან, მაგრამ „ბენჩმარკინგი“ რა თქმა უნდა კეთდება ნებისმიერი პროგრამის აკრედიტაციაზე/რეაკრედიტაციაზე წარდგენისას, გაითვალისწინებენ შენიშვნას და საერთაშორისო ექსპერტების მხრიდანაც საინტერესო იქნებოდა პროგრამის შეფასება, თუმცა ჩაშენებული ლაბორატორიის მიმართულებით ნამდვილად არის გარე შემფასებლის დასტური. საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ მაძღობა გადაუხადა ექსპერტებს მეორე სტანდარტის ისეთ გაანალიზებისათვის, რომელიც ნამდვილად დაეხმარება დაწესებულებას პროგრამის გაანალიზებაში, ისურვებდა, რომ ასე იყოს თითოეული პროგრამა გაანალიზებული და თითოეულ საგანში რეკომენდაციები მიცემული.

ექსპერტმა, მარიამ ზანგალაძემ განაცხადა, რომ არის დამსაქმებელი-ექსპერტი შპს იდეა დიზაინ ჯგუფიდან, აღნიშნულ სფეროში მომუშავე ერთ-ერთი კომპანიის ხელმძღვანელი, მაძღობა გადაუხადა საბჭოს წევრს თვითონ პროგრამასთან დაკავშირებით მისი გამოხმაურებისთვის.

მან კომენტარი გააკეთა დამსაქმებლებთან მიმართებით, რომ რაც აღნიშნულ პროგრამაში ნახა ვიზიტისას, დამსაქმებლების პანელზე ჩართული პირებიდან გამომდინარე ეს იყო ძალიან ცოცხალი, ჩართული შეხვედრა, სადაც იყვნენ ბანკების, სკოლების, კერძო სკოლების, დისტრიბუციის კომპანიების წარმომადგენლები. მისი მოსაზრებით აღნიშნული პროგრამის აქტუალობა და კვალიფიკაცია, რატომ უნდა წარმოადგენდეს კვლევის და რაზე უნდა იხარჯებოდეს ფინანსები საგანს მისთვის გაუგებარია, რადგან №1 სპეციალობაა, რეალური მოცემულობა კი მეტყველებს იმაზე, რომ პროგრამის განმახორციელებლები ნამდვილად თანამშრომლობენ დამსაქმებლებთან, აღინიშნა რეალური და მჭიდრო თანამშრომლობა, 10 მემორანდუმი რომ ყოფილიყო უფრო მაღალი ნიშანი უნდა დაეწერათ თუ არა, მაგრამ პრაქტიკულ კომპონენტში დაინახეს ერთ-ერთი ყველაზე კარგი თანამშრომლობის მაგალითი, მან მხარდაჭერა გამოუცხადა აღნიშნულ პროგრამას და დასძინა, რომ მათ აქვთ პრაქტიკული და რეალური ურთიერთობა.

საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე დაეთანხმა საბჭოს წევრს, გიორგი ლაღანიძეს, მან განაცხადა, რომ დამსაქმებლებს არ ეხება, რადგან ამ ნაწილში ყველგან პრობლემაა და გამოსასწორებელია, ხოლო შინაარსობრივად მეორე სტანდარტის გაანალიზებისთვის კიდევ ერთხელ გადაუხადა მაძღობა ექსპერტთა ჯგუფს.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაეთანხმა ექსპერტს და დასძინა, რომ ამ კვალიფიკაციის მქონე ადამიანები მარტივად საქმდებიან ბაზარზე, მაგრამ ბაზის კვლევის შედეგების უფრო ნათელი სურათის მისაღებად უკეთესი იქნება თუ ინსტიტუცია/პროგრამა დასაქმების ბაზრის კვლევას ჩაატარებს არა ზოგადად დარგის მიხედვით, არამედ კონკრეტულად იმ პროგრამის კურსდამთავრებულთათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:04

დასრულების დრო: 16:32

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 2.1 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- ა) შეიცვალოს სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“;
- ბ) შეიცვალოს კონცენტრაციის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ შინაარსი და შესაბამისი სასწავლო კურსები.
- გ) გასწორდეს კურსების „ხელოვნური ინტელექტის სისტემები და ლოგიკური დაპროგრამება“, „მოდელირება Matlab გარემოში“, „ინფორმაციული უსაფრთხოება და დაცვა“, „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის საწყისები“, „ღრუბლოვანი კომპიუტერული ტექნოლოგიები“, „საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული ტექნოლოგიები“, „ინფორმაციული სისტემების თეორია და დაპროექტება“ წინაპირობები. დ) გადაიხედოს და ჩასწორდეს კურსების ლიტერატურა: დაპროგრამების საფუძვლები (C++), დაპროგრამება C++ და ობიექტზე ორიენტირებული და პროგრამება, „მონაცემთა ბაზები 1“, „მონაცემთა ბაზები 2“, „კომპიუტერული ქსელები 1“, „საოპერაციო სისტემები“, „ინფორმაციული სისტემების თეორია და დაპროექტება“, „ინფორმაციული სისტემების პროექტების მართვა“, „ვებ დიზაინი“, „ვიზუალური დაპროგრამება“, „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება Java-ზე“, „ელექტრონული ბიზნესის ტექნოლოგიები“, „ელექტრონული კომერციის სისტემები“, „კომპიუტერული გრაფიკის და ვიზუალიზაციის ტექნოლოგიები“, „საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული ტექნოლოგიები“. დ)გადაიხედოს და დაკორექტირდეს შემდეგი კურსების შინაარსი: დაპროგრამება C++; „კომპიუტინგის შესავალი და კომპიუტერული უნარ-ჩვევები“, „დაპროგრამების საფუძვლები“, „საოპერაციო სისტემები“, „ღრუბლოვანი კომპიუტერული ტექნოლოგიები“, ვებ დიზაინი, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია, ინფორმაციული უსაფრთხოება და დაცვა, კომპიუტერული ტექნოლოგიების სამართლებრივი საკითხები, პროფესიული პრაქტიკა, დინამიური ვებგვერდების დაპროგრამება - Javascript, ვიზუალური დაპროგრამება, ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება Java-ზე, ელექტრონული ბიზნესის ტექნოლოგიები, კომპიუტერული გრაფიკის და ვიზუალიზაციის ტექნოლოგიები, საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული ტექნოლოგიები.
- ე) დაზუსტდეს თვითშეფასების ანგარიშში ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსზე მითითებული ბმული, გადამოწმდეს პროგრამის ყველა ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში.
- ვ) პროგრამის მონიტორინგისთვის შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები.
- ზ) გაძლიერდეს შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმის პრაქტიკული განხორციელება
- თ) გარე ხარისხის შეფასებაში ჩაერთოს მეტი პრაქტიკოსი სპეციალისტი.

რჩევები:

- ა) გაძლიერდეს გრაფიკული და ვებ-დიზაინის სწავლების მიმართულება, პროგრამაში წარმოდგენილ ერთადერთ საბაზო კურსს დაემატოს გაღრმავებული კურსები, რაც ცალკე კონცენტრაციადაც კი შეიძლება წარმოდგეს, როგორც ჩაშენებული სისტემების შემთხვევაშია;
- ბ) სასურველია მოხდეს შეფასების შედეგების უფრო სიღრმისეული ანალიზი;
- გ) სასურველია პროგრამის მხრიდან გაიზარდოს მხარდაჭერა, რათა შემფასებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მუდმივად გაეცნონ შეფასების სისტემის თანამედროვე ტენდენციებს;
- დ) სასურველია გაძლიერდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, რაც გაზრდის პროგრამის განვითარების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას და პროგრამის კურსდამთავრებულთა საკუთარი პროფესიით დასაქმების ხარისხს;
- ე) სასურველია პირველკურსელთათვის გამართულ საინფორმაციო შეხვედრებს მეტად ინტენსიური ხასიათი მიეცეს;
- ვ) სასურველია დაინერგოს სტუდენტების კონფერენციებითა და მსგავსი აქტივობებით დაინტერესების მექანიზმი, რაც გაზრდის მათ ჩართულობას;
- ზ) მეტი ყურადღება და ძალისხმევა იქნას მიმართული პროფესიულ კურსების წასაკითხად პრაქტიკოსი სპეციალისტების მოწვევაზე;
- თ) უნივერსიტეტის ვებ საიტზე ბიბლიოთეკისა და სხვა ინტერნეტ რესურსების ძიების ინსტრუმენტების სარგებლობის გაუმჯობესება (ვებ საიტზე ზოგადი ძიება, SEO ოპტიმიზაცია).
- ი) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობის მოტივაციის გაზრდისთვის წამახალისებელი მექანიზმების შემუშავება.
- კ) ფაკულტეტმა იზრუნოს მეტი სამეცნიერო და გამოყენებითი გრანტის მოზიდვაზე მოცემული პროგრამის ფინანსური გაძლიერებისთვის.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო - ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სატრანსპორტო-ლოგისტიკური პროცესების ორგანიზაცია და მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	19.04.2012, გადაწყვეტილება №125
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო ლოგისტიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული 0719
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
15	განხორციელების ადგილი	-
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მოისწრაფიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო - ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა 2020 წლის 11

დეკემბერს, აკრედიტაციის ექსპერტები გახლდნენ მანანა მოისწრაფიშვილი (თავმჯდომარე), ვალერი ჯაჯანიძე და ლაშა ლალიაშვილი. ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა დისტანციურად ZOOM-ის მეშვეობით, მშვიდ ვითარებაში. სააკრედიტაციო ვიზიტი წარმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო-ლოგისტიკური პროცესების ორგანიზაცია და მართვა“ წარმოადგენს მოქმედი სადოქტორო პროგრამის „სატრანსპორტო პროცესების ორგანიზაცია და მართვის“ მოდიფიცირებულ ვერსიას, რომელშიც გარდა შინაარსობრივი ცვლილებებისა, განხორციელებულია მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება და ნაცვლად „ტრანსპორტის დოქტორისა“ კურსდამთავრებულს მიენიჭება „საინჟინრო ლოგისტიკის დოქტორი“-ს კვალიფიკაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის მოცულობა შეადგენს არანაკლებ 3 წელზე გაწერილ 180 კრედიტს: სავალდებულო სასწავლო კურსებს - 20 კრედიტის მოცულობით; თავისუფალ კომპონენტებს 3 არჩევითი ბლოკის სახით - 40 კრედიტის მოცულობით; კვლევით კომპონენტს - 120 კრედიტის მოცულობით.

2012 წლიდან პროგრამაზე სულ სწავლობდა 15 დოქტორანტი, მათ შორის 11 დოქტორანტს მინიჭებული აქვს დოქტორის კვალიფიკაცია. 7 სადოქტორო თემატიკა აღნიშნული 11 დოქტორანტისგან იყო სატრანსპორტო ლოგისტიკის პრობლემატიკა, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია არის ძალიან მაღალი და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გადამოწმებული სადოქტორო ნაშრომების მიხედვით დაადგინეს, რომ თითოეული ნაშრომი შესრულებულია მაღალ დონეზე და შეიცავს მნიშვნელოვან სამეცნიერო სიახლეებს, კარგად არის მოცემული კვლევის მეთოდები, კვლევის სიღრმე დამაკმაყოფილებელია და საერთო ჯამში ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილი დარჩა შესრულებული სამუშაოთი. პროგრამაში ჩართული 5 დოქტორანტი იყო რუსთაველის ფონდის გრანტის მფლობელი, ისინი მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში და 5 წლის შედეგების მიხედვით წარდგენილი ჰქონდათ 12 მოხსენება, მიუხედავად იმისა, რომ განხორციელებული სადოქტორო პროგრამის ხარისხი იყო ძალიან კარგი სტანდარტებთან შესაბამისობაში ასე არ აისახა.

„სატრანსპორტო - ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის“ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან 1.1 ქვეკომპონენტი არ არის შესაბამისობაში, ხოლო 1.2 ქვეკომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტებთან;

1.1 ქვეკომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამის მიზანი არ არის შესაბამისობაში, რადგან პროგრამის მიზანი, რომელიც გაწერილია აღნიშნულ პროგრამაში მიმართულია ტრანსპორტისა და სატრანსპორტო მომსახურების დარგისადმი, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია საინჟინრო ლოგისტიკის დოქტორია, აღნიშნული მისანიჭებელი კვალიფიკაციაა 0719 არაკლასიფიცირებული დეტალური სფეროა, რომელშიც ჩვეულებრივ უნდა კლასიფიცირდებოს ის სწავლის სფერო, რომელიც მიეკუთვნება ვიწრო სფეროს, მაგრამ არ კლასიფიცირდება ამ ვიწრო სფეროს კლასიფიკატორით დადგენილ არცერთ სხვა დეტალურ სფეროში, თუმცა ასეთ შემთხვევაში ტრანსპორტი - 0716 დეტალური სფეროა ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები და ასევე ტრანსპორტის მომსახურებები, რომელიც წარმოადგენს 1041 დეტალურ სფეროს ტრანსპორტის მომსახურების ნაწილს. იმ შემთხვევაში რაკი საინჟინრო ლოგისტიკის დოქტორი მიენიჭება, რეალურად მიზანი უნდა ეხებოდეს საინჟინრო ლოგისტიკის, კერძოდ ლოგისტიკური სისტემების ინჟინერიის, ლოგისტიკის ცენტრებში და მათ გარეთ მიმდინარე პროცესების სისტემების ინჟინერიას, ლოგისტიკური საწარმოს, კომპლექსის, ჰაბის ან კომპანიის

ფუნქციონირებისთვის საჭირო ტექნიკურ ან ტექნოლოგიურ აღჭურვას და მათ შორის შედის შიდასაწარმოო სატრანსპორტო სისტემა, სასაწყობე, სატრანსპორტო ლოგისტიკური პროცესების დაგეგმვა და საინჟინრო მხარდაჭერა, შესაბამისად 1.1 ქვეკომპონენტი შეფასდა, როგორც არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

1.2 ქვეკომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება აკადემიური საქმიანობისთვის საჭირო უნარები საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ნაწილი უნდა გადამუშავდეს, ფორმულირებები დაიხვეწოს და მოყვანილი იქნას დოქტორანტურის საფეხურთან შესაბამისობაში. უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგების შეფასების გეგმით სწავლის კონკრეტული შედეგის გაზომვისთვის მითითებულია არჩევითი სასწავლო კურსები, რაც არარეალისტურია, ვინაიდან ყველა შემთხვევაში მისი მიხედვით ვერ განხორციელდება სწავლის კონკრეტული შედეგის გაზომვა და დამოკიდებული იქნება სასწავლო კურსის არჩევაზე დოქტორანტის მიერ, შესაბამისად, სასურველია დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.

მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან - ვინაიდან 2.2 ქვეკომპონენტი არ არის შესაბამისობაში, ხოლო 2.3 ქვეკომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტებთან;

2.2 ქვეკომპონენტი არ არის შესაბამისობაში, რადგან პროგრამის „სატრანსპორტო-ლოგისტიკური პროცესების ორგანიზაცია და მართვის“ თვითშეფასების პროგრამის აღწერის ნაწილში აღნიშნულია რომ პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი. თუმცა, კურსკულუმსა და დოქტორანტურის დებულებაში პროგრამის მოცულობად მითითებულია 180 კრედიტი, რაც არ მოდის შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მოთხოვნასთან, საჭიროა იგი დაზუსტდეს და დაწესებულების წარმომადგენლებმა განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში, ასევე დოქტორანტურის დებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია 120 ECTS კრედიტით. უნდა აღინიშნოს, რომ ECTS სისტემით სადოქტორო დონეზე კრედიტებში არ არის საჭირო გაზომილი იქნას კვლევითი კომპონენტი, რაც ასევე უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ.

პროგრამა მოიცავს განსახორციელებელ კვლევების სამ მიმართულებას: სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია და მოძრაობის უსაფრთხოება; სატრანსპორტო საშუალებების ენერგეტიკული დანადგარები და ეკოლოგიური პრობლემები; მულტიმოდალური გადაზიდვები. შესაბამისად, პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება არჩევითი კურსების სამი მოდულისაგან (ჯამში 40 კრედიტი) და სავალდებულო კურსებისაგან (ჯამში 20 კრედიტი). სასწავლო კომპონენტის კურსები განაწილებულია პირველ და მეორე სემესტრში. საერთო ჯამში, სასწავლო კომპონენტი მოიცავს დოქტორანტისათვის განკუთვნილ 22 სასწავლო კურსსა და 2 თემატურ სემინარს (5-5 კრედიტი), რომელთაგან 20 სასწავლო კურსი წარმოდგენილია „არჩევითი“ სტატუსით, კვლევითი კომპონენტი მოიცავს – 3 კოლოკვიუმს და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვას (სულ 120 კრედიტი), რომელიც ფასდება ერთჯერადად.

სადოქტორო პროგრამა „სატრანსპორტო-ლოგისტიკური პროცესების ორგანიზაცია და მართვა“ სასწავლო გეგმის მიხედვით პროგრამის სწავლის ძირითადი შედეგების მიღწევა შესაძლებელია უმეტესად არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის საფუძველზე, რის გამოც რეალურად მხოლოდ ნაწილობრივია შესაძლებელი სრულად იქნას მიღწეული კურსდამთავრებულისთვის იმ კომპეტენციათა შექმნა რაც სწავლის შედეგებითაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, კონკრეტული სასწავლო კურსები შეუსაბამოა პროგრამით განსაზღვრულ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან კერძოდ: სატრანსპორტო ენერგეტიკული დანადგარების მუშაობის რეჟიმების თეორიები და მოდელები (არჩ); კვლევის მეთოდები და მოდელები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაში (არჩ); ტექნოლოგიური პროცესების მოდელირება ავტომობილების

ტექნიკურ სერვისში (არჩ); მანქანათა აკუსტიკის კვლევის თანამედროვე მეთოდები (არჩ); სატრანსპორტო საშუალებების საწვავის ეკონომიურობა, ალტერნატიული საწვავები და ეკოლოგიური ეფექტურობა (არჩ). ხოლო სასწავლო კურსები: სატვირთო და სატრანსპორტო ოპერაციები საზღვაო ტრანსპორტზე (არჩ); სატრანსპორტო საშუალებების ჰიბრიდული და ელექტრული ამძრავები(არჩ); ლოგისტიკური მენეჯმენტი (სპეცკურსი) (არჩ); სატრანსპორტო გეოსაინფორმაციო სისტემები (არჩ); საგზაო ქსელები და სატრანსპორტო ნაკადების ზემოქმედება გარემოზე (არჩ); საგადასახადო და საბაჟო საქმის ორგანიზაცია ტრანსპორტზე (არჩ); სატრანსპორტო ლოგისტიკის ორგანიზაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფა (არჩ). შეუსაბამოა სწავლების მოცემულ საფეხურთან.

2.3 ქვეკომპონენტი ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებთან, რადგან რიგ სასწავლო კურსებში საჭიროა სალექციო თემატიკა, სწავლის შედეგები და გამოყენებული ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან, გადაიხედოს სწავლის შედეგები, თუ რამდენადაა შესაძლებელი კონკრეტული სასწავლო კურსით „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ კომპეტენციის განვითარება.

მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან 4.1 და 4.3 ქვეკომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რასთან მიმართებითაც გაიცა შემდეგი რეკომენდაციები: 4.1 ადამიანური რესურს: საჭიროა გაფორმებული იქნას ხელშეკრულებები მოწვეულ პერსონალთან პროგრამის აკრედიტაციის ვადით, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი გარანტირებული ჩართულობა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელებისთვის, აკრედიტაციის ვიზიტის დროს ცალსახად ჩანდა მათი მზაობა პროგრამის განხორციელებაში ჩასართავად, თუმცა საჭიროა გაფორმებული იყოს დოკუმენტურადაც; 4.3 მატერიალური რესურსები: კვლევითი სამუშაოების შესრულების მიზნით, საჭიროა მოხდეს ხელშეკრულებების/მემორანდუმების გაფორმება ლოგისტიკის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან, თუმცა არ შეილება აღქმული იყოს, რომ დაწესებულებას არ აქვს ხელშეკრულებები და მემორანდუმები, რადგან ესენი აქვთ კვლევის მიმართულებით და ამიტომ ლოგისტიკის სფეროს მიმართულებით გაამახვილეს ყურადღება;

მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან 5.1 და 5.3 ქვეკომპონენტები იქნა შეფასებული როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ტექნიკური ხარვეზის გამო რეკომენდაციებზე საუბარი გააგრძელა ექპერტმა, ვალერი ჯაჯანიძემ, მან განაცხადა, რომ 5.1. შიდა ხარისხის შეფასება: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში, სწავლის შედეგებში და შინაარსში დაშვებული შეცდომები მიუთითებს იმაზე, რომ პროგრამების შემუშავებისა და განვითარების სტადიაზე აკადემიურ პერსონალს ესაჭიროებოდა დაინტერესებულ მხარეებთან, დარგში მომუშავე კოლეგებთან და ექსპერტებთან, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მეტად კოორდინირებული მუშაობა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული დაფიქსირებული შეუსაბამობები და ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრივაც საჭიროებს უფრო მეტ ჩართულობას პროგრამის შემუშავების სტადიაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი აქტების მოთხოვნათა განუხრელი დაცვით მომზადება; 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება: საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა მიერ მეტი ყურადღება დაეთმოს პროგრამის განვითარების სტადიაზე რელევანტური ინფორმაციის გამოყენებას, რათა მათი ანალიზის შედეგები რეალურად ემსახურებოდეს პროგრამის გაუმჯობესებას.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

სასურველია დაწესებულებამ აპლიკანტის მიერ უცხოური ენის B2 დონეზე ფლობის დადასტურებისთვის დააზუსტოს თუ რომელ სერტიფიკატებს აღიარებს და ჩაანაცვლოს სიტყვა „სათანადო“.

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი:

შესაბამისობაში მოვიდეს ჩანაწერი კვლევის მიმართულებების შესახებ სასწავლო გეგმასა და პროგრამის კურიკულუმში და სასწავლო კურსების დასახელებები სასწავლო გეგმაში მითითებულ დასახელებებთან;

სადოქტორო პროგრამის ძირითად ტექსტში გამოყენებულია ტერმინი „ლოგისტიკა“, ხოლო ზოგიერთ სასწავლო კურსში ტერმინი „ლოჯისტიკა“, მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამისა და სასწავლო კურსების ტერმინოლოგიური თანხვედრა;

სასურველია „კვლევის შედეგების პუბლიკაცია და კონფერენციებში მონაწილეობა“ გადატანილი იქნას მე-4, მე-5 და მე-6 სემესტრებში, რათა კოლოკვიუმებით მიღებული კვლევის შედეგების სრულფასოვნად გამოქვეყნება შეძლო დოქტორანტმა;

ტექნიკური ხარვეზის გასწორების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააგრძელა საბჭოსთვის რჩევების გაცნობა;

2.3 სასწავლო კურსი:

სასწავლო კურსის სილაბუსებში აღმოიფხვრას ტექნიკური ხასიათის შეცდომები და შეივსოს ინფორმაცია სრულყოფილად;

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება:

სასურველია, ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს პროფესორ-მასწავლებელთა მიმდინარე სასწავლო წლის კონსულტაციების განრიგი დეპარტამენტების მიხედვით;

4.3 მატერიალური რესურსი:

მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგენილი ლიტერატურა სრულად ხელმისაწვდომი იყოს ციფრული სახით, თუმცა ჩვეულებრივ არის ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელი, თეიმურაზ კოჩაძე პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის სახელით მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. პროგრამაზე მომუშავე ჯგუფში შედიოდნენ დარგის 9 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი, მათ შორის 5 აკრედიტაციის ექსპერტთა მოქმედი წევრი. მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს წარდგენილი პროგრამის საფუძვლიანი განხილვისა და რეკომენდაციების მიწოდებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს პროგრამის განვითარებაში. პროგრამის შექმნიდან დაცულია 13 დისერტაცია, პროგრამაზე 2012 წლიდან ჩარიცხულია 37 დოქტორანტი და ამჟამად პროგრამას ჰყავს 14 დოქტორანტი. უცხოეთის სამეცნიერო კონფერენციებსა და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულია 50-მდე ნაშრომი, მათ შორის Scopus-ისა და Erix+-ის ბაზებში გამოცემებში 15 ნაშრომი. გაფორმდა მემორანდუმები ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხეთის ტრანსპორტის სფეროს სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან. 2016 წელს პროგრამამ გაიმარჯვა რუსთაველის ფონდის მიერ გამოცხადებულ სადოქტორო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსში, ასეთი გრანტი გაიცა მხოლოდ ოთხ პროგრამაზე და ერთ-ერთი იყო განსახილველი პროგრამა.

პროგრამის მიერ განხორციელებული აქტივობები შესაძლებელია გასცდეს სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუციის ფარგლებს და შეიძინოს საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათი, თუ გაითვალისწინებენ, რომ ევროსაბჭოს ასოცირების კომიტეტში საქართველოს მხრიდან გაფორმებული გაჟღერებულ გეგმას, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისთვის ახალი ინვესტორების მოძიების დაწყების შესახებ, პროგრამაში ჩართული პროფესორებისა და დოქტორანტების კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ევრაზიული სატრანსპორტო,

ლოგისტიკური დერეფნის „ტრანსეკას“ სამხრეთ კავკასიის უბანზე ტრანზიტული ტვირთების მოზიდვისა და სამხრეთ სახმელეთო ტრანსპორტის ურთიერთქმედების ეფექტურობის გაზრდის კვლევა წარმოადგენს.

აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფი ახდენს კომპონენტების შესაბამისობის დადგენას აკრედიტაციის სტანდარტებთან, რისთვისაც უნდა დაეყრდნოს საკანონმდებლო დოკუმენტებში გაწერილ მოთხოვნებსა და პროცედურებს, მოცემულ შემთხვევაში კი სურათი შემდეგია, სტანდარტი 1.1-ის შემთხვევაში საექსპერტო დასკვნაში აღნიშნულია, რომ პროგრამის მიზანი არ ასახავს მისანიჭებელი კვალიფიკაციის მომზადებისთვის საჭირო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, შესაბამისად ვერც ხაზს უსვამს იმ წვლილს, რომელსაც შეიტანს დაწესებულება ლოგისტიკის განვითარებაში და არარეალისტურია. დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით საქმე გვაქვს არასწორ ინტერპრეტაციასთან, რადგან არსად არის მითითებული, რომ პროგრამა ლოგისტიკის სფეროს ავითარებს, იგი ავითარებს ტრანსპორტის სფეროს, არასკლასიფიცირებული კვალიფიკაციის საინჟინრო ლოგისტიკის კვლევის საფუძველზე.

ექსპერტთა სახელმძღვანელო დოკუმენტში წერს, რომ სწავლების სფეროს ახალ კლასიფიკატორში მოცემულ არაკლასიფიცირებულ კვალიფიკაციას საინჟინრო ლოგისტიკა თავისი სუბიექტური მოსაზრებით უკეთებს კლასიფიკაციას, შემდგომ ვირტუალურ კლასიფიკაციასთან ახდენს პროგრამის კომპონენტების შედარებას და აკეთებს დასკვნას პროგრამის კომპონენტების მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, როდესაც მარეგულირებელ დოკუმენტებში მოთხოვნა გაწერილი არ არის, დაწესებულების აზრით შეიცავს საგანანმანათლებლო პროგრამის სუბიექტურად შეფასების რისკებს.

ქვეკომპონენტ 2.2-ზე ექსპერტი მიუთითებს, რომ სააკრედიტაციოდ წარდგენილი პროგრამის მიზანი ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ კრიტერიუმებს, საჭიროა პროგრამის მიზანი შესაბამისობაში მოვიდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. დაწესებულებისთვის ბუნდოვანი იყო არაკლასიფიცირებული კვალიფიკაციის მიერ დასაკმაყოფილებელ რა კრიტერიუმებზე იყო საუბარი, რაც კლასიფიკატორში არ არის გაწერილი, ექსპერტი კი სუბიექტური მოსაზრებით შექმნილ კლასიფიცირებას ადარებს პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურას, რის მიხედვითაც აკეთებს დასკვნას, კვალიფიკაციასთან შეუსაბამობის შესახებ, ექსპერტის ასეთი მიდგომა საფუძველს მოკლებული და სუბიექტურია, რასაც დაწესებულება არ ეთანხმება.

დარგის მრავალი მკვლევარი აღნიშნავს, რომ საინჟინრო ლოგისტიკა წარმოადგენს სატრანსპორტო პროგრესის ბაზას. საინჟინრო ლოგისტიკა არის ინჟინერიის სფერო, რომელიც ეძღვნება მატერიალური და მზა პროდუქციის ტრანსპორტირებისა და განაწილების პროცესების მეცნიერულ ორგანიზაციას, უზრუნველყოფს სატრანსპორტო ტექნიკური სისტემების და კომპლექსების უსაფრთხო და ეკოლოგიურ ექსპლუატაციას, ლოგისტიკური ინჟინერია არის რთული მეცნიერება, რომელიც განიხილავს ტრანსპორტირების მეთოდებს, იმ მიზნით, რომ გარანტირებული იყოს ნივთის მიწოდება საჭირო ადგილზე, მაშინ, როდესაც საჭიროება მოითხოვს და ეს უნდა ხორციელდებოდეს მინიმალური სატრანსპორტო დანახარჯებით. მრავალი მკვლევარის მონაცემები აჩვენებს რომ საინჟინრო ლოგისტიკა შეისწავლის და კვლევის ერთ-ერთ ძირითად ობიექტთან, სატრანსპორტო ლოგისტიკურ სისტემებში მიმდინარე ტრანსპორტის, ექსპლუატაციისა და ფუნქციონირების პროცესებს განიხილავს.

განსახილველი პროგრამა სატრანსპორტო პროცესებს განიხილავს დინამიკაში, ანუ გავრცობილს დროსა და სივრცეში, ორიენტირებულია მიწოდების ცალკეულ რგოლში გადაზიდვების პროცესების ეფექტურობის შეუზღუდავი საინჟინრო ტექნიკური ხასიათის ფაქტორების გამოსაკვლევად, მათი აღმოსაფხვრელი მექანიზმების შემუშავებაზე, ლოგისტიკური მენეჯმენტის მეთოდოლოგიის გამოყენებაზე, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის

გათვალისწინებით შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, რომ განსახილველი პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, საინჟინრო ლოგისტიკასთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულია, რომ სასწავლო კურსი, მოცულობით 20 კრედიტი, პროგრამის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში ვერ იქნება 50%-ზე მეტით დაკომპლექტებული ლოგისტიკის დარგის შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით სადოქტორო პროგრამაზე სასწავლო კომპონენტისთვის 50%-ის მიხედვით კვალიფიკაციასთან შესაბამისობის განსაზღვრა არამართებულია, რადგან სწავლების პერიოდის ახალი კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი მიუთითებს, რომ უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში, ანუ მაგისტრატურის პროგრამაში არანაკლებ პროგრამის საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტი უნდა იყოს შედეგებთან შესაბამისი, სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით ეს მოთხოვნა არ არსებობს, მაგრამ ექსპერტი 50%-იან მოთხოვნას უყენებს განსახილველ პროგრამას. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს აღნიშნული ჩანაწერი ეხება მხოლოდ სამაგისტრო და არა სადოქტორო პროგრამებს, უნდა აღინიშნოს, რომ სადოქტორო პროგრამის შედეგებზე გასვლა მხოლოდ სასწავლო კომპონენტის 60 კრედიტით არ შეიძლება იყოს რელევანტური, რადგან აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოში მითითებულია განმარტება, თუ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ფასდება კარგი პრაქტიკაა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს სამაგისტრო, და სადოქტორო ნაშრომებით, რაც წარმოდგენილ საექსპერტო დასკვნაში არ არის დაცული, სადოქტორო ნაშრომები, რომ მაღალ დონეზეა შეფასებული ექსპერტებმაც აღნიშნეს თავიანთ შეფასებაში.

საექსპერტო დასკვნის გაცნობის შემდეგ პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ დარგობრივი მახასიათებლების არ არსებობის გამო აკრედიტაციის ექსპერტთა ნაწილი მარეგულირებელ დოკუმენტებში არასაკმარისი დონით გაწერილ მოთხოვნებს ანაცვლებს თავისი მოსაზრებით და ამის საფუძველზე აკეთებს დასკვნებს, რაც მათი მოსაზრებით არ არის მართებული. სწორედ ასეთი შემთხვევების გამოა, რომ პროგრამაზე მომუშავე ჯგუფი მიესალმება ცენტრის განცხადებას, რომ ახლო მომავალში იგეგმება დარგობრივი მახასიათებლის ეტაპობრივი შექმნა, რაც უდავოდ შეამცირებს ავტორიზაცია/აკრედიტაციის ექსპერტების მხრიდან სუბიექტურად შეფასების რისკს. პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს აქვს აკრედიტაციის საბჭოს კეთილმოსურნეობის იმედი და მიმართავს თხოვნით გაითვალისწინონ მათ მიერ მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები, პროგრამის ფარგლებში უკვე განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობების როლი/მნიშვნელობა ქვეყნის დასავლეთ რეგიონის სატრანსპორტო ლოგისტიკური განვითარების საქმეში და ისე მიიღონ გადაწყვეტილება პროგრამის აკრედიტაციის საკითხის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტთა ჯგუფს. მან პატივისცემა განაცხადა იმ კვლევების მიმართ, რომლებსაც დაწესებულება ახორციელებს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მაღლობა გადაუხადა მათ ამისთვის, რადგან მისთვის სადოქტორო პროგრამად მიიჩნევს ისეთ პროგრამებს, რომელებიც კვლევებს ახორციელებენ, რაც საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გადის აღნიშნული კვლევები.

მან განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია სასწავლო კომპონენტის შესაბამისობა კვლევების დარგთან, რომელიც ხორციელდება და გამიზნულია სადოქტორო პროგრამაში, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ნორმებთან პროგრამის შესაბამისობა, ის რომ 120 კრედიტის ფარგლებში აღარ უნდა იყოს გათვლილი კვლევითი კომპონენტი, ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტებმა პირველი და მეორე სტანდარტი შეაფასეს, როგორც „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“, საბჭოს წევრი დაინტერესდა ამ ნაწილთან მიმართებით, ჯამურ შეფასებაში თუ გაითვალისწინეს ის კვლევები, რაც ხორციელდებოდა პროგრამის ფარგლებში

და რა სამეცნიერო შედეგები არსებობდა წლების განმავლობაში და იარსებებს მომავალშიც, რადგან აშკარაა, რომ კვლევები მაღალ დონეზე ხორციელდება.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ განაცხადა, რომ მისი ორი კითხვა ეხება მე-4 სტანდარტს, რადგან ექსპერტთა ჯგუფს აქვს ჩანაწერი, რომ 4.1 ქვესტანდარტთან მიმართებით სასურველია გაფორმდეს ხელშეკრულებები მოწვეულ პერსონალთან აკრედიტაციის ვადის გასვლამდე, ანუ სთხოვენ 7 წლიან ხელშეკრულებებს, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა დასაბუთება მოჰყვა და რა წილია მოწვეული პერსონალის და რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროგრამის მდგრადობისთვის, რადგან აღნიშნული გაწერილია რეკომენდაციის სახით, რადგან მოწვეულებს უფრო ხშირი შეფასება უწევთ და დაწესებულებების ხშირ შემთხვევაში არ აფორმებენ გრძელვადიან ხელშეკრულებებს.

მეორე კითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 4.3 ქვესტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაინტერესდა, თუ არ გაფორმდა მემორანდუმები, აქ საუბარია უფრო კვლევა მონაცემების გამოყენებაზე და არა მატერიალური დანადგარების გამოყენებაზე, თუ არ გაფორმდა მემორანდუმები კვლევისთვის საჭირო მონაცემები შესაძლებელია თუ არა რომ ვერ მიიღოს დოქტორანტმა და ვერ განახორციელოს კვლევა.

საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა ჩანაწერზე, რომ სასურველია მითითებული იყოს სტატიებზე მოთხოვნა, თუმცა დაწესებულებას პროგრამაშივე უწერია, რომ ეს განისაზღვრება სადისერტაციო დებულებით, სადაც 18.4 მუხლში არის ჩანაწერი, რომ დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს არანაკლებ 3 სამეცნიერო ნაშრომი რეცენზირებად ჟურნალში, დაინტერესდა აღნიშნულ ჩანაწერთან მიმართებით, თუ რა იყო მიზეზი ამ ჩანაწერის, ის რომ კონკრეტული ჟურნალების ჩამონათვალი არ იყო მოცემული.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ მე-2 სტანდარტთან მიმართებით განაცხადა, რომ ძალიან მძიმედ არის შეფასებული და დაინტერესდა სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, რომ სასწავლო კომპონენტი არ არის განმსაზღვრელი, რომელიც შედეგზე უნდა გავიდეს და კვალიფიკაციის მინიშნების დროს ჰქონდეს დომინირებული პოზიცია, მაგრამ რამ განაპირობა იმ გზის არჩევა რა გზაც აირჩიეს 60 კრედიტის გადანაწილებისას, რომელიც გადანაწილებულია შემდეგნაირად: 2 სემინარი (20 კრედიტი), პედაგოგიური პრაქტიკა, რომელიც პროფესორის ასისტენტობას გულისხმობს და სათაური აღნიშნულ პროგრამას ტერმინოლოგიურად არ შეესაბამება, ასევე აქვთ სწავლების თანამედროვე მეთოდები. როგორც ცნობილია სადოქტორო პროგრამებში სემინარი არ არის კვლევის ნაწილი, არის სხვა კვლევა, რომელიც თემის გარეთა არის გაკეთებული, დაინტერესდა როდესაც დაიწყეს მუშაობა სამ მოდულზე, რატომ აიღეს გზა, რომ ყველა საგანი, რაც მოდულებში შედის იყოს არჩევითი და პრაქტიკულად გამოდის რომ პირველი მოდულიდან დოქტორანტი ირჩევს 10 კრედიტს, მეორე და მესამე მოდულიდან 15 კრედიტს, სადაც არის 7-7 საგანი და გამოდის, რომ ზოგიერთ საგანი რჩება არჩევის მიღმა, ანუ შესაძლებელია დოქტორანტმა არ აირჩიოს. სტრუქტურაში ყველა საგანს უწერია რომ არის არჩევითი დისციპლინა, რატომ არ შეიძლებოდა ასეთი კარგი კვლევებისა ფონზე, გაწერილი საგნები მოდულში ყოფილიყო სავალდებულო ბლოკად, კვლევის 120 კრედიტი კი კანონის მიხედვით კრედიტებში არ უნდა იყოს ასახული. დაწესებულების წარმომადგენელმა რამდენიმე უცხოური უნივერსიტეტი ახსენა, რომელთა პროგრამებიც ალბათ ნახეს ჩაატარეს „ბენჩმარკინგი“ და გაიზიარეს მათი გამოცდილება, ასევე ჰქონდათ საკმაოდ წარმატებული კვლევითი გზა და დაინტერესდა თუ რატომ არჩიეს ასეთი მიმართულება, რამაც აღნიშნული შედეგი გამოიწვია.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ბუნდოვანია ტერმინი რა იგულისხმება კონკრეტულად ტერმინში „საინჟინრო ლოგისტიკას“, ამ დასახელების გაცნობისას რატომღაც ელოდა და ჰქონდა განცდა, რომ საინჟინრო ლოგისტიკა ითვალისწინებდა გადაზიდვების საინჟინრო ასპექტების შესწავლას (მაგ. მასალები, კონსტრუქციები, და ა.შ.) აქედან გამომდინარე, ჩნდება ორი შეკითხვა თუ რამდენად აქტუალურია ამ საკითხების კვლევა სადოქტორო დონეზე და დაახლოებით რა ტიპის კვლევები მოაზრება პროგრამის ფარგლებში. ამ კითხვების დასმის მიზეზია ის, რომ მისი მოსაზრებით

ახალი მისანიჭებელი კვალიფიკაცია უფრო დაავიწროებულია. წინა პროგრამით კვალიფიკაცია ენიჭებოდა ინჟინერიაში და ახლა წარმოდებული პროგრამით კო „საინჟინრო ლოგისტიკაში“ საბჭოს წევრი გაეცნო დაცულ სადოქტორო დისერტაციებს და საინჟინრო ლოგისტიკის თვალსაზრისით ან არ არის ან ძალიან ცოტა ნაშრომია შესრულებული, მაგ., „სატრანსპორტო საშუალებების სალონის გათბობა, კონდიციონირება, შიგაწვის ძრავიდან გამონაბოლქვი აირების თბური ენერჯის გამოყენება“, „საქართველოს საზღვაო აკვატორიუმში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ჩაღვრის სალიკვიდაციო მეთოდების დამუშავება“, „გემების ბალასტურის ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების დამუშავება“, არ განეკუთვნება ლოგისტიკის სფეროს. აქედან გამომდინარე ის დაინტერესდა თუ რითი აიხსნება შედარებით ფართო პროფილის საინჟინრო პროგრამის სადისერტაციო თემატიკის უფრო დაავიწროვება კვალიფიკაციის კუთხით. წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით დაწესებულება/დოქტორანტები იძულებულიები იქნებიან ტრადიციული კვლევის თემატიკებზე (რაშიც აქვთ სამეცნიერო გამოცდილება) თქვან უარი და დაიწყონ შედარებით ახალი, უფრო ვიწრო მიმართულების კვლევები. ასევე დაინტერესდა, ასეთი ცვლილება ხომ არ იყო გამოწვეული პერსონალის ცვლილებით, რადგან კვლევა ყოველთვის მეცნიერის გამოცდილებაზე დგას.

სადოქტორო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია რამდენადაც დაავიწროვდება, მით უფრო ნაკლებად იქნება ორიენტირებული დასაქმების ფართო ბაზარზე. მისი მოსაზრებით სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლების სიღრმეს ნათლად აჩვენებს დასკვნები. ამასთანავე, სადოქტორო ნაშრომი ყოველთვის უნდა მოიცავდეს გარკვეულ სიახლეს მეცნიერებაში. თუმცა სამეცნიერო სიახლე ნაკლებად იკითხება ზოგიერთ დასკვნაში. მან ამოიკითხა პირველი და მეორე დასკვნა ერთ-ერთი დისერტაციიდან: „მას შემდეგ, რაც საქართველო გახდა დამოუკიდებელი და დაეუფლა თავის კანონიერ პერიმეტრს შავ ზღვაზე სატრანსპორტო შემოსავლები გახდა ქვეყნის ეკონომიური განვითარების ძლიერი ბერკეტი“, დაინტერესდა რა სამეცნიერო სიახლის მატარებელია ეს პოსტულატი? მეორე დასკვნა: „ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ჩაღვრის პროცესი ადამიანის ფაქტორის პარალელურად გავლენას ახდენენ ზღვის წყლის ჰიდროქიმიურ მაჩვენებელზე, მარილიანობა და ტემპერატურა... სწორედ ამ მახასიათებლებზე დამოკიდებული ზღვის წყლის სიმღვრივე, ხვედრითი მოცულობა, ფენების მდგრადობა და ა.შ.“, საბჭოს წევრის თქმით ამ ამ პარამეტრების გავლენა ძალიან ზოგადი და ცნობილია უკვე, რაიმე სახის სიახლეს მოკლებულია.. ამიტომ იგი დაინტერესდა, თუ რატომ არის სადისერტაციო ნაშრომის ძირითად დასკვნებში ასეთი საკითხები.

საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე დაინტერესდა ხომ არ გამოიწვია აღნიშნული პროგრამის დამძიმება, რომ შემოვიდა ახალი სიტყვა რომელიც დავის საკითხია და შესაძლოა ამან გამოიწვია გაურკვევლობა, შესაძლებელია ერთიდაიგივე საკითხს სხვადასხვანაირად შეხედოს ადამიანმა და ფაქტობრივად თუ მოიხსნებოდა სიტყვა „ლოგისტიკა“ და ეს იქნებოდა ჩვეულებრივი პროგრამა „სატრანსპორტო საშუალებების გადაზიდვა, ორგანიზაცია და მართვა“ დადგებოდა თუ არა უკეთესი სურათი.

ასევე დაინტერესდა დაწესებულების მიერ განხორციელებული საერთაშორისო აქტივობების შესახებ ინფორმაციით.

საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე დაინტერესდა თუ რამდენად უშლის ხელს ხელშეკრულების არ არსებობა პროგრამის მდგრადობას, თუ კი გაითვალისწინებენ, რომ შესაძლებელია მოწვეულმა ლექტორმა უცებ უარი თქვას, მიუხედავად იმისა, რომ საწყიდ ეტაპზე თანხმობა აქვს გამოთქმული მოწვეულ პირს ხელმძღვანელობაზე ეს შესაძლებელია შიდა სტრუქტურაშიც მოხდეს.

პროგრამასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ კურიკულუმში გაწერილია დასაქმების მიმართულების შესახებ თუ რა არის დასაქმების სფერო, ეს არის სატრანსპორტო დარგის სხვადასხვა ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მქონე ორგანიზაციები, დაინტერესდა სამაგისტრო ცოდნით არ არის შესაძლებელი, რომ ამ ორგანიზაციების მოთხოვნები

დააკმაყოფილოს დასაქმების მსურველმა, რამდენად არის აუცილებელი დოქტორის აკადემიური ხარისხი ამ ტიპის ორგანიზაციებისთვის, რადგან მხოლოდ მეორე ეტაპზე ჩანს, რომ ამ ხარისხის მქონე ადამიანების დასაქმების სფერო არის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები.

საბჭოს წევრმა გადახედა 4 დისერტაციას და გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია, მაგ., ერთ-ერთ დისერტაციაში 151 წყაროდან მხოლოდ 7 არის ინგლისურენოვანი და დანარჩენი მთლიანად არის რუსულენოვანი. რეალურად უმრავლესობა არის რუსულენოვანი წყარო და დომინირებს 70-80-იან წლებში გამოქვეყნებული წყაროები, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ საიდან მომდინარეობს აღნიშნული ფაქტი, მითუმეტეს, როდესაც იგივე უნივერსიტეტის სხვა პროგრამასთან დაკავშირებით აქვს შესაბამის ბაზებზე წვდომაზე, შესაბამისად დოქტორანტებს მითუმეტეს ექნებათ შესაძლებლობა ბაზების გამოყენების, დაინტერესდა თუ რის გამო არის, რომ ძირითადად მაინც მომველებულ რუსულენოვან ლიტერატურას იყენებს თაობა, რომელთანაც რუსული მაინდამაინც ახლოს არ არის.

საბჭოს წევრისთვის ბუნდოვანია სილაბუსი, რომელსაც „კვლევითი კომპონენტები“ ჰქვია, მისთვის არ არის აღქმადი თუ რას ემსახურებოდა აღნიშნული სილაბუსი, მაგრამ იქვე კიდევ ორი საკითხი იყო გაურკვეველი, ერთგან ეწერა, რომ მონოგრაფიის გამოქვეყნებას ავალდებულებენ დოქტორანტს, რომელიც არანაკლებ 10 ეგზემპლარით უნდა იყოს წარმოდგენილი, უნდა ჰქონდეს SSN, ანუ როდის უნდა მოხდეს გამოქვეყნება და რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი, რომ წინსწრებით გამოაქვეყნოს მონოგრაფია და მერე დაიცვას დისერტაცია. ასევე წერია, რომ ავტორფერატის დაბეჭდვა აუცილებელია, უბრალოდ ტექნიკური მხარეა, რომ ამობეჭდილი სახით უნდა მიიტანოს, თუ აქაც გამოქვეყნება მოითხოვება.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ განაცხადა, რომ მისთვის საინტერესოა, განსაკუთრებით დოქტორანტურის საფეხურის პროგრამაში, საერთაშორისო თანამშრომლების ფაილში წარმოდგენილია მხოლოდ ერთ ქვეყანასთან, პოლონეთთან გაფორმებული მემოარნდუმი, დაინტერესდა თუ რა იყო ამის მიზეზი.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამის განხილვისას თითოეული კომპონენტი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ პირველ რიგში შეხედა 2.4 ქვესტანდარტს, რომელიც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 3.2 ქვესტანდარტს, რომელიც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ანუ რესურსი თუ რამდენად შესაძლებელია ხარისხიანი კვლევების განხორციელება, თუმცა პროგრამასთან მიმართებით რომ არის კითხვები და ექსპერტებს ნამუშევარი აქვთ, კითხვები ცხადია გაჩნდებოდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ 1.1 ქვეკომპონენტში საუბარია პროგრამის მიზნების შესაბამისობაზე, შესაძლებელია, კვალიფიკაციაზე იყოს კითხვები, თუმცა, რა უშლის ხელს რომ იყოს მიზნებთან შესაბამისი, დავუშვათ კვალიფიკაციაში შეცდომა დაშვებული, დაწესებულების მიზნებთან არ არის შესაბამისობაში, შინაარსობრივად შესაძლებელია თუ არა ხელს უშლიდეს, დაინტერესდა თუ რითი იხელმძღვანელა ექსპერტთა ჯგუფმა 1.1 ქვეკომპონენტის შეფასების დროს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულების მიზნებთან არ არის აღწერილი შეუსაბამობა, პირიქით მისიასთან თავსებადია, საუბარია პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების შეუსაბამობაზე კვალიფიკაციასთან.

საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე დაინტერესდა თუ რას ითვალისწინებს 1.1 ქვეკომპონენტი, რასთან შესაბამისობა/შეუსაბამობას. შესაძლებელია თუ არა აღნიშნული კომპონენტის გამოსწორება 2 წელში, შეცდომაც რომ იყოს დაშვებული.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ განაცხადა, რომ კითხვები გაუჩნდა სახელწოდებასთან დაკავშირებით „სატრანსპორტო - ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაცია და მართვა“, მისი მოსაზრებით ორგანიზაცია და მართვა არ განეკუთვნება საინჟინრო დარგს, ორგანიზაცია და მართვა არის სხვა სპეციალობის შესწავლის ძირითადი ობიექტი, ამის შემდეგ მან დაიწყო არგუმენტირებული პოზიციის კითხვა, სადაც გაწერილია, რომ „ლოგისტიკური მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები“ მენეჯმენტი არც ლოგისტიკურია და არც მსუბუქი მრეწველობის,

მენეჯმენტი არის მენეჯმენტი, შეიძლება ლოგისტიკის მენეჯმენტი, ლოგისტიკური ორგანიზაციის მენეჯმენტი. გაეცნო ინფორმაციას, სადაც მითითებულია, რომ საინჟინრო ლოგისტიკა კვეთაშია მენეჯმენტსა და ინჟინერიას შორის, რამაც ძალიან დააბნია, კლასიფიკატორის მიხედვით 0719 საინჟინრო საქმე არაკლასიფიცირებული, უბრალოდ სხვაგან ვერსად განათავსეს საინჟინრო, თუმცა არავინ დაობს, რომ ეს არის საინჟინრო და შემდეგ არის 0719.1.8, საინჟინრო ლოგისტიკა, ეს არის კლასიკური ინჟინერია, ეს არის ლოგისტიკური პროცესები და იქ წარმოშობილი ინჟინრული პრობლემების გადაწყვეტა, მისი მოსაზრებით დაწესებულებას ჰქონდა ძალიან კეთილშობილური სურვილი ძალიან მჭიდროდ დაეკავშირებინათ ერთმანეთთან ლოგისტიკა და მენეჯმენტი, მაგრამ ველის შეცვლა არ გამოდის, ისეთი ველები, როგორებიცაა საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი, თვითონ ლოგისტიკა, სატრანსპორტო ლოგისტიკა არის მხოლოდ მაგისტრატურაში, შესაბამისად ინჟინერიის ველიდან არ უნდა გამოვიდეთ, მისთვის გასაგებია, რომ ეს ძალიან კარგად ჟღერს, ორგანიზაცია და მართვა სახელწოდებაში, მაგრამ გარკვეული ზომით ეს სახელი დამაბნეველიცაა, რადგან მსგავს დისერტაციას იცავენ მენეჯმენტში, სადაც სავსებით ლოგიკურია და იქნებ ეს იყო საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ძალიან კეთილშობილური სურვილი გაეერთიანებინათ, ექსპერტებმა კი სწორედ ამას მიაქციეს ყურადღება.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როგორც სისტემების და ოპერაციათა მართვის კურსის და მენეჯმენტის დარგის სპეციალისტს, პროგრამის გაცნობისას, პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე (ორგანიზება და მართვა), ჰქონდა მოლოდინი, რომ პროგრამა გულისხმობდა მენეჯმენტს. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ მენეჯმენტის დარგში შემავალ სასწავლო კურსებში „სისტემებისა და ოპერაციების მენეჯმენტი“ - ლოგისტიკის მართვა, მიწოდების მართვა, სისტემების მართვა, ოპერაციული სისტემები არიან მისი განუყოფელი ნაწილი; შესაბამისად, სისტემების მართვა მენეჯმენტის, როგორც დარგის შემადგენელი კომპონენტია. პრაქტიკულად კი აღმოჩნდა, რომ განსახილველად წარმოდგენილ პროგრამაში არის საინჟინრო, მენეჯმენტი, ლოგისტიკა, ოპერაციები, რომლებიც მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლებია რეალურად.. პროგრამის სათაურშიც კი მითითებულია ორგანიზაცია და მართვა, რომელიც მიუთითებს მენეჯმენტზე. ინსტიტუციამაც აღნიშნა, რომ საინჟინრო ლოგისტიკა და სატრანსპორტო ლოგისტიკა არის ერთიდაიგივე. საინჟინრო ლოგისტიკა არის სატრანსპორტო ლოგისტიკის ბაზა, იყოს ბაზა, მაგრამ პროგრამაში არის სახელწოდება „ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაცია და მართვა“. ამასთან, სადისერტაციო ნაშრომები, თუ სათაურებიდან ვისმჯელებთ არ არის ორგანიზებასა და მართვაში, ანუ არ მოდის შესაბამისობაში იმ სადისერტაციო ნაშრომებთან, რომელიც არის წარმოდგენილი; გარდა ამისა ის საგნები, რომლებიც არის პროგრამაში გაწერილი ნაწილი პირდაპირ მენეჯმენტთან, როგორც დარგთან კავშირშია და ნაწილი კი არა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა მოისწრაფიშვილმა 1.1 ქვეკომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აქ არ დაობენ იმ საკითხზე შესაძლებელია თუ არა 2 წლის განმავლობაში პროგრამის შესაბამისობაში მოყვანა, თუმცა 1.1 ქვეკომპონენტი პირდაპირ უთითებს, რომ პროგრამას უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები, სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ასახავს ცოდნას, უნარებს და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებისკენ არის მიმართული, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის მიზანი არის განაცხადი, პროგრამის მიზნის განაცხადი მიზნის ჩამოყალიბებით იწყება პროგრამა და შემდგომში მისი განვითარება ხდება სწავლის შედეგების შინაარსის მიმართულებით, სწორედ ამაზეა საუბარი, მან განაცხადა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, თეიმურაზ კოჩაძე არის ძალიან კარგი პროფესიონალი, თუმცა ვერ დაეთანხმება, რომ ლოგისტიკა არის მხოლოდ სატრანსპორტო ლოგისტიკა და ექსპერტებმა, მათ შორის დარგის ექსპერტმა, ვალერი ჯაჯანიძემ უტრირება მოახდინა, როდესაც ბრძანა, რომ საინჟინრო ლოგისტიკა ეს არის კომპლექსების, ჰაბების და ა.შ. პროცესები, მთლიანად სასაწყობე მეურნეობის გადაზიდვების მართვის და სხვა. ეს ექსპერტებს არ მოუგონიათ ეს არის

საინჟინრო ლოგისტიკის კლასიკური განმარტება, ანუ ლოგისტიკის საინჟინრო ნაწილის. ლოგისტიკა მსოფლიოში არის ახალი ჩამოყალიბებული მეცნიერება, ახალი ჩამოყალიბებული დარგი და მას აქვს 2 მიმართულება: ლოგისტიკის ბიზნესის ანუ მენეჯმენტის მიმართულება, კლასიფიცირებულია ბიზნესის ადმინისტრირებაში, იმიტომ არის სხვადასხვა ტიპის ლოგისტიკა მოხვედრილი, რომ ბიზნეს პროცესებს, ანუ ლოგისტიკის კომერციულ ნაწილს სწავლობს, სხვანაირად შეუძლებელია ლოგისტიკური პროცესების მართვა და გარდა ამისა ამ ბიზნეს პროცესსა და კომერციალიზაციას სჭირდება საინჟინრო აღჭურვილობა, რომლის გარეშეც ეს პროცესი ვერც საწყობის ლოგისტიკა, ვერც დისტრიბუცია-მიწოდების ჯაჭვის ჩამოყალიბება და მართვა ვერ განხორციელდება საინჟინრო აღჭურვილობის გარეშე, რადგან კომპლექსსა და ჰაბს სჭირდება მშენებლობა და აღჭურვა.

უმუალოდ მიზანთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ძველი აკრედიტაციით მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო „ტრანსპორტში“, მაშინ „ტრანსპორტში“ მოიაზრებოდა ის ვიწრო ნაწილი, სატრანსპორტო ლოგისტიკა, მაგრამ არა მთლიანთან ლოგისტიკა, 120E-ში ლოგისტიკა იყო ბიზნეს ადმინისტრირების ნაწილი და სატრანსპორტო ლოგისტიკა იყო ტრანსპორტის ნაწილი, ახლა კი როდესაც შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია და არა კლასიფიცირებული ინჟინერიის სფეროში 0719-ში და არა ბიზნესის ადმინისტრირების, ან მომსახურების, ან სატრანსპორტო მომსახურების 1041 კვალიფიკაციის ქვეშ არ მოხვდა და მოხვდა ინჟინერიის მისანიჭებელი კვალიფიკაციაში, შესაბამისად პროგრამის მიზანი უნდა ემსახურებოდეს იმ ინჟინერიის, საინჟინრო თუნდაც სიტყვით მაინც უნდა იყოს ნათქვამი საინჟინრო ლოგისტიკის შესახებ. სატრანსპორტო ლოგისტიკური პროცესების ორგანიზაცია და მართვის პროგრამის მიზანია დოქტორანტებისთვის ტრანსპორტის დარგში 0716-ში შემოქმედებითი, ნოვატორული ინიციატივების გენერირება, შედეგზე ორიენტირებული კრეატიული იდეებისა და ჰიპოთეზების შექმნა, მათი შეფასებისა და განხორციელების საკვლევ სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ანალიტიკური უნარების გამომუშავება, აგრეთვე ტრანსპორტის სფეროში გათვლილი სწავლების თანამედროვე მეთოდების დაუფლება, ამიტომ იყო შენიშვნა მიცემული, რომ აკადემიური უნარებიც უნდა გამოუმუშავდეთ თუკი მიზანში წერია, რომ ახალი ცოდნისა და თანამედროვე მეთოდების შექმნა შეუძლია, დოქტორები სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე არსებული კონუქტიური სისტემებით და კრიტიკული გააზრებით ადგენენ სატრანსპორტო პროცესების ეფექტურობაზე მოქმედ ფაქტორებს და პრაქტიკული წინადადების დამუშავებით ხელს უწყობენ სატრანსპორტო მომსახურებას.

მიზანში არსად არ ჩანს საინჟინრო ლოგისტიკის კვალიფიკაციისთვის სტუდენტის, დოქტორანტის მომზადების მიზანი, ის, რომ უნივერსიტეტის მისიაში გაცხადებულია მისი მრავალდარგოვნება, და ა.შ. ამაზე წერია დასკვნაში, რომ ზოგადად საინჟინრო რადგან არის უნივერსიტეტის მისიას კი შეესაბამება, ვინაიდან საინჟინრო დარგების სპეციალისტების მომზადებაზე არის უნივერსიტეტი ორიენტირებული, თუმცა ეს მიზანი არ ასახავს მისანიჭებელი კვალიფიკაციით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, ამიტომ არის გაცემული აღნიშნული შენიშვნა, ამიტომ არის ასეთი მძიმე შეფასება, რადგან ვერცერთ კომპონენტს პასუხობს გარდა იმისა, რომ ინჟინერიაშია და დაწესებულებ მზად არის ინჟინერიაში მოამზადოს კადრი.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ განაცხადა, რომ გასაგებია ბიზნეს ადმინისტრირების პროცესის მიმდინარეობა და სავარაუდოდ იქნება მშრალი ტვირთები, შეფუთული ტვირთები, ბევრი სხვადასხვა ტვირთები შეიძლება იყოს და დგება საკითხი საინჟინრო პროცესისა ამწის მუშაობა, ტრანსპორტიორისა და სხვა, არის თუ არა ეს ყველაფერი გათვალისწინებული აღნიშნულ პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ განაცხადა, რომ ეს საკამათო თემაა, ნამდვილად, ბევრი ნამუშევარია, დასკვნა კომპეტენტურად არის დაწერილი, მაგრამ შესაძლებელია აცდენები იყოს კვალიფიკაციას, პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის

მისია შინაარსობრივი მხრით პასუხობს და იქნებ რაღაც პერიოდის განმავლობაში გამოსწორებადია, დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ განაცხადა, რომ განხილვა ემსახურება პროგრამის გაუმჯობესებასა და რჩევების გაცემას, მისი მოსაზრებით გადატვირთვის პროცესი არის ისეთი პროცესი, რომელსაც მხოლოდ საინჟინრო საქმე შეიძლება არ ჰყოფნიდეს, თანამედროვე გადატვირთვის სერიოზული მართვის პროცესი ემატება და დაინტერესდა თუ როგორ მიაჩნია ექსპერტს აღნიშნული საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა ჯამური 100%-დან რამდენი პროცენტი უჭირავს ტრანსპორტის ლოგისტიკას, საინჟინროსა და მენეჯმენტს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს არის მსოფლიოს საკამათო თემა ლოგისტიკა მენეჯმენტია თუ ინჟინერია და ის, რომ არაკლასიფიცირებული მენეჯმენტის ხარისხშია მოხვედრილი ეს არის 90% მისი დამსახურება, რადგან როდესაც იგი იყო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი, რომელი ფაკულტეტის ახორციელებდა საინჟინრო ლოგისტიკურ პროგრამას სამი გერმანულ უნივერსიტეტთან ერთად, ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც აღიარა რომ ლოგისტიკა არ არის ბიზნესი, ეს იყო გერმანია, შემდეგ გაიზიარეს სხვა ქვეყნებმაც, რომ იგი საჭიროებს სერიოზულ საინჟინრო პროცესებს, იქ არის პროცესები, მაცივრების, კონვეიერების, ამწეების და სხვა პროცესები გარდა დისტრიბუცია-მიწოდების ჯაჭვისა, რათა შესაძლებელი იყოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური პროცესების წარმოება. დაახლოებით მესამედი მართვა, მესამედი ინჟინერია და მესამედი ლოგისტიკა. ცხადია ძალიან მნიშვნელოვანია სატრანსპორტო ლოგისტიკა, რადგან საბოლოო მიწოდებას სწორედ ის განსაზღვრავს და ყველაფერი მაინც სატრანსპორტო ლოგისტიკით მთავრდება.

საინჟინრო ლოგისტიკურ კომპლექსებსა და ჰაბებში მუშაობენ სხვადასხვა კვალიფიკაციის სპეციალისტები, ძალიან სერიოზულ კომპლექსებსა და ჰაბებში არსებობს რობოტო ტექნიკა, ავტომატური მართვის ხაზებია, მათ თავისი სპეციალისტები სჭირდებათ, მაგრამ იმას რასაც მართავენ საინჟინრო აღჭურვილობებია და აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, რომ დაემატებინათ სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც სრულად მოიცავენ საინჟინრო ლოგისტიკას, თუნდაც სატრანსპორტო ლოგისტიკის თვალსაზრისით პროგრამის ხელმძღვანელებსა და განმახორციელებლებს გათვალისწინებული აქვთ საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტი, როდესაც ტრანსპორტის ლოგისტიკაში ვერ იქნება მხოლოდ ამ ორი ტიპის ტრანსპორტი, იქაც არის სპეციალური ტრანსპორტი, საჰაერო, საზღვაო, შესაბამისად მთელი რიგი კომპონენტებია დასამატებელი პროგრამაში.

საბჭოს წევრის, ანზორ ბერიძის თქმით ექსპერტმა განაცხადა, რომ შესაძლებელია ორ წელში აღნიშნული პრობლემის გამოსწორება, უბრალოდ იგი დაინტერესდა შინაარსობრივად თუ არის კვლევები შესაბამისობაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საჭირო არის სხვა საინჟინრო აღჭურვილობების შესწავლა და სხვა საინჟინრო მოწყობილობების დამატება, რადგან მხოლოდ სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტი ვერ იქნება ლოგისტიკური.

მან აღნიშნა, რომ 2 წლის განმავლობაში შესაძლებელია ღნიშნული პრობლემის გამოსწორება, თუმცა შესაბამისობაშია მოსაყვანი მიზანი, სწავლის შედეგები და პროგრამის შინაარსი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ გარკვეული დისერტაციები იყო სატრანსპორტო ლოგისტიკის მიმართულებით და ძირითადად მათზე გაამახვილა ყურადღება, გაჟღერდა რჩევები რუსულ ლიტერატურასთან დაკავშირებით, თუმცა თვითონ ასეთი კრიტიკული არ ყოფილა, დისერტაციების ხარისხი იყო დამაკმაყოფილებელი.

საბჭოს წევრის, ელიზბარ ელიზბარაშვილის კითხვაზე, მან უპასუხა, რომ არ იყო სავალდებულო ძველ აკრედიტებულ პროგრამაში ყველა სატრანსპორტო ლოგისტიკის საკითხი

ყოფილიყო, რადგან მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო ტრანსპორტის ინჟინერია, რომელიც შეიძლება ყოფილიყო ძრავიანი ტრანსპორტის მექანიკური და ექსპლუატაციის ნაწილების კვლევის თემატიკა და შესაძლებელია ყოფილიყო სხვა თემატიკაც, საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული კითხვა მიმართული იყო დაწესებულებათა, იგი დაინტერესდა თუ რატომ წავიდა დაწესებულება იმ მიმართულებით, სადაც ნაკლები გამოცდილება ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სულ არის 19 განმახორციელებელი პერსონალი, აქედან 2 არის დოქტორანტი და რეალურად არის 17 პირი, რომლებსაც შეუძლიათ სადოქტორო კვლევებს უხელმძღვანელონ, რაც საკმარისზე მეტიამ თუმცა ამ 17 პერსონალიდან 5 მოწვეულია, ექსპერტთა ჯგუფს არ გაუჩნდა კითხვა პროგრამის მდგრადობასთან მიმართებით, რადგან 12 განმახორციელებელი სადოქტორო პროგრამისთვის აბსოლუტურად საკმარისია, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ახალ პროგრამაში დაამატეს საზღვაო ტრანსპორტის მიმართულებით სასწავლო კურსები, რომელთა განხორციელებისთვის მოწვეული ჰყავთ საზღვაო აკადემიის პერსონალი, მათ შორის ერთი არის პროგრამის თანახელმძღვანელი და ამავე დროს ერთ-ერთ სილაბუსში მითითებულია უცხოელი პროფესორი, ამიტომ გაჩნდა მოსაზრება, რომ აუცილებლად უნდა ყოფილიყო მათთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომ უზრუნველფილი ყოფილიყო იმ სასწავლო კურსების წაკითხვა, რომელიც მათთვის იყო გამიზნული.

ექსპერტმა, ვალერი ჯაჯანიძემ განაცხადა, რომ როდესაც ექსპერტთა ჯგუფი მატერიალურ ბაზას გაეცნო, შესაძლებელია ძრავიანი ტრანსპორტის მიმართულებით კვლევის განხორციელება, შესაბამისად კვალიფიკაციის კუთხით ცოტა რთულია საკუთარი ბაზით კვლევის განხორციელება, ძირითადად საუბარია ეკოლოგიურ კვლევაზე, კვლევის საშუალებას იძლეოდა კონკრეტული მოწყობილობა რაც მათ ჰქონდათ ბაზაზე, მას გაუჩნდა მოსაზრება, რომ როდესაც ქუთაისში იქმნება ლოგისტიკური ჰაბი, რატომაც არა, რომ მასთან გაკეთდეს მემორანდუმი, რომელიც კვლევის საშუალებას მისცემს, ექსპერტმა 10 წელია, რაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და პრობლემა სწორედ ეს იყო, უნივერსიტეტს კონკრეტულ პროგრამაზე არ ჰქონდა მონახაზი, ხელშეკრულება თუ სად უნდა გაკეთებულიყო კონკრეტული კვლევა, რაც პრობლემას ქმნიდა დოქტორანტისთვის, ამიტომ მიზანშეწონილია, განსაკუთრებით საინჟინრო ლოგისტიკის მიმართულებით, მაშინ, როდესაც ეს არის ახალი თემა ქუთაისის აეროპორტი, როგორც ლოგისტიკური ჰაბი მათთან გამოინახოს საერთო ენა და დოქტორანტებს მიეცეთ საშუალება, რომ კვლევის გარკვეული ნაწილი განახორციელონ ამ ლოგისტიკურ ჰაბში, რაც შესანიშნავი საშუალება იქნება, რომ გაიზარდოს საინჟინრო ლოგისტიკის მაღალი კვალიფიკაციის მქონე დოქტორი. რამდენადაც არსებული ბაზა არის ძრავიანი ტრანსპორტის მიმართულებით, მაგრამ არა საინჟინრო ლოგისტიკის მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრის კითხვას ტერმინის მიერ დასკვნის დამძიმების შესახებ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით თუ იქნებოდა 1041-ში მისანიჭებელ კვალიფიკაცია, ტრანსპორტის მომსახურებებში, საუბარი არ არის 50% კომპონენტზე, რეკომენდაცია მიეცათ რადგან იქ არის კვლევის სამი მიმართულება განსაზღვრული, რომელთა მიმართულებითაც აღწერილია სწავლის შედეგები და იმ სასწავლო კურსებით ვერ ხდება გაწერილი სწავლის შედეგების დაფარვა, ამიტომ მიეცათ რეკომენდაცია და არა ექსპერტთა ჯგუფის სურვილის გამო, რომ 50%-ზე მეტი იყოს მიმართული სწავლის შედეგების გამომუშავებაზე, მთავარი არის, რომ პროგრამა თავისი შინაარსით ფარავდეს სწავლის შედეგებს, რომლებიც გაწერილია, რათა დოქტორანტი, რომელიც დაიწყებს სადოქტორო პროგრამაზე სწავლას არ დარჩეს მოტყუებული, რადგან ის წინასწარ ეცნობა სწავლის შედეგებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაეთანხმა საბჭოს წევრს, გაიოზ ფარცხალაძეს, რომ თუ პროგრამა იქნებოდა ტრანსპორტის მომსახურებებში ასე არ დამძიმდებოდა დასკვნა.

დასაქმებასთან დაკავშირებით, თუ რამდენად საჭიროა დასაქმებისთვის დოქტორის ხარისხი, მან განაცხადა, რომ დამსაქმებლების მოსაზრებით სჭირდებათ, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფი მათ მოთხოვნებში ეჭვს ვერ შეიტანენ, თუმცა ზოგჯერ რამდენად ადეკვატურია დამსაქმებლების

მოთხოვნა, ექვებს იწვევს, მიუხედავად ამისა არ გაიცა აღნიშნული შენიშვნა, რადგან დამსაქმებლებმა ერთხმად თქვეს, რომ სჭირდებათ დოქტორის აკადემიური ხარისხი.

17:58 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნიკა თიკანაშვილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრის, ელენე ჟურავლოვას კითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რადგან სამეცნიერო სტატიაზე ზოგადი ჩანაწერი იყო დოქტორანტურის დებულებაში, გასაუბრების დროს დოქტორანტებმაც აღნიშნეს და განმარტებულმა პერსონალმაც ხაზს გაუსვა Impact ფაქტორს, რომ ყოფილიყო დაზუსტებული თუ რა მოითხოვებოდა, რეფერირებადი ჟურნალი შეიძლება იყო ძალიან დაბალი დონის, შეიძლება ერქვას რეფერირებადი ჟურნალი, მაგრამ შეიძლება იყოს დაბალი ხარისხის, ამიტომ ექსპერტები ვალდებულები იყვნენ, რომ აღეწერათ რეალური ფაქტობრივი მდგომარეობა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამის სახელწოდება არის „სატრანსპორტო - ლოგისტიკური სისტემების ორგანიზება და მართვა“ ანუ მართავენ სატრანსპორტო ლოგისტიკურ სისტემებს, რაღაც პროცესებს, რომელთა ერთობლიობა შედის სატრანსპორტო ლოგისტიკურ ქუდში. იგი დაინტერესდა რამდენად არის შესაბამისობაში ერთმანეთთან პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და დაცული დისერტაციები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არ არის შესაბამისობაში. იქნებოდა რომ ყოფილიყო ტრანსპორტის მომსახურებები, გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა, მიუხედავად იმისა, რომ არ არის მენეჯმენტის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ფუნქციონირება მოიცავს გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის პროცესებს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ განაცხადა, რომ აბსოლუტურად დარწმუნებულია ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის კეთილგანწყობაში და გრძნობს გამოსავლის ძიებას. იგი დაინტერესდა 1041 - სატრანსპორტო მომსახურება თუ 1049 - სატრანსპორტო მომსახურება არა კლასიფიცირებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 1049, ტრანსპორტის მომსახურების ქვეშ, არა კლასიფიცირებული, მისი მოსაზრებით იქ არ არის ჩანაწერი.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ დასძინა, რომ 1049 საერთოდ ღიაა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წარდგენილი იყო Exel-ის ფაილი, რომელშიც ერთ-ერთი ფურცელი დასათაურებულია, როგორც „კვების ინდუსტრია“, სათაურად წერია „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზა“, იგი დაინტერესდა პროგრამას ჰქვია „სატრანსპორტო - ლოგისტიკური სისტემების ორგანიზება და მართვა“ ბიუჯეტის Exel-ის ფაილში კავშირი „კვების ინდუსტრიასა“ და „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზა“ შორის, აღნიშნული რომ დაზუსტდეს.

ასევე აკადემიურ ხელფასში წერია ნული, დაინტერესდა ნიშნავს თუ არა იმას, რომ აღნიშნულ პროგრამაში არ გაიცემა აკადემიური ხელფასი და როგორია დაფინანსება კვლევით კომპონენტში.

საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი, ომარ კიკვიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. ბიუჯეტის ნაწილთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ტექნიკური ხასიათის შეცდომაა „სატრანსპორტო - ლოგისტიკური სისტემების ორგანიზება და მართვა“ უნდა იყოს წარდგენილი. რაც შეეხება დაფინანსებას, ფინანსდება აკადემიური პერსონალის შრომა, კერძოდ საკონტაქტო საათები ხელმძღვანელობისათვის, რომელიც გათვალისწინებულია წელიწადში 15 საათის ოდენობით. კვლევების დაფინანსებაზე მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია დოქტორანტების სწავლის საფასურის ანაზღაურება, დახმარება 40%-ით, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს კვლევითი სამუშაოების შესრულებას, აღნიშნულ პროგრამაში 2 საგრანტო პროექტი იქნა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული, რამაც მათ მისცა საშუალება 40 000-მდე ლარის დანადგარები შეეძინათ, გარდა ამისა მათ დოქტორანტებს საშუალება ჰქონდათ მოხსენებები, მათი კვლევის შედეგები წარედგინათ საერთაშორისო კონფერენციებზე, რისი ამსახველი ვიდეო/ფოტო მასალა არსებობს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, მოხსენებები წარდგენილ იქნა ბულგარეთში,

უნგრეთსა და თურქეთში. დოქტორატებთან ერთად აკადემიურ პერსონალსაც ჰქონდა საშუალება მონაწილეობა მიეღო.

საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მხოლოდ პოლონეთია ნახსენები, რადგან განსაკუთრებით ინტენსიური ურთიერთობა აქვთ პოლონეთის სამეცნიერო წრეებთან, სისტემატურად ტარდება ქართულ-პოლონური კონფერენცია, მესამე/მეხუთე კონფერენცია ჩატარდა ქუთაისში და პოლონეთის საკმაოდ დიდი დელეგაცია იმყოფებოდა ჩამოსული, სხვა დანარჩენი კონფერენციები ტარდება თბილისში და მათი აკადემიური პერსონალი აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც წარმოადგენდა საკუთარი კვლევის შედეგებს. პროგრამის განხილვის დროს უცხოელ ექსპერტს ჰქონდა გარკვეული რეკომენდაციები პროგრამასთან დაკავშირებით, რომლებიც გათვალისწინებული და ასახულია პროგრამაში ასახულია პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ დააზუსტა თავისი კითხვა, მას არ დაუსვამს კითხვა, რატომ პოლონეთი, მან იკითხა რატომ მხოლოდ პოლონეთი და არა სხვა ქვეყნებიც, რადგან სადოქტორო პროგრამაზე მეტი ინტერნაციონალიზაცია, მეტი საერთაშორისო კონტაქტია საჭირო.

საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი დაეთანხმა საბჭოს წევრს. მან განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს ძალიან კარგი კონტაქტები, ფიქრობენ ურთიერთობების გაფართოებას, ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ ბულგარეთთან, განსაკუთრებით პროგრამის აკადემიურ პერსონალს, მაგრამ ყველაზე მეტად ეს ურთიერთობები განვითარებულია პოლონეთთან.

სტატიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დამტკიცებული აქვს ჟურნალების ნუსხა, სადაც დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს 3 სტატია, რაც ჩაითვლება იმის საფუძვლად, რომ მან ნაშრომი წარადგინოს სადისერტაციო საბჭოში და დაცვისათვის სადისერტაციო კომისიის წინაშე.

მისი თქმით მონოგრაფია დისერტაციის დაცვისათვის არ არის აუცილებელი წინაპირობა, დებულებაში უბრალოდ გაწერილია, რომ შესაძლებელია დოქტორანტმა წარადგინოს. ავრორეფერატის წარდგენა ევალუა სადისერტაციო საბჭოში, ხელნაწერის უფლებით A4 ფორმატზე ამობეჭდილი უნდა წარადგინოს 4 ეგზემპლარად და შემდეგ უკვე რეცეზენტების დადებითი შეფასების შემთხვევაში ავტორეფერატები იბეჭდება და იგზავნება ბიბლიოთეკაში, ასევე ეგზავნება სადისერტაციო საბჭოს წევრებსაც. დაცვის შემდეგ დისერტაციის ელექტრონული ვერსია თავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განცხადა, რომ ავტორეფერატების როლი თავის დროზე იყო ის, რომ დისერტაცია და კვლევის შედეგი ითვლებოდა სახემწიფო საკუთრებად და გარკვეულ საიდუმლოებად, ამასთანავე ხარისხების მინიჭებას აწარმოებდა მეცნიერებთა აკადემია და მთელს საბჭოთა კავშირში იყო უნიფიცირებული ავტორეფერატის დაბეჭდვაც წარმოებდა აუცილებლად სტამბური წესით და ესაჭიროებოდა გარკვეული ნებართვები. უნივერსიტეტის შესაბამისი დეპარტამენტისგან, რის შემდეგაც ავტორეფერატი იგზავნებოდა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით უნივერსიტეტებში. შედეგად, ავტორი იღებდა ე.წ. „გამომცხილებს“, რომლის წარდგენაც იყო სავალდებულო, წინააღმდეგ შემთხვევაში დისერტაციის დაცვა ვერ შედგებოდა. ამ სისტემამ მისი არსებობის ბოლო წლებშიც კი ფორმალური ხასიათი მიიღო. აქედან გამომდინარე, დღეს, როდესაც სამეცნიერო ხარისხის მინიჭებაზე პასუხისმგებელია კონკრეტული საგანმანათლებლო დაწესებულება, გაუგებარია ავტორეფერატის როლი და დანიშნულება. ვის ეგზავნება იგი? თუ ავტორეფერატი ეგზავნება კომისიის წევრს, რომ მან გადახედოს, რადგან შემდეგ სადისერტაციო საბჭოში შედის, მაშინ აქ ჩნდება კითხვა, სადისერტაციო საბჭოს წევრი საბოლოო ჯამში რის ხარჯზე აძლევს დისერტაციას შეფასებას, წაკითხული დისერტაციით თუ ავტორეფერატი. მისი მოსაზრებით უმჯობესია დისერტაცია წაკითხოს და არა ავტორეფერატი.

საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ საბჭოს წევრს მხედველობაში ჰქონდა სადისერტაციო ნაშრომები, რომელებსაც ე.წ გრიფი ედო სამსახურეობრივი მოხმარებისათვის, თუმცა მაშინაც იყო ღია ნაშრომები, დაწესებულებას აკადემიური საბჭოს

გადაწყვეტილებით აქვს პროცედურა დადგენილი, რომ დოქტორანტი ამზადებს ავტორეფერატს (მოკლე შინაარსს) და სადისერტაციო კომისიის წევრებს ეგზავნებათ, როგორც ავტორეფერატი, ისე სადისერტაციო ნაშრომიც და საშუალება აქვთ გაეცნონ სადისერტაციო ნაშრომსაც.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა თუ რატომ კარგავს დოქტორანტი დამატებით დროს ავტორეფერატის გაფორმებაზე, თუ დაინტერესებულ ადამიანს ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს სრული დისერტაცია

საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ ავტორეფერეტთან დაკავშირებით ეს არის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება და აღნიშნული გადაწყვეტილების ფარგლებში მიმდინარეობს პროცედურა. მისი მოსაზრებით საჭიროა, რადგან სტატიას, როდესაც აიღებენ, ნახავენ მის სათაურს, ანოტაციას, შედეგებს, ლიტერატურას და ამის შედეგ ჩნდება სურვილი წაიკითხოს თუ არა ნაშრომი, ექმნება გარკვეული შეხედულება ნაშრომზე, ავტორეფერატი გათვლილია არა სადისერტაციო კომისიისათვის, არამედ ფართო მკითხველისათვის, ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით ავტორეფერატი არ არის ზედმეტი, შესაძლებელია კონცენტრირებულად მკითხველი ავტორეფერატში გაეცნოს მოკლე შინაარსს და ამის შემდეგ დაინტერესდეს ნაშრომით.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პაატა გერამემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს. პირველ და მეორე სტანდარტთან მიმართებით მან განაცხადა, რომ არა კლასიფიცირებულ დეტალურ სფეროში ინჟინერია და საინჟინრო საქმე, მოცემული კვალიფიკაცია „საინჟინრო ლოგისტიკა“ იმიტომ მოხვდა კონკრეტულ სფეროში, რომ წარმოადგენს ფართო სპექტრის მიმართულებას, იგი თანაბრად მოიცავს წარმოების, ტრანსპორტის, მომარაგების, ინფორმაციული უზრუნველყოფისა და სხვა მიმართულებების საინჟინრო ხასიათის საკითხებს, საუკეთესო უცხოური პრაქტიკა აჩვენებს, რომ აკადემიური პროგრამები ძირითადად ორიენტირებულნი არიან ერთ ან ორ მომიჯნავე მიმართულებაზეც, ანალოგიურ შემთხვევასთან აქვთ საქმე, როდესაც იმავე დეტალური სფეროს კვალიფიკაციას, საინჟინრო ფიზიკას განიხილავენ, კვლევები აჩვენებს, რომ კვალიფიკაციის მიმართულების ფართო სპექტრიდან, როგორებიცაა სითხეების და აირების მექანიკა, მაღალი ტემპერატურებისა და ატომური ფიზიკა და ა.შ. ვერცერთი არსებული პროგრამა ვერ მოიცავს კვალიფიკაციის მიმართ არსებულ სრულ სპექტრს. პროგრამის მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად მათ მიერ ეს მიდგომაც იქნა გათვალისწინებული, პროგრამაზე მომუშავე ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მოქმედი კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო ითვალისწინებს უცხოურ საუკეთესო პრაქტიკასაც და ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახით აერჩია „საინჟინრო ლოგისტიკა“.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ მას სურდა დაეზუსტებინა თუ რამდენი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტია აღნიშნულ პროგრამაზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ამჟამად 14 დოქტორანტი სწავლობს აღნიშნულ პროგრამაზე. მისი თქმით მოქმედ პროგრამაში თავიდან, როდესაც პროგრამა გაკეთდა სასწავლო გეგმაში მცირე რაოდენობით ჰქონდათ ძირითადი კურსები და სასწავლო კურსების უმრავლესობა იყო არჩევითი ბლოკში, როგორც აღწერილია პროგრამა სამი მიმართულებით მუშაობს, ეს არის სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია და მოძრაობის უსაფრთხოება; სატრანსპორტო საშუალებების ენერგეტიკული დანადგარები და ეკოლოგიური პრობლემები; მულტიმოდალური გადაზიდვები. პროგრამას აქვს ინტელექტუალური რესურსი იმისათვის, რომ აღნიშნული სამი მიმართულებით ჩაატარონ კვლევები დოქტორანტებთან ერთად, მაგრამ შემდეგ აიღეს არჩევითი კურსები, იმის მიხედვით თუ რა ინტელექტუალური შესაძლებლობები არსებობს და იმის მიხედვით, როდესაც დოქტორანტები ირიცხებიან პროგრამაზე რა მიმართულების კვლევას აირჩევენ, თუ დოქტორანტი არჩევს კვლევას პირველი მიმართულებიდან, მაშინ გარკვეული არჩევითი საგნები არსებობს, რომლებიც მან უნდა აირჩიოს, საგნების არჩევა ხდება დოქტორანტის სურვილისა და მის სამეცნიერო

ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე, დაწესებულება დოქტორანტს არ აძალეხს კონკრეტული საგნის არჩევას, თვითონ ირჩევს იმ საგანს, რაც მისი კვლევის მაღალ დონეზე განხორციელებისათვის იქნება აუცილებელი, აქედან გამომდინარე მიმართულებები, რომელზეც მუშაობს აღნიშნული სადოქტორო პროგრამა და ის მოდულები, რომლებშიც გაერთიანებულია გარკვეული მოსაზრებით მსგავსი საგნები ერთმანეთთან არავითარ კავშირში არ არიან, მოდულები ეს არის მსგავსი საგნების გაერთიანება, რომლებიც პირობითად არიან ჩასმული კონკრეტულ მოდულში და შემდეგ მოდულები გადიან სწავლის კონკრეტულ შედეგებზე, არა კონკრეტული საგნები, არამედ მოდულები, შესაბამისად დოქტორანტებს ეძლევათ სრული თავისუფლება მათი შეხედულებისამებრ გაიაროს საგნები.

ლოგისტიკა ისევ განვითარების პროცესშია, რაც შეეხება საინჟინრო ლოგისტიკას ეს სფერო საერთოდ განვითარების პროცესშია და პროგრამის გუნდის შეხედულებით საინჟინრო ლოგისტიკის ქვეშ უნდა მოექცეს ისეთი კვლევები/საკითხები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული არცერთ სხვა დეტალურ სფეროებში, მაგრამ დოქტორანტები იკვლევენ, მაგ., საგზაო პირობებში მარჯვენა საჭიანი ავტომობილის გადასწრების უსაფრთხოების პროცესს, ასეთი კვლევა არ განეკუთვნება არც 0716-ს, სადაც სატრანსპორტო საშუალების დამზადება, კონსტრუირება და დიაგნოსტიკაა და არც 1041-ს, სატრანსპორტო მომსახურების სფეროს არ განეკუთვნება, ამიტომ ასეთი პროგრამების არსებობა ქვეყანაში აუცილებელია, მითუმეტეს ახალი მონაცემებით 2020 წელში 450 ადამიანი გარდაიცვალა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევებში. დოქტორანტების ნაწილი იკვლევს საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტის ურთიერთქმედების გაზრდის საკითხებს, ანაკლიის პორტი და სხვა პორტები, თუ თვითნაკედების გაზრდას სასურველი ამისთვის საჭიროა ასეთი პროცესების კვლევა, რომელიც არ განეკუთვნება არც 0716-ს, სადაც სატრანსპორტო საშუალების დამზადება, კონსტრუირება და დიაგნოსტიკაა მოცემული და არც 1041-ს, სატრანსპორტო მომსახურების სფეროს, ისინი არ არიან კლასიფიცირებულნი. მოქმედი კლასიფიკატორი შექმნილია ევროპული კლასიფიკატორის ბაზაზე, პრაქტიკულად იქიდან არის აღებული, ევროპის კლასიფიკატორში მოიძებნება განმარტება ტრანსპორტის ექსპლუატაცია, ფუნქციონირება, რომელიც იყო საქართველოს ახალი კლასიფიკატორის პროექტში, მაგრამ აღარ არის დამტკიცებულ დოკუმენტში. განსხილველი პროგრამის მიზანი არის ტრანსპორტის ფუნქციონირების პროცესებში წარმოქმნილი საინჟინრო ხასიათის პრობლემების კვლევა ლოგისტიკური მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, რაშიც იგულისხმება ლოგისტიკური პარადიგმა, რომელიც არის ინტეგრალური ანუ სისტემური პარადიგმა და სწორედ აღნიშნულს გულისხმობენ, რომ სისტემური მიდგომის საფუძველზე გადაწყვიტონ პრობლემები, რომლებიც სატრანსპორტო პროცესში არსებობს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ორიენტირებულია ფინეთის მაგალითზე, სადაც სადოქტორო პროგრამებზე დოქტორანტების 80% მიდის ბიზნესიდან და დოქტორანტურის გავლის შემდეგ ბრუნდებიან ისევ ბიზნესის მიმართულებით, მისთვის მისასალმებელია აღნიშნული მიდგომა და მოხარულია, რადგან პროგრამაზე უკვე ჩარიცხულია დოქტორანტი ბიზნეს-ორგანიზაციიდან, ასევე დოქტორანტი ბათუმის ერთ-ერთი გემშემკვთებელი ქარხნიდან, რომლებიც პროგრამის დასრულების შემდეგ ისევ ბიზნესის მიმართულებით გააგრძელებენ მუშაობას, მაგრამ იქნებიან უფრო მეტად კვალიფიციურნი.

მემორანდუმებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მათ გაფორმებული აქვთ მემორანდუმები პოლონეთთან, სოფიის ტრანსპორტის უნივერსიტეტთან, უნგრეთის, ქალაქ დიორის უნივერსიტეტთან, რომლებიც წესით უნდა იყოს წარდგენილ დოკუმენტაციაში, მემორანდუმები აქვთ ასევე საქართველოშიც, სხვადასხვა ინსტიტუციებთან.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ განაცხადა, რომ მემორანდუმები არ დევს საერთაშორისო ურთიერთობების საქალაქში.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა დოკუმენტაციის გადაგზავნა.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ დასძინა, რომ საბჭო არ არის უფლებამოსილი მხედველობაში მიიღოს ახალად წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ „სატრანსპორტო - ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაცია და მართვა“, ეს სახელი ტრადიციულად მოსდევთ, ასე ერქვა საინჟინრო მიმართულებას, ბოლო წლებში კი, 90-იანი წლებიდან გაიყო და მიმართული იყო მენეჯმენტის მიმართულებით, თუმცა გარკვეულწილად რჩება ტრანსპორტის მიმართულებითაც. ერთ-ერთმა დიდმა მეცნიერმა განსაზღვრა, რომ ტრანსპორტის ორგანიზაცია და მართვა შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც ტრანსპორტის ანატომია (ორგანიზაცია) და ფიზიოლოგია (მართვა), აქედან გამომდინარეა მისი ორგანიზაციული საკითხები, თუ როგორ მუშაობს სატრანსპორტო საშუალებების ესა თუ ის რგოლი სწორედ ამ საკითხს ეფუძნება პროგრამა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:27

დასრულების დრო: 19:18

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო - ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

საბჭოს სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

ა) საჭიროა პროგრამის მიზანი შესაბამისობაში მოვიდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და შესაბამისად პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან;

ბ) საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილი იქნას ის კომპეტენციებიც, რომელიც კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება აკადემიური საქმიანობისთვის;

გ) საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ნაწილი საჭიროებს გადამუშავებას, ფორმულირებების დახვეწას და დოქტორანტურის საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანას;

დ) სწავლის შედეგების შეფასების გეგმით სწავლის კონკრეტული შედეგის გაზომვისთვის მითითებულია არჩევითი სასწავლო კურსები, რაც არარეალისტურია, ვინაიდან ყველა შემთხვევაში მისი მიხედვით ვერ განხორციელდება სწავლის კონკრეტული შედეგის გაზომვა და დამოკიდებული იქნება სასწავლო კურსის არჩევაზე დოქტორანტის მიერ, შესაბამისად, საჭიროა დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.

ე) კურსკულუმსა და დოქტორანტურის დებულებაში პროგრამის მოცულობად მითითებულია 180 კრედიტი, რაც არ მოდის შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მოთხოვნასთან, საჭიროა იგი დაზუსტდეს და შესაბამისი ცვლილებები განახორციელოს დაწესებულების წარმომადგენლებმა როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში, ასევე დოქტორანტურის დებულებაში;

ვ) ECTS სისტემით სადოქტორო დონეზე კრედიტებში არ არის საჭირო გაზომილი იქნას კვლევითი კომპონენტი, რაც საჭიროა გაითვალისწინოს დაწესებულებამ;

- ზ) მიზანშეწონილია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა განხორციელდეს ძირითადი და არა არჩევითი სასწავლო კურსებით;
- თ) საჭიროა პროგრამაში ისეთი სასწავლო კურსების დამატება, რომლებიც მოიცავს ტრანსპორტის ყველა სახეობას, ასევე, დარგობრივი კვლევის მეთოდები დოქტორანტებისთვის შეთავაზებული უნდა იქნას ძირითადი სასწავლო კურსის სახით. მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის კვლევის მიმართულებები და სასწავლო კურსები, მოხდეს მათი მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანა.
- ი) რიგ სასწავლო კურსებში საჭიროა სალექციო თემატიკა, სწავლის შედეგები და გამოყენებული ლიტერატურა სწავლების საფეხურთან მოვიდეს შესაბამისობაში;
- კ) გადაიხედოს კონკრეტული სილაბუსების სწავლის შედეგები, კერძოდ რამდენადაა შესაძლებელი აღნიშნული სასწავლო კურსით ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა - კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობა.
- ლ) აუცილებელია დაზუსტდეს დოქტორანტმა დისერტაციის დაცვამდე საკვლევ თემასთან დაკავშირებით რამდენი სტატია უნდა გამოაქვეყნოს და რა ტიპის გამოცემებში (რეფერირებად თუ იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში).
- მ) საჭიროა გაფორმებული იქნას ხელშეკრულებები მოწვეულ პერსონალთან პროგრამის აკრედიტაციის ვადით, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი გარანტირებული ჩართულობა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელებისთვის.
- ნ) კვლევითი სამუშაოების შესრულების მიზნით, საჭიროა მოხდეს ხელშეკრულებების/მემორანდუმების გაფორმება ლოგისტიკის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან;
- ო) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში, სწავლის შედეგებში და შინაარსში დაშვებული შეცდომები მიუთითებს იმაზე, რომ პროგრამების შემუშავებისა და განვითარების სტადიაზე აკადემიურ პერსონალს ესაჭიროებოდათ დაინტერესებულ მხარეებთან, დარგში მომუშავე კოლეგებთან და ექსპერტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მეტად კოორდინირებული მუშაობა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული დაფიქსირებული შეუსაბამობები და ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრივაც საჭიროებს უფრო მეტ ჩართულობას პროგრამის შემუშავების სტადიაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი აქტების მოთხოვნათა განუხრელი დაცვით მომზადება.
- პ) საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა მიერ მეტი ყურადღება მიექცეს პროგრამის განვითარების სტადიაზე რელევანტური ინფორმაციის გამოყენებას, რათა მათი ანალიზის შედეგები რეალურად ემსახურებოდეს პროგრამის გაუმჯობესებას.

რჩევები:

- ა) სასურველია დაწესებულებამ აპლიკანტის მიერ უცხოური ენის B2 დონეზე ფლობის დადასტურებისთვის დააზუსტოს თუ რომელ სერტიფიკატებს აღიარებს და ჩაანაცვლოს სიტყვა „სათანადო“;
- ბ) შესაბამისობაში მოვიდეს ჩანაწერი კვლევის მიმართულებების შესახებ სასწავლო გეგმასა და პროგრამის კურიკულუმში და სასწავლო კურსების დასახელებები სასწავლო გეგმაში მითითებულ დასახელებებთან; სადოქტორო პროგრამის ძირითად ტექსტში გამოყენებულია ტერმინი „ლოგისტიკა“, ხოლო ზოგიერთ სასწავლო კურსში ტერმინი „ლოჯისტიკა“, მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამისა და სასწავლო კურსების ტერმინოლოგიური თანხვედრა;
- გ) სასურველია „კვლევის შედეგების პუბლიკაცია და კონფერენციებში მონაწილეობა“ გადატანილი იქნას მე-4, მე-5 და მე-6 სემესტრებში, რათა კოლოკვიუმებით მიღებული კვლევის შედეგების სრულფასოვნად გამოქვეყნება შეძლო დოქტორანტმა;
- დ) სასწავლო კურსის სილაბუსებში აღმოიფხვრას ტექნიკური ხასიათის შეცდომები და შეივსოს ინფორმაცია სრულყოფილად;

ე) სასურველია, ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს პროფესორ-მასწავლებელთა მიმდინარე სასწავლო წლის კონსულტაციების განრიგი დეპარტამენტების მიხედვით;

ვ) მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგენილი ლიტერატურა სრულად ხელმისაწვდომი იყოს ციფრული სახით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 3⁵ პუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 3² და მე-5 პუნქტების, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უარი უთხრა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო - ლოჯისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

19:21 საათზე სხდომა დატოვებს ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა, ანზორ ბერიძემ, გაიოზ ფარცხალაძემ და ნინო ინასარიძემ.

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო იმნაძე.

3. მესამე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.12.2011, გადაწყვეტილება №14
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0613
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ, №2, 0131
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა: დიანა მჭედლიშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარე ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა ხაჩიძემ განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამა არის შავი ზღვის უნივერსიტეტში მოქმედი ინგლისურენოვანი პროგრამის ასლი, ექსპერტთა ჯგუფი ერთიდაიგივე დროს იყო აკრედიტაციაზე და დასკვნებიც ერთნაირი გაიცა, რადგან არის ერთმანეთის ასლი, შემდეგ რომ არ გაჩნდეს კითხვები ამიტომ გააკეთა შესავალი, აღმოჩნდება რომ დაწესებულებამ ყველაფერი გაასწორა და ამან რომ არ გამოიწვიოს კითხვის ნიშნები, რადგან ინგლისურენოვანი პროგრამის მიმართ აბსოლუტურად იგივე რეკომენდაციები იყო გაცემული.

„კომპიუტერული მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია არაერთგაროვნად - დეტალურად (1- ლი და მე-3 პუნქტი), განსხვავებით მე-2 პუნქტისაგან რომელიც მეტად ზოგადია. კერძოდ პირველ პუნქტში ნახსენებია „კომპიუტერული მეცნიერებების ფუნდამენტური მიმართულებები...“ და ჩამონათვალშია „მანქანური სწავლების მეთოდები“, რომელიც ერთი ვიწრო ქვემიმართულებაა. მე-3 პუნქტში აკადემიური განათლების შემდეგი საფეხურის ჩამონათვალში მითითებულია სპეციალობად „ხელოვნური ინტელექტი“ რომელიც ასევე კომპიუტერული მეცნიერების ერთ-ერთი ცოდნის არეა და არა სპეციალობა; მე-2 პუნქტში მოხსენიებულია „თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებული გამოწვევები“, თუმცა არაა დაკონკრეტებული რომელი ტექნოლოგიები იგულისხმება.

პროგრამის შედეგების აღწერა წარმოდგენილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი და სწავლის შედეგების კლასიფიკატორით განსაზღვრული შედეგების სამი ჯგუფის სახით - ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. შესაბამისად თითოეულ ჯგუფში შემავალი შედეგი უნდა შეესაბამებოდეს ამ ჯგუფის შინაარსს, რაც არ არის უზრუნველყოფილი. კერძოდ:

ცოდნა და გაცნობიერება - წარმოდგენილია 7 პუნქტით, რომელთაგან უმრავლესობა წარმოდგენილია უფრო მეტად კონკრეტული საგნების შედეგების აღწერის სახით. გარდა ამისა რიგი შედეგები აღწერენ „უნარს“: 1-ლი პუნქტი მოიცავს ფრაზას - „კურსდამთავრებულს შეუძლია კომპიუტერული მეცნიერებების სხვადასხვა დარგის მეთოდების ერთმანეთთან დაკავშირება კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად“; მე-2 პუნქტი - „შეუძლია მათემატიკური თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება, ასევე შესაბამისი ფორმალიზმების გამოყენებით პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკური მოწყობილობების ვარგისიანობის განსაზღვრა“; მე-3 პუნქტი - „შეუძლია კომპიუტერული პროგრამების დაგეგმვა, შექმნა, მომსახურება, ტესტირება და შეფასება“; მე-4 პუნქტი - „შეუძლია პრობლემის ალგორითმულად ჩამოყალიბება და რეალიზაცია პროგრამირების სხვადასხვა ენაზე“.

უნარი - წარმოდგენილია 2 პუნქტით. მე-8 პუნქტის მეორე წინადადებაში უნარები მოცემულია ჩამონათვალის, კონკრეტული ცოდნის არეების მიხედვით, რომელთა დაჯგუფება შესაძლებელია განზოგადოებული უნარების აღწერით, პირველი წინადადების მსგავსად და ცალკე პუნქტად გატანით; მე-9 პუნქტი მოიცავს რამდენიმე უნარის ჩამონათვალს, რაც ასევე შეიძლება დაიყოს ძირითად ზოგად უნარებად.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - ერთი პუნქტით წარმოდგენილ შედეგში საერთოდ არაა საუბარი აკადემიურ და პროფესიულ პასუხისმგებლობაზე, რომელის გამომუშავება შესაძლებელია პროგრამაში არსებული რიგი საგნებით (აკადემიური წერა - პლაგიატთან მიმართებაში, ინფორმაციის უსაფრთხოების შესაბამისი საგნები - მონაცემთა დაცვის მიმართებაში და ა.შ.).

მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სასწავლო გეგმის შესაბამისად სწავლების პირველ სემესტრში სტუდენტებისთვის შეთავაზებულია საგანი „კომპიუტერის არქიტექტურა“, რომელიც, როგორც წესი, უფრო მაღალი სემესტრის სტუდენტებისთვისაა რეკომენდირებული მეტი სიღრმით და საკითხების სიმრავლით. ამასთან კურსის შესწავლა მიმდინარეობს მხოლოდ სალექციო მეცადინეობების ფორმატით. თუ გავითვალისწინებთ, რომ სწავლის შედეგებში კომპიუტერის არქიტექტურის ცოდნა ერთერთი ცალკე მდგომი შედეგია, ამ სახით მისი მიღწევა გართულდება.

სასწავლო გეგმაში ვებ დაპროგრამების შესაბამისი საგნები წარმოდგენილნი არიან არჩევით ბლოკში და წარმოდგენენ არჩევითი საგნების წინაპირობით აგებულ თანმიმდევრობას

(ბლოკს). თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ პროგრამა აგებულია ACM რეკომენდაციების გათვალისწინებით. თანამედროვე მიდგომების და ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, პლათფორმაზე დაფუძნებული დაპროგრამება (ვებზე, მობილურზე და ა.შ.) წამყვანი ტექნოლოგიაა და მიზანშეწონილი იქნება ამ მიმართულების დისციპლინების ძირითად საგანთა ნუსხაში გადატანა.

საგანთა დასახელება რიგ შემთხვევებში (პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა - ძირითადი საკითხები დაპროგრამების ენა Java, კომპიუტერული მეცნიერებების თეორიული საფუძვლები - გამოთვლების საფუძვლები და კომპიუტერული ლოგიკა, მონაცემთა ბაზები - მონაცემთა ბაზის შემუშავების პროგრამები, საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტების მენეჯმენტი - MS Project, სემინარი - LaTeX სისტემა, კომპიუტერული გრაფიკა 1 და 2 - კომპიუტერული გრაფიკული ელემენტების შემუშავების პროგრამული ინსტრუმენტები, სტაჟირება - პროფესიული პრაქტიკა) არ შეესაბამებოდა სილაბუსებში აღწერილ შინაარსს. ამასთან სტაჟირება მე-4 კურსზე (დამსაქმებელთა აზრითაც) გვიანია, რადგან სტაჟირებაზე ძირითადად მარტივი სამუშაოს შესასრულებელ პოზიციებზე ხდება დასაქმება და არ მოითხოვს სრული საბაკალავრო განთლების შესაბამისი ცოდნის პრაქტიკაში დემონსტრირების პროცესს.

რიგ სილაბუსები მითითებულია ძალიან მოძველებული ლიტერატურა „პროგრამირების პარადიგმები“, „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება“, „პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა“ და სხვა სასწავლო კურსის თემატიკა.

მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგების აღწერაში:

- „ცოდნა და გაცნობიერება“ - პუნქტები გაიწეროს საგნების სწავლის შედეგების განზოგადების სახით; ამოღებულ იქნას უნარების აღმწერი ჩანაწერები;
- „უნარები“ - გაიწეროს ზოგადი დარგობრივი უნარების სახით ცოდნის არეებზე ხედმეტი კონცენტრაციის გარეშე;
- „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ - დაემატოს აკადემიური და პროფესიული პასუხისმგებლობის აღმწერი პუნქტი;

2. შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამისათვის, უნივერსიტეტში შემუშავებული წესების შესაბამისად;

3. „კომპიუტერის არქიტექტურა“ გამდიდრდეს უფრო მეტი სიღრმისეული საკითხებით და გადაინაცვლოს ერთი სასწავლო წლით ზემოთ;

4. მოხდეს საგანთა დასახელებების სინქრონიზაცია სილაბუსების შიგთავსთან;

5. სასწავლო კურსი „ფიზიკა“ ძალიან უხვადაა დატვირთული მასალით რისი დამლევაც ერთი სემესტრის განმავლობაში შეუძლებელია. გადანაწილდეს მასალა ორ სემესტრზე ან მოხდეს შემცირება დამლევადი მოცულობით;

6. საგანში კომპიუტერული მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების ასპექტები, სასწავლო ძირითადი ლიტერატურა მოძველებულია და სასურველია შეიქმნას რიდერი;

7. განახლდეს რიგ სილაბუსებში ძირითადი სასწავლო ლიტერატურა;

8. მონაცემთა ბაზების კურსს დაემატოს NoSql მონაცემთა ბაზების საკითხები;

9. რეკომენდირებულია, გამოცდის ჩატარების პროცესში დაცული იყოს ანონიმურობის პრინციპი და სტუდენტთა იდენტიფიცირება არ მოხდეს საგამოცდო ნამუშევრის შემოწმებისას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ნინო ჯოჯუა მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მან ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ჰკითხა რეკომენდაციების რომელი ჯგუფი უნდა მიეღო მხედველობაში, რადგან ზოგიერთი რეკომენდაცია გადატანილია რჩევაში, მაგრამ კომპონენტის შეფასებაში მაინც არის გაწერილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შესაძლებელია ტექნიკური ხარვეზია და თუკი გადატანილია რჩევაში ეს უნდა მიიღონ მხედველობაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ აღნიშნული ვითარება ცვლის 1.1 კომპონენტის შეფასებას და შესაბამისად პირველი სტანდარტის შეფასებასაც, აღნიშნული მნიშვნელოვანია დაწესებულებისათვის, რადგან ანგარიშის შემთხვევაშიც გაითვალისწინონ. მიუხედავად ამისა დაწესებულებას აქვს ამაზე პასუხი და შეუძლიათ გასცენ.

დაწესებულება ეთანხმება გაცემული რეკომენდაციების ერთ ნაწილს, მეორე ნაწილს კი არ ეთანხმება.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები: შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას; არის გაზომადი, მიღწევადი და რეალისტური; შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; შეესაბამება სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ა.შ.

სწავლის შედეგების ჩამოყალიბების ლოგიკა არის, რომ მოცემულია ცოდნა-გაცნობიერების კომპეტენცია და იქვეა გაწერილი თუ რაში გამოიხატება, უნარების კომპეტენციაში გაწერილია უნარების სწავლის შედეგი და რაში გამოიხატება უნარი, შესაბამისად აკრედიტაციის სტანდარტები არ ზღუდავს სწავლის შედეგების ასეთ ფორმულირებას და აღნიშნული არ მიიჩნევა ხარვეზად. ასევე ცოდნის დონეებში კონკრეტული კონცენტრაციის დონე და უნარის გამოყენება და ხაზგასმა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების აკადემიური თავისუფლების საკითხია და სტანდარტები მას არ არეგულირებს.

პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მონაწილეობით და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით და აქცენტს აკეთებენ ყველა იმ შედეგზე, რაც მნიშვნელოვანია დარგში და დასაქმების ბაზარზე.

საკრედიტციოდ წარდგენილი განაცხადები შემოწმებული აქვთ დარგის საერთაშორისო ექსპერტებს და სააკრედიტაციო პაკეტში დევს მათი შეფასებაც, შეაფასეს პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც გაზიარებული და მოწონებული იქნა მათ მიერ.

აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება გამოიწვევს მხოლოდ სწავლის შედეგების გადაადგილებას, შინაარსობრივად არ შეცვლის მათ და არ დაარღვევს ფორმულირებას, რომ მიღებულ ცოდნასთან ერთად ჩანდეს თუ რაში გამოიხატება ცოდნა, შეძენილ უნართან ერთად თუ რაში გამოიხატება ეს უნარი, დაიკარგება აქცენტები და გართულდება სწავლის შედეგების შეფასება. დაწყებულების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში არ ირღვევა აკრედიტაციის სტანდარტები და თვლიან, რომ თუ საბჭო გადაწყვეტს, რომ აბსოლუტურად ზუსტად უნდა დაიცვან აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები, მაშინ პროგრამის სწავლის შედეგებში ცოდნა გაცნობიერებასა და უნარებს შორის გამყოფი ხაზის მოხსნა მოცემულ საკითხს აქტუალურობას დაუკარგავს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - ერთი პუნქტით წარმოდგენილ შედეგში საერთოდ არაა საუბარი აკადემიურ და პროფესიულ პასუხისმგებლობაზე, რომელის გამომუშავება შესაძლებელია პროგრამაში არსებული რიგი საგნებით (აკადემიური წერა - პლაგიატთან მიმართებაში, ინფორმაციის უსაფრთხოების შესაბამისი საგნები მონაცემთადაცვის მიმართებაში და ა.შ.).

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ჩამოყალიბება ცენტრის მიერ ჩატარებული მრავალი ტრენინგების და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით განხორციელდა, რომლის დროსაც ხაზგასმული იყო სწავლის შედეგების შეფასების და შესაძლებლობის არსებობის მნიშვნელობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ არ შეუძლიათ შექმნან სასწავლო კურსებში და პრაქტიკაში, კომპლექსური არაპროგნოზირებადი სასწავლო ან/და სამუშაო გარემო, ისინი ვერ შეაფასებენ და დაადასტურებენ რომ კურსდამთავრებული მის მომავალ საქმიანობას განახორციელებს ეთიკის პრინციპების დაცვით. დაწესებულება ადასტურებს, რომ კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს და აქვს უნარი განახორციელოს საქმიანობა ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით და აღნიშნულის შეფასება შესაძლებელია, ამიტომ მე-10 პუნქტი „ავტონომიურობა პასუხისმგებლობა“ ჩამოყალიბებულია ისე, როგორც გაწერილია პროგრამაში, კერძოდ: კურსდამთავრებულს შეუძლია კომპიუტერული მეცნიერებების სფეროში საკუთარი ცოდნის შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება; შესაბამისად, სხვა პუნქტების ჩამატება არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად და აქედან გამომდინარე აღნიშნულ რეკომენდაციას არ ეთანხმებიან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ეთანხმებიან ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ მეორე რეკომენდაციას, რომ სწავლის შედეგების შეფასება საჭიროებს განახლებას და რასაც აუცილებლად განახლებენ.

ერთ-ერთ რეკომენდაცია დაკავშირებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგამოცდო ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია უზრუნველყოს საგამოცდო პროცესი უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების მიხედვით, რომელიც მუდმივად განიცდის განახლებასა და გაუმჯობესებას, საგამოცდო პროცესს ლექტორი ძირითადად არ ესწრება. ზოგიერთ შემთხვევაში გამოცდის დასაწყისში ლექტორი გამოცდის დაწყებისას 10 წუთი შედის გამოცდაზე სტუდენტებთან გარკვეული სახის კონსულტაციების ჩასატარებლად/კითხვებზე პასუხის გასაცემად. დასკვნაში დასახელებული რისკი განეიტრალებულია სრულიად გახსნილი და თავისუფალი გასაჩივრების შესაძლებლობით და პროცესით სტუდენტების იდენტიფიკაციით შეფასების ხარისხი და ობიექტურობა არ იკლებს. უნივერსიტეტში აპრობირებული პრაქტიკაა ნამუშევრების ინდივიდუალური განხილვა სტუდენტებთან ერთად და პრობლემების იდენტიფიცირება. ამიტომ მიაჩნიათ, რომ საგამოცდო პროცესი კარგად ორგანიზებულია, თუმცა უნივერსიტეტის რიგი სამსახურები მუშაობენ მის კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე. თვლიან, რომ საგამოცდო სისტემის აპრობირებული პრაქტიკა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, აკრედიტაციის სტანდარტებს და საერთაშორისო პრაქტიკას, ამიტომ მიაჩნიათ, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ არის გამართლებული.

19:58 საათზე საბჭოს შემოუერთდა გაიოზ ფარცხალაძე.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ბესიკ დუნდუამ მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კლასიკა კლასიკად რჩება და სახელმძღვანელო, რომელიც გამოცემულია 90-იან წლებში პრობლემა არ აქვს, რადგან ეს კლასიკაა, მისთვის მიუღებელია ძველ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული შენიშვნა.

მან განმარტა, რომ პროგრამის შექმნისას ითვალისწინებდა მისი კოლეგების რეკომენდაციებს დასავლეთის წამყვანი ქვეყნებიდან და მისი მოსაზრებით კურიკულუმი და ის საგნები რაც გაწერილია პროგრამაში სრულად შეესაბამება დასავლეთის იმ წამყვანი უნივერსიტეტების ამავე სპეციალობის კურიკულუმს, სილაბუსები სრულ თანხვედრაში.

პროგრამის თანახელმძღვანელი, ხათუნა ელბაქიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა საკმაოდ ამომწურავად ისაუბრა, მისი თქმით განსახილველი პროგრამის ხელმძღვანელი არის ირაკლი როდონაია, რომელიც ასევე არის სხვა საფეხურების პროგრამების ხელმძღვანელიც, პროცესის უკეთ წარსამართად კი საჭირო გახდა თანახელმძღვანელების დანიშვნა. ხათუნა ელბაქიძე შეუერთდა უკვე არსებულ პროგრამას, და აღნიშნა, რომ ბესიკ დუნდუა და მიხეილ რუხია წარმატებული ლექტორები და მეცნიერები არიან.

საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებულ საკითხზე მან განაცხადა, რომ თემის აქტუალობა და დროითი ბალანსის დაცვა ფასდება 10 ქულით, დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, ვინაიდან საბაკალავრო ნაშრომს განსაკუთრებული მოთხოვნები არ აქვს, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, ის ეხმარება სტუდენტს განივითაროს სამეცნიერო უნარ-ჩვევები, იმუშაოს ლიტერატურაზე, შეარჩიოს აქტუალური თემები, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა ხაჩიძემ დასძინა, რომ აღნიშნული პუნქტი რჩევებში იყო გადასული.

20:05 საათზე სხდომა დატოვა თეონა მატარაძე.

პროგრამის თანახელმძღვანელი დაეთანხმა, რჩევაში იყო, თუმცა მაინც გააკეთეს განმარტება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი იზიარებენ ექსპერტთა ჯგუფი მიერ გაცემულ აღნიშნულ რეკომენდაციას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

20:13 საათზე საბჭოს შემოუერთდა თეონა მატარაძე.

პროგრამის თანახელმძღვანელმა დასძინა, რომ ქართული პროგრამა ინგლისური პროგრამის ანალოგია, ფაქტობრივად იგივეა, ინგლისურმა პროგრამამ უკვე მიიღო აკრედიტაცია, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მაშინ ურჩია დაწესებულებას, რომ კარგი იქნებოდა თუ „კომპიუტერის არქიტექტურა“ ან დარჩება აღნიშნულ საფეხურზე და იქნებოდა შესავალი ან ყოფილიყო კურსის გაღრმავება და გადასულიყო სხვა სასწავლო სემესტრში. მისი გამოცდილებით, სტუდენტებმა, რომლებმაც კომპიუტერული არქიტექტურის შესავალი იციან, თუ რისგან შედგება, პროგრამირება და სხვა დანარჩენი კურსები, მათ უნდა გარდაქმნან მანქანურ ენაზე, როდესაც იციან მანქანის აგებულება უფრო უადვილდებათ, ამიტომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და გადაარქმევინა სახელს - „შესავალი კომპიუტერულ არქიტექტურაში“, გაღრმავებული კურსს კი შესთავაზებენ მაღალ სემესტრებში არჩევითი კურსის სახით იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც ენდომებათ აღნიშნული მიმართულებით ცოდნის გაღრმავება.

შიგთავსთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა აღწერს Java-ს, მისთვის გასაგებია, რადგან ვითარდება სხვადასხვა ენები ამიტომ დაწესებულების მიზანია სტუდენტს მისცეს ზოგადი ცოდნა, რომელსაც გაითვალისწინებს მომავალში, რადგან ის რასაც ადრე ასწავლიდნენ ახლა მოძველებულად ითვლება, დაწესებულების მიზანია არ იყოს მიმართული მხოლოდ ერთ ენაზე, არამედ მიზანია, რომ სტუდენტმა შეძლოს, ძირითადი საბაზისო ცოდნის ხარჯზე ახალ შემოსულ ენებთან ტრანსალაცია, შესაბამისად გადაწყვიტეს, რომ ასე გაეწერათ, მიუხედავად ამისა თითოეულ ლექტორს აქვს აკადემიური თავისუფლება, შესაბამისად მის მიერ წარდგენილ სილაბუსში აღწერილია Java-ზე დაფუძნებული

პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა. აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობისას მას ინტერნეტში შეხვდა ძალიან ბევრი მომხმარებელი, რომელიც უპირატესობას Java-ს ანიჭებს, რაც თემისა და წერის ესთეტიკაზეა დამოკიდებული.

საინფორმაციო ტექნოლოგიური პროექტის მენეჯმენტის შესახებ მან განაცხადა, რომ შესაძლებელია დაწესებულებამ აღნიშნულ საკითხშიც გაიზიაროს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება და Ms Project-ის გარდა სხვა პროგრამებიც ჩართონ სასწავლო პროცესში.

კომპიუტერული მეცნიერებების თეორიულ საფუძვლებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ეს ზოგადი დასახელებაა, რადგან ოთხ სხვადასხვა საკითხს მოიცავს და დაწესებულებამ გადაწყვიტა ზოგადი სახელი დაერქმია სასწავლო კურსისათვის.

სემინართან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ სტუდენტებს უვითარდებათ თავიანთი შრომის/პროდუქტის კარგად წარმოჩენის უნარი, თავდაპირველად ლექტორები უკითხავენ თავიანთი სამეცნიერო საქმიანობის შესახებ, აჩვენებენ პრეზენტაციის უნარს იმ თემატიკას რაშიც მუშაობენ, საიდანაც სტუდენტები ირჩევენ საბაკალავრო თემებსაც მათი ინტერესის მიხედვით და შემდეგ ნაშრომზე მუშაობის პროცესში თვითონ ახდენენ აღნიშნული უნარების გამოვლენას. სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სემინარებიც რჩევაში ნაწილშია გადასული.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ რეკომენდაციაში გაწერილია „მოხდეს საგანთა დასახელებების სინქრონიზაცია სილაბუსების შიგთავსთან“ აღნიშნულ საკითხში განხილულია შემდეგ სასწავლო კურსები და ამიტომ გაამახვილეს ყურადღება.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ხათუნა ელბაქიძემ პროფესიული პრაქტიკისა და სტაჟირების საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტში სხვადასხვა სახელი ჰქვია, სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებებში სხვადასხვა ტერმინს იყენებენ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ არ არსებობს ისეთი რეგულაცია ან წყარო, რომელსაც დაეყრდნობოდნენ თუ რითი განსხვავდება ისინი.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ხათუნა ელბაქიძემ განაცხადა, რომ შინაარსი ეს არის, მაგრამ თუ სახელის ცვლილება რამეს შეცვლის დაწესებულება აუცილებლად იქნება მორგებული სტანდარტზე. მან დააკონკრეტა, რომ ცოტახნის წინ ეძება და საქართველოში ამერიკის საელჩოში სტაჟირებას იყენებენ, ერთ-ერთ უნივერსიტეტში კი პროფესიულ პრაქტიკას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არ არის ერთიდაიგივე. დასავლეთი უნივერსიტეტებში Internship სხვა არის და პროფესიული პრაქტიკა სხვა.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ხათუნა ელბაქიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული სტაჟირება მოიცავს იმ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანას, რასაც მთელი კურსის განმავლობაში ისწავლიან, პრაქტიკის გავლა შეუძლიათ მას შემდეგ, რაც ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი ექნებათ გავლილი, ცოდნას დააგროვებენ და გამოიყენებენ პრაქტიკაში.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ბესიკ დუნდუამ იკითხა, თუ რა მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი Internship ქართულად.

პროგრამის თანახელმძღვანელი, ხათუნა ელბაქიძემ განაცხადა, რომ ითარგმნება, როგორც სტაჟირებაა.

ექსპერტმა, გიორგი დათუკიშვილმა განაცხადა, რომ ითარგმნება, როგორც „პრაქტიკა“.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ბესიკ დუნდუამ იკითხა თუ როგორ უწერიათ სილაბუსში, რაზეც მიიღო პასუხი, რომ სტაჟირება ეწერათ.

ასოცირებული პროფესორმა, მიხეილ რუხაიამ დააკონკრეტა, რომ გულისხმობენ Internship-ს და უნდა დაწერონ პრაქტიკა, ცალსახად.

პროგრამის თანახელმძღვანელის, ხათუნა ელბაქიძის თქმით გამომდინარე იქიდან, რომ კომპიუტერული მეცნიერება, რომელიც ყოველწლიურად ვითარდება და ასახვას ჰპოვებს შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში, სასურველია განახლდეს, მაგრამ ზოგიერთი სასწავლო კურსის ლიტერატურა არ ძველდება. ქართული პროგრამის სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ახალი ქართული ლიტერატურა უკვე ძველია და ეს პრობლემას ჰქმნის, სწორედ ამიტომ

სტუდენტები მესამე კურსამდე სწავლობენ ინგლისურ ენას და შემდეგ აძლევენ უფლებას აკადემიურ პერსონალს, რომ ლიტერატურა მიაწოდონ ინგლისურ ენაზე, რადგან, სანამ ლიტერატურა ითარგმნება და ა.შ. უკვე ძველდება. რიგ სილაბუსებში განაახლებენ ლიტერატურას, თუმცა ზოგიერთი ახალი გამოცემაა წლების მიხედვით, შინაარსობრივად კი დიდად არ იცვლება.

„ფიზიკასთან“ დაკავშირებულ რეკომენდაციაზე მან განაცხადა, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას, რადგან „ფიზიკა“ ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობას წარმოადგენს და ლექტორებთან ერთად მოხდება აღნიშნული საკითხის განხილვა, რათა გადახალისდეს ლიტერატურა.

დაწესებულება ასევე ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ მეექვსე რეკომენდაციას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტმა უნდა დაიგროვოს გარკვეული ცოდნა, რათა შემდეგ პრაქტიკაში გამოცდა/გამტკიცება შემლოს, ამიტომ პრაქტიკა უნდა დარჩეს მაღალ კურსებზე.

20:30 საათზე საბჭოს შემოუერთდა დიანა მჭედლიშვილი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დასძინა, რომ ეს არის არ მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელის, არამედ კურსდამთავრებულთა და დასაქმებულთა მოსაზრებებიც.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ სად აქვს ექსპერტთა ჯგუფს ნახსენები სტაჟირების დაბალ სემესტრზე გადატანა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ტექსტშია ნახსენები. დასკვნაში მე-5 გვერდზე წერია, რომ სტაჟირება მეოთხე კურსზე გვიანია, რადგან სტაჟირებაზე ძირითადად მარტივი სამუშაოს შესრულება უწევთ სტუდენტებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას ეჭირა მე-5 გვერდი და მსგავსი არაფერი წერია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ახსნა ზუსტი ადგილი თუ სად იყო აღნიშნული ჩანაწერი.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დაადასტურა, რომ ნამდვილად ეწერა დასკვნაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ შესაძლებელია ტექნიკური ხარვეზია და შესაცვლელია და სწორედ ამიტომ გაამახვილეს ყურადღება.

პროგრამის თანახმად ხელმძღვანელმა, ხათუნა ელბაქიძემ განაცხადა, რომ „მობაილ ევლიქიშენი“, რაც არ არის ინფორმაციული ინჟინერიის კურსი, ეს არის პროგრამა, კომპიუტერული მეცნიერება, რომლის სურვილია სტუდენტს მისცეს ის ფუნდამენტური ცოდნა, ასევე გათვალისწინებულ იქნას დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის მოსაზრებებიც და საკმაოდ მოთხოვნადია, დაწესებულებას ხშირად უკავშირდებიან სტუდენტებისთვის რეკომენდაციების გასაწევად, საკმაოდ მოთხოვნადი მიმართულებაა. სტუდენტების მოთხოვნა იყო, რომ აღნიშნული საგნები ყოფილიყო არჩევით კურსში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ACM აქვთ ნახსენები, რამაც გამოიწვია ყველაზე დიდი დაბნეულობა, პირდაპირ წერია, რომ ძირითადი ცოდნის არეები არის
პ ლ ა ტ ფ ო რ მ ა ზ ე და ფ უ მ ნ ე ბ უ ლ ი
და პროგრამებია.

20:34 საათზე საბჭოს შემოუერთდა ელენე ჟურავლოვა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თქმით მათ უწერიათ რომ მიყვებიან ამ კურიკულუმს და არ წერია, რომ არის მისი იდენტური. დაწესებულება მაქსიმალურად მოერგო აღნიშნულ კურიკულუმს, მაგრამ გაითვალისწინეს პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა მხარის მოსაზრება.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით ცოტა აცდნენ განსახილველ თემას და საბჭოს გაუჭირდება ასე შეფასება, მან ასევე განმარტა, რომ დაწესებულებასა და ექსპერტებს დიდი დრო ჰქონდათ ერთმანეთში განსახილველად. მას სურდა, რომ ექსპერტთა ჯგუფს გამოეკვეთა რამდენიმე ძირითადი ხარვეზი და დაწესებულებას ეპასუხა ეთანხმებოდა თუ არა მათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ განაცხადა, რომ 2.6 კომპონენტში გაცემულია რეკომენდაცია - „რეკომენდირებულია, გამოცდის ჩატარების პროცესში დაცული იყოს ანონიმურობის პრინციპი და სტუდენტთა იდენტიფიცირება არ მოხდეს საგამოცდო ნამუშევრის შემოწმებისას“, დაინტერესდა აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველით, ეს იყო მხოლოდ რეგულაციები, თუ ზეპირი გასაუბრებების დროს გამოვლინდა დამატებითი გარემოება, რამაც განაპირობა რეკომენდაციის სახით მისი ჩამოყალიბება, რადგან თუ პროგრამა არის ისეთი სპეციფიური, რომ დაზარალებდა სტუდენტი თუ დაცული არ იქნება ანონიმურობა.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ დამატებით დოკუმენტაციაში არის წარმოდგენილი „ბენჩმარკინგი“, სადაც წარმოდგენილია მხოლოდ ერთი დოკუმენტი, მასში ლაპარაკია საკითხზე, რომ დაწესებულებას ჰქონდა მჭიდრო თანამშრომლობა უცხოეთის უნივერსიტეტებთან, ორი მათგანის დასკვნა/რეკომენდაციები აქვთ გათვალისწინებული. საბჭოს წევრი დაინტერესდა მათი დასკვნები თუ არის წარმოდგენილი, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია დაწესებულებამ გაითვალისწინა თუ არა რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით მიუხედავად იმისა, რომ გაწერილია ყველაფერი, რამდენიმე სტუდენტმა დააფიქსირა აზრი, რომ სხვა უნივერსიტეტებში როგორც არის ანონიმურად უკეთესი იქნებოდა მეტი ობიექტურობა, თუმცა კარგია თუ ცუდი სუბიექტური საკითხია.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ განაცხადა, რომ დასაზუსტებლად იკითხა, რადგან შესაძლოა კომპონენტი ისეთი იყოს მოიცავდეს ზეპირ კომუნიკაციას, თუ ექსპერტთა ჯგუფი უშვებს რომ ზეპირი გამოცდის დროს ანონიმურობის დარღვევა არ შეიცავს საფრთხეს აქედან გამომდინარე, რადგან წერითია გამოცდა ამიტომ უნდა იყოს თუ არა ანონიმური მისთვის უცნობია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ დასკვნაში წერია, რომ სტუდენტებს აქვთ გასაჩივრების შესაძლებლობა თუკი სტუდენტი შეფასებას ჩათვლის არაობიექტურად, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს მათ არ გამოუხატავთ უკმაყოფილება სწავლის შედეგების შეფასების პედაგოგის მხრიდან უკუკავშირის მიღებასთან დაკავშირებით. მისი მოსაზრებით თუ იყო ასეთი შემთხვევა დაწესებულებაც ინფორმირებული უნდა იყოს და დასკვნაშიც უნდა ასახულიყო.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ხათუნა ელბაქიძემ განაცხადა, რომ თვითონაც ეწევა აკადემიურ საქმიანობას დაწესებულებაში და სხვა უნივერსიტეტებში, აღნიშნულ უნივერსიტეტში გამოცდას ატარებს საგამოცდო ცენტრი, ლექტორს აქვს უფლება 10 წთ კონსულტაცია გაუწიოს სტუდენტებს, ამის შემდეგ ლექტორთან მიდის ნაშრომი სახელებით და გვარებით, შეფასების შემდეგ ინდივიდუალურად განიხილავდნენ თითოეულ მათგანს, რადგან როდესაც სტუდენტს ეუბნებოდა, რომ მიიღო კონკრეტული ქულა ერთად სხდებოდნენ და განიხილავდნენ შეცდომებს, სტუდენტი ხედავდა შეცდომებს და კარგად დაწერილ ნაწილს, თუკი უკმაყოფილების შემთხვევაში მათ აქვთ გასაჩივრების უფლება, რა თქმა უნდა ნებისმიერი სისტემა მოითხოვს გაუმჯობესებას.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ბესიკ დუნდუამ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის შექმნისას, უცხოელ პარტნიორებს არ უნახავთ საბოლოო პროგრამა, თუმცა მის დიზაინთან

დაკავშირებით ჰქონდათ ყოველდღიური კომუნიკაცია, ითვალისწინებდნენ მათ მოსაზრებებს, ყოველკვირეულად უზიარებდნენ პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და როდესაც მიიღო საბოლოო ფორმა გაუგზავნა და დაწერეს თავიანთი შეფასება, ეს არ იყო დამოუკიდებლად დაწერა, მათთან კომუნიკაცია სულ ჰქონდათ, აწვდიდნენ ინფორმაციას ყოველ კურსთან დაკავშირებით თუ რომელ სილაბუსში რა უნდა გაწერილიყო და ა.შ.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განმარტა თვისი კითხვა, რომელიც მოიცავდა არის თუ არა დოკუმენტის სახით წარდგენილი, მიუხედავად ამისა ეჭვი არ ეპარება, რომ ჰქონდათ თანამშრომლობა და იზიარებდნენ მათ მოსაზრებებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ დაინტერესებული მხარეების ჩართულობაში არის მონაცემები უცხოელი ექსპერტების შეფასების, სადაც აღნიშნულია უცხოელი ექსპერტების შეფასება.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის პროცესში ტერმინი „რეკომენდაცია“ არის ხარვეზი, და იგი დაინტერესდა უცხოელი ექსპერტები მიუთითებდნენ ხარვეზებზე თუ გასცემდნენ რჩევებს.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ბესიკ დუნდუამ განაცხადა, რომ ეს არის რჩევა, ისინი მუშაობდნენ დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებში და დაწესებულება ითვალისწინებდა მათ მოსაზრებებს, ACM-ის რეკომენდაციები და მათი მოსაზრებები, ყველაფერი მოიყვანეს თანხვედრაში პროგრამასთან. გაითვალისწინეს ყველა რჩევა და ამაზე დაფუძნებით შექმნეს პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არჩევითად ათვალისწინებდა სილაბუსებს და თვალში მოხვდა ავტორი, რომელიც არის მოწვეული აქვს მაგისტრის ხარისხი, სილაბუსი შედგება, როგორც სალექციო, ისე პრაქტიკული ნაწილისგან. დაინტერესდა დასაშვებია თუ არა აღნიშნულ უნივერსიტეტში.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ბესიკ დუნდუამ განაცხადა, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსზე მუშაობს საკმაოდ კვალიფიციური ლექტორი - მალაფესკი, ანრი მორჩილაძე უკვე ორი წელია მუშაობს მალაფესკისთან, რომელიც არის აღნიშნულ უნივერსიტეტში პოლონეთიდან საკმაოდ მაღალი დონის მეცნიერი, მას აქვს 50-ზე მეტი სტატია გამოქვეყნებული Impact ფაქტორიან ჟურნალში და მასთან ერთად 3 წელია კითხულობს ლექციას კომბინირებულად, ამასთანავე ის უკვე დოქტორანტია, წელს იცავს სადოქტოროს და მისი კვალიფიკაცია ამ მიმართულებით არის ჯავაზე პროგრამირება, Soft Development-ი, მას აქვს ის უნარ-ჩვევები, რაც სჭირდება ქართულ სექტორში ლექციის დამოუკიდებლად წასაკითხად.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ სააკრედიტაციო პაკეტში ჩადებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამსახურში აყვანის წესი, სადაც გაწერილია მოთხოვნები, დაწესებულებულების მოთხოვნები სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნებს, მოწვეულ ლექტორთან დაკავშირებით, აღნიშნული ლექტორი, რომელსაც აქვს მაგისტრის ხარისხი არის მოწვეული ლექტორი და განათლების მოთხოვნასთან ერთად ის აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს სხვა საკითხებს, მინიმუმ მაგისტრის ხარისხი უნდა ჰქონდეს შესაბამისი მიმართულებით, ან მნიშვნელოვანი პროფესიული გამოცდილება დარგში, ან მიღებული ჰქონდეს სპეციალური განათლება, ან სწავლების გამოცდილება აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში. კურსის ხელმძღვანელი კი ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ბესიკ დუნდუამ განაცხადა, რომ მისთვის რეგულაციები ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან მას უნახავს ბევრი პროფესორი, რომელიც არაკვალიფიციური, არაპროფესიონალია მის დარგში, მაგრამ პროფესორია. რაც შეეხება ანრი მორჩილაძეს, ის უკვე სამი წელია მალაფესკისთან ერთად კითხულობს ლექციებს და არის კვალიფიციური კადრი, რომელსაც Java-ზე პროგრამირება შეუძლია ძალიან კარგად და ძალიან კვალიფიციურია ამ კუთხით.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ხათუნა ელბაქიძემ განაცხადა, რომ სტუდენტებიც ძალიან კამყოფილნი არიან ანრის ლექციებით და ამიტომ საკმაოდ მოთხოვნადი დისციპლინაა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:47

დასრულების დრო: 20:53

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 2.6 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

ა) სწავლის შედეგების აღწერაში:

- „ცოდნა და გაცნობიერება“ - პუნქტები გაიწეროს საგნების სწავლის შედეგების განზოგადების სახით; ამოღებულ იქნას უნარების აღმწერი ჩანაწერები.
- „უნარები“ - გაიწეროს ზოგადი დარგობრივი უნარების სახით ცოდნის არეებზე ზედმეტი კონცენტრაციის გარეშე.
- „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ - დაემატოს აკადემიური და პროფესიული პასუხისმგებლობის აღმწერი პუნქტი.

ბ) შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამისათვის, უნივერსიტეტში შემუშავებული წესების შესაბამისად.

გ) „კომპიუტერის არქიტექტურა“ გამდიდრდეს უფრო მეტი სიღრმისეული საკითხებით და გადაინაცვლოს ერთი სასწავლო წლით ზემოთ;

დ) მოხდეს საგანთა დასახელებების სინქრონიზაცია სილაბუსების შიგთავსთან.

ე) სასწავლო კურსი „ფიზიკა“ ძალიან უხვადაა დატვირთული მასალით რისი დამლევაც ერთი სემესტრის განმავლობაში შეუძლებელია. გადანაწილდეს მასალა ორ სემესტრზე ან მოხდეს შემცირება დამლევადი მოცულობით;

ვ) საგანში კომპიუტერული მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების ასპექტები, სასწავლო ძირითადი ლიტერატურა მოძველებულია და სასურველია შეიქმნას რიდერი.

ზ) განახლდეს რიგ სილაბუსებში ძირითადი სასწავლო ლიტერატურა

თ) მონაცემთა ბაზების კურსს დაემატოს NoSql მონაცემთა ბაზების საკითხები;

რჩევები:

ა) სასურველია, გამოცდის ჩატარების პროცესში დაცული იყოს ანონიმურობის პრინციპი და სტუდენტთა იდენტიფიცირება არ მოხდეს საგამოცდო ნამუშევრის შემოწმებისას.

ბ) მიზნების აღწერაში:

- 1-ლი დამ ე-3 პუნქტი ჩემოყალიბდეს ნაკლები დეტალიზირებით;
- მე-2 პუნქტში მოხდეს ტექნოლოგიური სფეროს ცხადი სახით ჩამოყალიბება;

გ) განისაზღვროს მათემატიკის კომპეტენციის ზღვარი მისაღებ გამოცდებზე;

დ) ცხადი სახით გაიწეროს პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის;

ე) სასურველია მითითებული იყოს სწავლის საფასური საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, ან სადაა შესაძლებელი აღნიშნული ინფორმაციის მოძიება;

ვ) არჩევით კურსს „ღრუბლოვანი ტექნოლოგიები“ სასურველია დაემატოს სხვა ღრუბლოვანი სერვისები;

ზ) სასურველია, გამოცდის მიმდინარეობისას ლექტორი არ ესწრებოდეს საგამოცდო პროცესს;

- თ) სასურველია, მიღებული შეფასებები აისახოს საგამოცდო ცენტრში ნაშრომის დაბრუნების შემდეგ, ამ დრომდე კი სტუდენტთა ნამუშევრის ანონიმურობა იყოს დაცული;
- ი) სასურველია, ლექტორების მხრიდან ინიციატივა ჩართონ სტუდენტები სხვადასხვა კონფერენციებსა და აქტივობებში;
- კ) სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა ხელშეწყობა/მოტივირება ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობებში;
- ლ) სასურველია, სტუდენტები ჩართული იყვნენ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, მაგალითად რეალურად იღებენ მონაწილეობას თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში.
- მ) სასურველია გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელთან დადებული ხელშეკრულების ვადა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის მენეჯმენტის მდგრადობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

20:59 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნინო ინასარიძე.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	07.11.2014, გადაწყვეტილება №205
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	--
8	კვალიფიკაციის დონე	
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0915 თერაპია და რეაბილიტაცია
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა გაიოზ ფარცხალაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირინე ფხაკაძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე, 2020 წლის 20 ნოემბერს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე, შორენა მურვანიძე, თეა ადამია და ანი ბილანიშვილი, განახორციელა ონლაინ ვიზიტი სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვიზიტის მიზანი იყო „ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების დადგენა. ვიზიტი მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მოისმინა დაწესებულების ხედვა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, შეხვდა და გაესაუბრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე გაიმართა შეხვედრები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. პროგრამა მნიშვნელოვანია აჭარის რეგიონის განვითარებისათვის, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე და ასევე საინტერესო იყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ხედვა პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით. ჯგუფმა დისტანციურად დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

„ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, პროგრამაში მოხდეს დარგობრივი სასწავლო კურსების გაძლიერება, განსაკუთრებით ფიზიკური თერაპიის, ოკუპაციური თერაპიის და მოძრავი თამაშების შემსწავლელი კურსების სახით;

2. დაზუსტდეს სასწავლო კურსების წინაპირობები: კურსის „იმუნოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის საფუძვლები“ წინაპირობად განისაზღვროს „სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკით“ კურსის „დატვირთვის ფიზიოლოგიური ბიოქიმია“ წინაპირობად განისაზღვროს „სამედიცინო ქიმია“;

3. რეკომენდირებულია, ღრმა დარგობრივი ცოდნის მიღწევის მიზნით, არჩევითი სასწავლო კურსებიდან სავალდებულოში გადატანილ იქნას: ლოგოპედია, პალიატიური მზრუნველობა, პედიატრია, ზოგადი ჰიგიენა, ონკოლოგია.

რაც შეეხება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციასა და რეაგირებას რეკომენდაციებზე, უნდა აღნიშნოს, რომ ფაკულტეტი, დაწესებულება და პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი

მზაობას/ლიაობას იჩენს ექსპერტთა რეკომენდაციების მიმართ. 18 იანვარს დაწესებულებამ ცენტრში წარადგინა წერილი, რომელიც გადაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფსაც, ყველა რეკომენდაცია იყო გათვალისწინებული და წარმოდგენილი იყო მტკიცებულებები, სილაბუსებში დაზუსტებულ იქნა წინაპირობები რეკომენდაციების შესაბამისად, ამავდროულად მოხდა დარგობრივი სასწავლო კურსების დამატება სტრუქტურაში და სავალდებულო და არჩევით კურსებს შორის გადანაცვლება რეკომენდაციის მიხედვით, რაც გულისხმობს, რომ ნაწილი დარგობრივი სასწავლო კურსებისა იყო არჩევით დისციპლინებში და არჩევითიდან გადატანილ იქნა სავალდებულო სასწავლო კურსებში.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა პროგრამის პერსპექტიულობა, რომ პროგრამა მიმართულია დარგის განვითარებაზე რეგიონში და ზოგადად ჯანდაცვის სისტემაში პოპულაციის ჯანმრთელობაზე ორიენტაციიდან გამომდინარე ნამდვილად აუცილებელია და ასევე, საჭიროა რეაქრიდატივით სერვისების დახვეწა, განვითარება, რასაც სჭირდება მაღალკვალიფიციური კადრით მომარაგება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელი, ნერიმან ცინცამე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს იმ რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის, რომლებიც დაწესებულებამ მიიღო. მან განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია განხორციელებული/შესრულებულია, ასევე გაითვალისწინეს ყველა რჩევა და შეძლეს სასწავლო პროგრამის მორგება, რამაც უფრო საინტერესო გახადა არსებული პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ნინო ინასარიძე დაინტერესდა საგნების გაძლიერებასთან დაკავშირებით კონკრეტულად რა იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი, გასაგებია, რომ სპეციფიურ წინაპირობებზეა საუბარი, მაგრამ რატომ ჩათვალეს საჭიროდ, ალბათ სილაბუსები შინაარსობრივად განიხილეს და სწორედ ეს აინტერესებდა საბჭოს წევრს.

მისი თქმით შესანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფს მოეწონა დისტანციურად დათვალთქმებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს უფრო დეტალურად მოეყოლათ თუ რა ტიპის ტექნიკური რესურსებია მნიშვნელოვანი/საჭირო განსახილველი პროგრამისათვის.

საბჭოს წევრი, მკა კაჭარავა მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ პროგრამაში სწავლა-სწავლების მეთოდების აღწერასთან ჩამოთვლილია ის აპრობირებული/კლასიკური მეთოდები, რომლებიც ნებისმიერი დარგის მეთოდებში შეიძლება ჩაიწეროს და მათ შორის ამ პროგრამისთვის ძალიან კარგი მეთოდი PBL, E-learning-ი და ა.შ., მაგრამ სამიზნე ნიშნულების ნაწილში ნახსენებია ე.წ. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა OSCE, რომელიც არის ძალიან მნიშვნელოვანი მათი სფეროსთვის და არ შეიძლება მისი მოხსენიება ზერელედ, რადგან ეს არის ძალიან დიდ ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებული, რადგან სჭირდება მულაჟები და სხვა. ამ ჩანაწერის დანახვის შემდეგ საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ სად იყო კონკრეტულად ასახული აღნიშნული მეთოდი, რომელ სილაბუსებში, პრაქტიკის სილაბუსში, მასაჟების თუ სხვა. კონკრეტულად იმ სემესტრების სილაბუსებშიც კი მოიძია ინფორმაცია, სადაც შესაძლებელი იყო შეხვედროდა გამოცდის აღნიშნულ მეთოდს თუმცა ვერ ნახა და დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაეზუსტებინათ თუ სად და რა ფორმით აქვთ გაწერილი, ასევე რა აქვთ მისი შესაბამისი მოწყობილობები და რეალურად ტარდება თუ არა OSCE-ს გამოცდა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი მეთოდია.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ განაცხადა, რომ დაწესებულების შრომის ბაზრის გამოკითხვაში არის 32 პასუხი, ვინ არიან, რა ერთობლიობიდან აირჩნენ, ეს ერთობლიობა

რამხელა იყო, ეს 32 მესამედია, მეათედია, რა რაოდენობა არის. თუ ეს ჩატარდა ელექტრონულად, რომელი ჯგუფები გამოიკითხეს, თუ ესენი არიან შემთხვევით შერჩეული ადამიანები. კითხვარი 7 კითხვისგან შედგება. დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა აეხსნათ მეთოდოლოგიური მხარე, ვინ არიან და რა რაოდენობიდან შეირჩა გამოკითხული ადამიანები.

ბიუჯეტთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ აღნიშნულ დაწესებულებას გასაიდუმლოებული ბიუჯეტი აქვს, ანუ შემოსავალი, ხელფასი და ზედნადები ხარჯები, დაინტერესდა სამომავლოდ ხომ არ იგეგმება ზედნადები ხარჯების გაშიფვრა, რა არის და რაზე იხარჯება.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს აქვს საპასუხისმგებლო რჩევები, მისთვის გასაგებია, რომ დაწესებულება სიამოვნებით გაითვალისწინებს სტრუქტურასთან დაკავშირებულ რჩევებს/რეკომენდაციებს, რა უნდა იყოს არჩევითი და რა სავალდებულო. იგი დაინტერესდა, როგორ აპირებს დაწესებულება სწავლების მეთოდების გათვალისწინებას, რადგან წერია, რომ ფიზიოს რაც ეხება არის გასაუმჯობესებელი და ამ კუთხით რას აპირებენ.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ 2.4 კომპონენტში არის ჩანაწერი/რჩევა: „პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მედიცინის რაც, შეიძლება მეტი მიმართულებითა და სფეროს მოცვით“ ხოლო თვითონ სტანდარტის აღწერაში წერია, რომ პრაქტიკული კომპონენტი მეტწილად მიჰყვება/კორელაციაშია სასწავლო პროცესთან. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვა უფრო ფართოდ ესაუბრა აღნიშნულ საკითხზე, თუ რა მდგომარეობაა ამ მომენტში აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ სილაბუსებს შერჩევის პრინციპით გაეცნო და მისი კითხვის ნაწილი საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ უკვე გააჟღერა. მან აღნიშნა, რომ სტუდენტებისთვის ნებისმიერი სილაბუსი ცოტა გაურკვეველია, შერჩეული მეთოდები სწავლებისთვის და შეფასების მეთოდები ცოტა ბუნდოვანია, უფრო წარმოდგენილია კალენდარული გეგმის მსგავსი, სადაც გადანაწილებულია საათები თეორიულ/პრაქტიკულ მეცადინეობებზე, თუმცა დაინტერესდა იმით, რომ რაღაც საგნების სპეციფიკა განსაზღვრავს თუ რატომ არის შუალედური და დასკვნითი გამოცდა მიყოლებით, ძალიან ბევრ სილაბუსში, სხვა მეთოდების გამოყენება და სწავლის შედეგებზე გასვლა სად არის უზრუნველყოფილი არ ჩანს, თითქოს არ არის გაწერილი როგორ ფასდება სტუდენტი, რატომ არის შუალედური და დასკვნითი გამოცდა მიყოლებით, რატომ არის ბევრ სილაბუსში ზეპირი გამოკითხვა 20 ქულა, თითქოს სტანდარტულია ეს კრიტერიუმები, რეალურად კი არ ჩანს, მაგრამ შესაძლებელია ძალიან კარგადაა არის უზრუნველყოფილი, თუმცა სილაბუსიდან არ ჩანს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ სასწავლო კურსების წინაპირობებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თუნდაც „მიკრობიოლოგიის“ წინაპირობად „ბიოლოგიის“ განსაზღვრა საკამათო არ არის, დაწესებულებამ გაიზიარა და სხვა დაწესებულებაც გაიზიარებდა, რაც ბუნებრივია, უბრალოდ სემესტრებში გაწერა იყო გაუთვალისწინებელი, შესაბამისად არგუმენტირებულ პოზიციაში „სამეცნიერო ბიოლოგიას“ შეცვლილი აქვს სემესტრი და განსაზღვრულია პირველი სემესტრი და წინმსწრები გახდება „მიკრობიოლოგიის“ ეს უკვე დამტკიცებულია და ცხადია წინაპირობა და მემკვიდრეობითობის პრინციპი იქნება გათვალისწინებული. ექსპერტთა ჯგუფი გამოდიოდა სწორედ ამ პრინციპიდან რომ მემკვიდრეობითობის პრინციპი ყოფილიყო დაწეული და ამან განაპირობა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა, რომ სემესტრიდან სემესტრში წინაპირობებით დაკავშირებული სასწავლო კურსები ყოფილიყო გრძივი ხაზის მიხედვით განლაგებული.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ირაკლი კორძაიამ ბიუჯეტის ნაწილთან დაკავშირებით განაცხადა, რომ როგორ სახელმწიფო უნივერსიტეტი ძირითადად აქცენტირებულნი არიან ცენტრალიზებულ ბიუჯეტზე, რადგან არაერთი პროგრამა აქვთ, რომელსაც ახორციელებენ არამდგრადი ბიუჯეტიდან და სახელმწიფოს/რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარეობს, ამიტომ მათი

მიდგომა არის პერსონალის განვითარება, სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, მათი გადამზადება და სხვა, გათვალისწინებულია ცენტრალურ ბიუჯეტში, მაგ., დაახლოებით 100 000 ლარი ყოველწლიურ ბიუჯეტში, როდესაც დაწესებულებამ გაიარა ავტორიზაცია, მისი რეკომენდაციები უნივერსიტეტმა გაიზიარა და ყოველწლიურ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 100 000 ლარი, რომელიც ემსახურება, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის მომზადება/გადამზადებას, დატრენინგებასა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სხვადასხვა აქტივობების შესრულების მიზნით ფინანსების გახარჯვა არის ცენტრალიზებული. გარდა ამისა მათ აქვთ სამეცნიერო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც ხელს უწყობენ და მოტივაციას უმაღლებენ აკადემიურ პერსონალს იმისთვის, რომ მათ განავითარონ თავიანთი სამეცნიერო საქმიანობა და თანადაფინანსების საშუალებით დაახლოებით 500 ლარია გამოყოფილი, თუ Impact ფაქტორიან და მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში აპირებენ ნაშრომის გამოქვეყნებას, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ნებისმიერ მიმართულების სასწავლო პროგრამისთვის იგივე რესურსების გამოყოფას და შესაბამისად ცენტრალურ ბიუჯეტში გათვალისწინებულია აღნიშნული ხარჯები. დაწესებულების მიდგომა, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტის არის, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან მოხდეს, როგორც კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება ასევე სხვა აქტივობები, რაც უფრო ხარისხიანს გახდის სასწავლო პროცესს და უნივერსიტეტი გამოთქვამს მზაობას პერსონალის ხელშეწყობისათვის.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტრუქტურული პლატფორმა, რომელიც დღეს უკვე საკმაოდ მასშტაბურია და მოიცავს: ლექტორებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, ასევე ინტეგრირებულია, გაჩენილია ველი, სადაც დამსაქმებლები ვაკანტურ ადგილებს აქვეყნებენ, პირდაპირი კომუნიკაცია აქვთ სტუდენტებთან და შემდეგ ბაზრის კვლევის ერთ-ერთი პლატფორმა არის ეს, რომ შემოვიდნენ პოტენციური დამსაქმებლები და მონაწილეობა მიიღონ პროგრამის განვითარების პროცესში, დაწერონ თავიანთი კომენტარები და როდესაც დაწესებულება ატარებს კვლევას რესპოდენტები შეირჩევიან იმის მიხედვით თუ ვინ არიან კონკრეტული დამსაქმებლები, ვისთანაც აქვთ ხელშეკრულებები, მემორანდუმები გაფორმებული და სტუდენტები გადიან პრაქტიკულ ნაწილს. გარდა ამისა პოტენციური დამსაქმებლები ვისთვისაც შესაძლებელია მაღალკვალიფიციური კადრები გამოუშვან და მიაწოდონ შესაბამის ბაზარს, აქედან გამომდინარე მთავარი აქცენტი კეთდება ბაზრის კვლევიდან გამომდინარე და ზედმეტი დანახარჯები სხვა მეთოდოლოგიის შემუშავებასთან მიმართებაში ჯერ-ჯერობით ინსტიტუციას არ განუხორციელებია, თუმცა გეგმავენ საუნივერსიტეტო მასშტაბით მოხდეს ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა და ცენტრალიზებულად მოხდეს სხვადასხვა პრობლემების მიმართ ბაზრის კვლევის ჩატარება, თუმცა ამ ეტაპზე მათი გამოცდილება არის კითხვარი, რომლის მიხედვითაც ახორციელებენ ბაზრის კვლევას.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა ქოიავამ ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული პორტალი იძლევა კვლევის განხორციელების შესაძლებლობას, შესაბამისი პროგრამის მიხედვით დამსაქმებლებთან ჰქონდათ კომუნიკაცია და გათვალისწინებული იყოს მათი რეკომენდაციები. გარდა ამისა ზოგადად მედიცინის მიმართულებით არამარტო განსახილველი პროგრამის მიმართულებით, არამედ სტომატოლოგიის, ფარმაციის პროგრამის მიმართულებით ბაზრის კვლევა გაკეთდა BSG Research-ის ბიზნეს საკონსულტაციო ჯგუფის მიერ, 2018 წლის კვლევა, რომელიც დანართის სახითაც დევს დამადასტურებელ დოკუმენტაციაში, ეს არის დანართი 1.1.9 და საბჭოს წევრებს შეეძლოთ ენახათ, აღნიშნული საკმაოდ ფართო კვლევა და ნათლად არის ჩამოყალიბებული პროგრამის საჭიროებები, როგორ კადრებს ღებულობენ ორგანიზაციები და რა არის მათთვის მნიშვნელოვანი, რომელი კომპონენტია გასაუმჯობესებელი, გარდა ამისა ჩატარდა დამსაქმებლებთან შეხვედრა, რომლებიც ბაზრის კვლევის ნაწილის მნიშვნელოვანი სეგმენტია და მათი რეკომენდაციებიც იქნა პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის გათვალისწინებული.

OSCE-თან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტთან არსებობდეს პროფესიული განვითარების მედიცინის ცენტრი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მულაჟებითა და OSCE-ის გამოცდისთვის საჭირო იმ სადგურებით, რომელიც უზრუნველყოფს გამოცდის სრულად ჩატარების შესაძლებლობას და პროგრამის ხელმძღვანელის, ნერიმან ცინცაძის სილაბუსის ნაწილშიც არის გაწერილი OSCE-ის გამოცდის ფორმა, როგორც შეფასების მეთოდი. შუალედური დასკვნით გამოცდის სიახლოვესთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებისთვის შუალედური გამოცდა გათვალისწინებულია მე-9 კვირას, ხოლო დასკვნითი გამოცდა მე-15 - მე-16 კვირის შემდეგ, ეს არის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით შემუშავებული რეგულაცია, დასკვნით და შუალედური გამოცდა არ არის ერთმანეთთან ახლო პერიოდში.

პროგრამის ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმების შესახებ მან განაცხადა, რომ ეს არის ბაზა აღნიშნული პროგრამისთვის და ეს ბაზები არის არა მხოლოდ აჭარის რეგიონში არსებული, არამედ ის სარეაბილიტაციო ცენტრებია, სხვადასხვა ბაზები სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას და ბაზების თვალნათლივ ნახვა და ექსპერტებისთვის უფრო აღქმადი გახდა, რადგან მომზადებულ იქნა თითოეული ბაზის შესახებ ვიდეო რგოლები და შესაბამისად უფრო კონკრეტული მონაცემები იქნა მიწოდებული, ვიდეო რგოლში ბაზის წარმომადგენელი აღწერდა იმ მიმართულებებს რასაც გადის სტუდენტი პრაქტიკის დაწყებიდან მიდი დასრულების პერიოდამდე, ალბათ ამიტომ იყო უფრო ნათელი აღნიშნული ბაზების მნიშვნელობა/მრავალფეროვნება, რაც მნიშვნელოვანია, როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტებისთვის.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ დააზუსტა მისივე კითხვა, რომ მას აინტერესებდა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, თუ რამდენ რესპოდენტს გაუგზავნეს კითხვარი და რამდენმა უპასუხა, 80-ს გაუგზავნეს და 32-მა რესპოდენტმა უპასუხა, თუ რამდენმა მათგანმა, თუ დაწესებულებას აქვს პორტალი, სადაც რეგისტრირდებიან და შედიან, თუმცა არ იციან კონკრეტულად ვინ არიან, შეიძლება სტუდენტი დარეგისტრირდეს ან კურსდამთავრებული, სთხოვა აეხსნათ გამოკითხვის პრინციპი თუ საიდან არის 32 რესპოდენტი, 90-დან, 100-დან თუ რამდენი რესპოდენტი იქნა გამოკითხული.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ბაზრის კვლევა ჩატარდა ორ ნაწილად, ერთი, რომელიც ეხება ბიზნეს საკონსულტაციო ჯგუფის მიერ ჩატარებულ კვლევას და მეორე, რომელიც ეხება კონკრეტულ რიცხვს - 32-ს, ეს არის დამსაქმებლების გამოკითხვა ბაზრის კვლევის ანალიზისთვის, მათთან იქნა გაგზავნილი ბმულები და მათ მიერ იქნა შევსებული კითხვარები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ კიდევ ერთხელ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რამდენ დასაქმებულთან იქნა გაგზავნილი აღნიშნული კითხვარი.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ თითქმის ყველამ უპასუხა, რადგან მათთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას მათი რეკომენდაციები და შესაბამისად თითქმის ყველამ შეავსო გაგზავნილი კითხვარი.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ეს არის სტანდარტი 1-ში 1.1.9 დამადასტურებელ დოკუმენტებში.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ შეახსენა, რომ აინტერესებდა სილაბუსი, რომელშიც გაწერილია OSCE-ს მეთოდი.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნერიმან ცინცაძემ განაცხადა, რომ ეს სილაბუსებია „რევმატოლოგია“, „გერიატრია“ და „ფიზიოთერაპია“.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ფხაკაძემ რჩევასთან დაკავშირებულ კითხვაზე განაცხადა, რომ ნამდვილად იყო რეკომენდაცია 2.4 ქვესტანდარტთან მიმართებით, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, რაც შეიძლება მეტი მიმართულებითა და სფეროს მოცვით მომხდარიყო, ექსპერტთა ჯგუფს ინტერვიუების ფარგლებში ჰქონდათ საუბარი პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან და იყო მითითებები ფსიქორეაბილიტაციის ან ონკორეაბილიტაციის მიმართულებით, რატომ არ შეიძლებოდა

დაგეგმილიყო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, შეხვედრას ესწრებოდნენ ექსპერტების ამპლუაში დარგის სპეციალისტიც და დამსაქმებელიც, მათი მხრიდანაც შესაძლებელია აზრის მოსმენა.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება ეს იყო ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელზეც დაწესებულებას აქვს შესაბამისი პასუხი, რადგან პროგრამა და შესაბამისი კურიკულუმი ითვალისწინებს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორებიცაა „ფიზიკური რეაბილიტაცია დაავადებათა კლინიკაში 1“, „ფიზიკური რეაბილიტაცია დაავადებათა კლინიკაში 2“, ასევე არის „საწარმოო პროფესიული პრაქტიკა 1“ და „საწარმოო პროფესიული პრაქტიკა 2“, მათი კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია 28 კრედიტით და 28 კრედიტით განსაზღვრული კურსების მოცულობა, რომელშიც გათვალისწინებულია პრაქტიკის კომპონენტი არის საკმაოდ მოცულობითი პროგრამისთვის და აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულებამ უპასუხა, რომ პროგრამას აქვს გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტი საკმაოდ დიდი მოცულობით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ რჩევებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სხვა პროგრამების ფარგლებში შესაძლოა მოხვედრილიყო რეკომენდაციებში და ამ შემთხვევაში მოხვდა რჩევაში, რადგან რჩევის შინაარსიდან გამომდინარე ნამდვილად გაჩნდებოდა განცდა, რომ უნდა ყოფილიყო რეკომენდაცია, თუმცა რეკომენდაცია იქნებოდა ერთსაფეხურიანი პროგრამის ფარგლებში და ექსპერტთა ჯგუფი თვლის რომ თუ 14 კრედიტს ასწავლის „პათფიზიოლოგიასა“ და „პათანატომიას“ ეს აბსოლუტურად შეიძლება ფარავდეს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში „პათფიზიოლოგიის“ სწავლებას, ამიტომ პირიქით ჭარბობს და არ არის ისეთ ხარვეზი, რომელიც შედეგზე ვერ გაიყვანს სტუდენტს და მოხდა რამდენიმე ასეთი რჩევა რჩევით ნაწილში. გარდა ამისა, რომ მაგ., „ნუტრიციოლოგია“ გახდეს სავალდებულო კურსი საბაკალავრო პროგრამაში ვერ იქნება რეკომენდაცია, რადგან ამ სპეციალობის პირის მომზადება არ არის პროგრამის მიზანი.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ განაცხადა, რომ მას ძალიან მოეწონა აღნიშნული მიდგომა, რადგან ბევრად უფრო განვითარებაზეა ორიენტირებული პროგრამა, როდესაც აღნიშნული ნაწილი რჩევაშია წარმოდგენილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ფხაკაძემ განაცხადა, რომ, მაგ., OSCE და სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს, მაგრამ თანხმდებიან, რომ თანამედროვე შეფასებისა და სწავლების მეთოდები, რომელიც განსაზღვრა მედიცინის დარგობრივმა სტანდარტმა, მოამზადებენ დიპლომირებულ მედიკოსებს ახალი მეთოდებით და ამ ეტაპზე ცოტა გადაჭარბებულიც შეიძლება იყოს მათი ხელალებით მოთხოვნა, რადგან უმჯობესია სწორად დაინერგოს და ექსპერტმა არ თქვას რომელიმე ტრენინგზე „ქართული PBL“ და „ქართული OSCE“, დაინერგოს სწორად იმ ერთსაფეხურიანი პროგრამის ფარგლებში, რომელსაც საერთაშორისო აკრედიტაცია ელოდება და ეს გამოცდილება გაიზიარონ საბაკალავრო პროგრამებში.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მათი ბაზები ტექნიკურად ძალიან კარგად არის აღჭურვილი და ალბათ ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ აჭარაში ბევრი პროგრამა ამ მიმართულებით მუშაობს, ეს არის აჭარის ჯანდაცვის სამინისტროსა და ქ. ბათუმის მერიის პროექტი, სწორედ ამიტომ გამოჩნდა ბევრი სარეაბილიტაციო ცენტრი, რომლებიც ძალიან კარგად არის აღჭურვილი და სჭირდებათ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები, აქედან გამომდინარე დამსაქმებლები აქტიურად თანამშრომლობენ დაწესებულებასთან.

შუალედურ და დასკვნით გამოცდებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ აღნიშნული გამოცდები ყოველთვის ტარდება, თუმცა არა ერთდროულად და ერთმანეთთან ახლოს, რაც შეეხება შეფასებას სთხოვა მიეთითებინა კონკრეტული სილაბუსი, რათა გაეცა კონკრეტული პასუხი. მას რამდენადაც ახსოვს ყველაფერის კრიტერიუმები მითითებულია ყველა სილაბუსში, პრეზენტაციის, ქეისის და ა.შ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დაასახელა სასწავლო კურსის „ფიზიკური რეაბილიტაცია დაავადებათა კლინიკაში“ სილაბუსი, სადაც არაჩვეულებრივად არის გაწერილი კურსის შედეგები, ვარჯიშების ჩატარება, მაგ., სტუდენტს შეუძლია ვარჯიშების ჩატარება

ექიმთან შეთანხმებით პაციენტის ასაკის, დაავადებისა და მიმდინარეობის გათვალისწინებით. მოლოდინი აქვს, რომ ეს არის პრაქტიკული აქტივობა, რომელიც უნდა ჩატარდეს რაღაც ვარჯიშის ჩატარებით, ანუ სტუდენტს მულაჟზე ან ცოცხალ პაციენტზე ჩატარებინებენ კონკრეტულ ვარჯიშს, კრიტერიუმებში კი სილაბუსში არის თემა და ჯგუფში მუშაობა, დაწესებულებას აქვს მცდელობა განმარტოს შეფასების სისტემა, რომ ფასდება შუალედური შეფასება 60 ქულით, მიმდინარე შეფასება - ზეპირი გამოკითხვა და შეფასების სხვა საშუალება - 10 ქულა, ზეპირი გამოკითხვის კრიტერიუმია სემინარი, აკადემიური საუბრის დონე, მსჯელობის უნარი, კამათისა და მოსმენის უნარი, რომელსაც აქვს ჯამური ქულა, თუმცა სხვა შეფასების კომპონენტში არის აკადემიური დონე, პრეზენტაცია, სტრუქტურა, ვიზუალური გაფორმება და დროის მენეჯმენტი, დაინტერესდა ჩანს თუ არა პრეზენტაციიდან უკეთ, რა კავშირშია მასაჟის ჩატარების უნართან, იგივეა მანუალური თერაპია, სადაც მოლოდინია, რომ სტუდენტმა უნდა შეძლოს ხერხემალზე მალეების გამოძებნა დაავადებების შესაბამისად მასაჟის ჩატარება, მკურნალობის მეთოდის შერჩევა, ამ დროს კი ფასდება ან ზეპირი გამოკითხვით, ან ტესტით ან პრეზენტაციით, რამდენად არის შესაძლებელი სწავლის იმ შედეგზე გასასვლელად. მას აქვს მოლოდინი რომ შუალედური გამოცდა მე-8, მე-9 კვირას უნდა იყოს და თუ ფინალურ გამოცდასთან ახლოსაა ხომ არ კარგავს ეფექტს.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საუნივერსიტეტო საგნების გარდა აქვთ კლინიკური საგნები, რომლებიც შეისწავლება კურსიული მეთოდით, რომლის დროსაც განსაზღვრული დროის განმავლობაში აქვთ კურსია, ამიტომ შესაძლებელია იყოს ახლოს გამოცდისკენ და შეიძლება მოხდეს ერთ საგანში, 1 სემესტრში დაემთხვეს და მე-2-ში არა, მაგრამ ძირითადად არ ხდება ასეთი დამთხვევა, მათ არ უფიქრიათ იმაზე, რომ შუალედურ გამოცდას დაეკარგა თავისი უნარი.

იგი დაეთანხმა საბჭოს წევრს და განაცხადა, რომ სილაბუსი არის ცოცხალი ორგანიზმი და ყოველ დახედვაზე შესაძლებელია ახალი აღმოაჩინონ და გააუმჯობესონ. ერთია ახალ ბაკალავრიატზე საუბარი და მეორე პროგრამაზე საუბარი რომლის პერსონალიც ასევე ახალგაზრდები არიან და ნაკლები პედაგოგიური გამოცდილება აქვთ, თითქმის ყველაფერი იხვეწება.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ შუალედური გამოცდა ტარდება მე-9 კვირაში და ფინალური გამოცდა იწყება მე-15 კვირაში.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ზოგიერთ სილაბუსში მე-11 და მე-17 კვირაა მითითებული. შუალედური წერია მე-16 კვირა და მე-17-ში ფინალური.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ შესაძლებელია ეს იყოს ტექნიკური ხარვეზი, რადგან სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით არის განსაზღვრული მე-9 კვირა.

შეფასებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დასკვნითი გამოცდა მოიცავს იმ უნარებს, რომლის შეფასებაც აუცილებელია და აღნიშნულ სილაბუსში გაწერილია შეფასება OSCE-ს გამოცდით, რომ გაირკვევს საბოლოოდ თუ რა სწავლის შედეგზე გავიდა სტუდენტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 21:51

დასრულების დრო: 22:22

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- ა) რეკომენდირებულია პროგრამაში მოხდეს დარგობრივი სასწავლო კურსების გაძლიერება, განსაკუთრებით ფიზიკური თერაპიის, ოკუპაციური თერაპიის და მოძრავი თამაშების შემსწავლელი კურსების სახით. დაზუსტდეს სასწავლო კურსების წინაპირობები: კურსის „იმუნოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის საფუძვლები“ წინაპირობად განისაზღვროს „სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკით“, კურსის „დატვირთვის ფიზიოლოგიური ბიოქიმია“ წინაპირობად განისაზღვროს სამედიცინო ქიმია;
- ბ) რეკომენდირებულია ღრმა დარგობრივი ცოდნის მიღწევის მიზნით, არჩევითი სასწავლო კურსებიდან სავალდებულოში გადატანილ იქნას: ლოგოპედია, პალიატიური მზრუნველობა, პედიატრია, ზოგადი ჰიგიენა, ონკოლოგი;
- გ) რეკომენდირებულია, სწავლა სწავლებისა და შეფასების მეთოდების დაზუსტება საგნების სპეციფიკის გათვალისწინებით.

რჩევები:

- ა) საბაკალავრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პათ. ფიზიოლოგია და პათოლოგიური ანატომია (ჯამში 14 კრ). ისწავლებოდეს ინტეგრირებული კურსის „პათოლოგია“ სახით, შედარებით მცირე მოცულობით.
- ბ) სამკურნალო და სპორტული მასაჟის სასწავლო კურსების გაერთიანება, ინტეგრაცია
- გ) რიგი სასწავლო კურსების: ალერგოლოგია, ნუტრიციოლოგია, გადატანა არჩევით სასწავლო კურსებში.
- დ) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მედიცინის რაც, შეიძლება მეტი მიმართულებითა და სფეროს მოცვით.
- ე) სასწავლო კურსების განხორციელებისას პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, შემთხვევაზე ორიენტირებული სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება გამოყენებული იყოს უფრო აქტიურად.
- ვ) სასურველია, რომ ბიბლიოთეკის განახლება სისტემატურ ხასიათს ატარებდეს.
- ზ) გარე კოლეგიალური შეფასების თანახმად ზრუნვა სტუდენტთა ენის კომპეტენციის გაუმჯობესებაზე, რაც გაზრდის მათ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობას;

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

5. მეხუთე საკითხი: შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	15.06.2020, გადაწყვეტილება №471073
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0186, თბილისი, კ. ქუთათელაძის ქ. №3
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი, ნანა მაჭარაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ დასკვნა სრულიად პოზიტიურია და ის 7 თვიანი პერიოდი, რომელიც მიეცა დაწესებულებას რეკომენდაციების გასათვალისწინებლად, რომელთა რაოდენობაც იყო ოთხი, ყველა შესრულებულია:

1. რეკომენდირებულია, რომ საბაკალავრო პროგრამაში ცალკე კურსის სახით იყოს შემოთავაზებული აკადემიური წერა, ვინაიდან შემდგომ საფეხურზე სწავლის პირობებში, აღნიშნული კურსის გავლა, ძირითადად, სავალდებულო მოთხოვნის სახით არის წარმოდგენილი - უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში დასაბუთებულად არის წარმოდგენილი მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისი არგუმენტაცია და მტკიცებულებები მოცემულია თავად კურსში. „კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკა“, რომელიც გამდიდრდა აკადემიური წერისათვის რელევანტური თემატიკის დაფარვის შესაძლებლობების გაშლით და ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ უნივერსიტეტმა რეკომენდაცია გაითვალისწინა არა ცალკე კურსის სახით კურიკულუმში ინტეგრირებით, არამედ ამ საგნისთვის რელევანტური თემატიკის გაფართოებითა და სიღრმისეული სწავლების სისტემის შეთავაზებით (ამჟამად კურსის აკადემიური წერის ნაწილს ეთმობა მეტი სასწავლო კვირა). გასათვალისწინებელია, რომ აკრედიტაციის ჯგუფის შეფასებისას აღნიშნული რეკომენდაციის წარმოდგენის საფუძველი მდგომარეობდა იმაში, რომ შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, სტუდენტს დადასტურებულად, არა რომელიმე კურსში (ამ შემთხვევაში კურსით - „კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკა“) ინტეგრირებით, არამედ ცალკე საგნის სახით ჰქონოდა იმის მტკიცებულება, რომ საბაკალავრო საფეხურზე გავლილი ჰქონდა აკადემიური წერის კურსი. საერთო ჯამში, შესაძლებელია დავეთანხმოთ, უნივერსიტეტის არგუმენტაციას. თუმცა, რისკის სახით კვლავ რჩება მომავალში სტუდენტების მხრიდან მსგავსი დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, რაც დამატებით საქმის წარმოებასა და დადასტურებებს მოითხოვს უნივერსიტეტისგან, რის მართვის მიზნითაც იყო შემოთავაზებული აღნიშნული რეკომენდაცია;

დანარჩენ 3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზუსტად არის წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ხარისხი:

2. პოლიტიკის თეორიის კურსმა, რეკომენდირებულია, რომ მოიცვას ასევე თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერების თეორიის ნაწილიც. წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლის შედეგებთან თავსებადობა ნაკლებად იქნება მიღწეული. დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა აკრედიტაციის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაცია და მოახდინა პოლიტიკის თანამედროვე თეორეტიკოსების ინტეგრირება, რაც მე-19 საუკუნის შემთხვევაში ხორციელდება კარლ მარქსის, ჯონ სტიუარტ მილის, მაქს ვებერის, ხოლო მე-20 საუკუნიდან ფონ ჰაიეკის, ჰანა არენდტის, ჯონ როულსის, ი. ჰაბერმასისა და მიშელ ფუკოს ნაშრომების ინტეგრირებით;

3. რეკომენდირებულია, სრულად თავიდან გაიწეროს საჯარო მმართველობის საფუძვლების კურსი, რათა კურსის სტანდარტებთან მოვიდეს შესაბამისობაში და იმ სახით წარიმართოს სწავლება, რაც ანალოგიური სახელწოდების მატარებელი კურსების შემთხვევაშია შეთავაზებული. ამჟამად წარმოდგენილი სილაბუსის თემატიკა და შესაბამისი ლიტერატურა ნაკლებად შესაბამისობაშია საჯარო მმართველობის სტანდარტებთან და სხვა კურსის თემატიკაში გადადის - დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა აკრედიტაციის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი აღნიშნული რეკომენდაცია და მოახდინა კურსის მოდიფიცირება. კურსის თემატიკა, ისევე როგორც შესაბამისი სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის

ჩამონათვალი გაცილებით რელევანტურია და შეესაბამება ამ სახელწოდებით შეთავაზებული საგნის კონცეფციას, შინაარსსა და მიზნებს;

4. რეკომენდირებულია, რომ კურსების შეფასების კომპონენტებს, რომელიც დღეს საკმაოდ სტანდარტიზებულია კურსების სპეციფიკურობის პირობებში, თან ახლდეს შესაბამისი დეტალური აღწერილობა, რათა ჩანდეს ის კონკრეტული მოთხოვნები, რასაც კურსის ავტორები უყენებენ სტუდენტებს. ამ თვალსაზრისით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკა, რომელიც ამ სტანდარტიზებული მოდელის მიღმა კონკრეტულ სპეციფიკურობასა და დეტალიზაციას ითვალისწინებს, სასურველია, რომ ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სათანადოდ იყოს მიწოდებული - დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა აკრედიტაციის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაცია და მოახდინა კურსის შეფასების კრიტერიუმების დეტალური გაწერა შესაბამისი „ბენჩმარკებით“. მისაღებია აქვე, ანგარიშში წარმოდგენილი განმარტებაც უნივერსიტეტში მოქმედი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასების შედეგებისა და მათი გამოყენების“ შესაბამისი პოლიტიკის შესახებ, რომელიც გამორიცხავს შეფასების სტანდარტიზებულ მართვას. მოცემული და აღწერილია ის დამატებითი ინსტრუმენტებიც, რომლითაც უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური ზრუნავს აკადემიური პერსონალის უნარების გაუმჯობესებაზე, კერძოდ ტრენინგების და მასში მონაწილეთა ჩამონათვალი.

ექსპერტის თქმით ამჟამად წარმოდგენილ სილაბუსებში რეკომენდაციები მკაფიოდ არის წარდგენილი და კითხვები არ ჩნდება, შესაძლებელია ითქვას, რომ შეფასებას, რომელსაც იმსახურებდა დაწესებულება განსახილველი პროგრამის პირობებში ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ გადავიდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტს. მან გაცხადა, რომ მისი კითხვები მოიცავს სამივე რეკომენდაციას, დაწესებულების მხრიდან დაინტერესდა თუ რა იყო ის პრინციპული მოსაზრება, რომ „აკადემიური წერის“ კურსი არ დაამატეს, საბჭოს წევრი არ დაეთანხმა ექსპერტის შეფასებას, რადგან რჩევებში იყო პრობლემა დიზაინთან დაკავშირებით, როდესაც დაწესებულებას აქვს სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი და რეალურად პროგრამის ფარგლებში სხვა კურსი არ ეხება აკადემიურ წერას ძალიან მნიშვნელოვანია იყოს „აკადემიური წერა“, როგორც სასწავლო კურსი, ის თვალსაზრისი, ფარავს თუ არა „კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკა“ 15 კვირიდან აკადემიური წერის კომპონენტში შედის მხოლოდ 4 კვირა, ანუ არ იფარება ისეთ საკითხები, როგორცაა სხვადასხვა სახის ციტირება, მაგ., როგორ უნდა გაკეთდეს არგუმენტირებული ესსე, საბაკალავრო ნაშრომი არის სავალდებულო და ამ კუთხით ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, თვითონ 9 შედეგიდან, მხოლოდ 3 გადის აკადემიურ წერაზე, ასევე ძირითად ლიტერატურაში 2008 წლის სახელმძღვანელო რაც არის დამატებული მისი ინფორმაციით ნამდვილად არ არის აკადემიური წერა სოციალურ მეცნიერებებში, შესაძლებელია უახლესი ლიტერატურა არ არსებობს აკადემიური წერის სოციალურ მეცნიერებებში, მაგრამ სასურველი იყო აკადემიური წერა დამატებოდა დარგობრივი სახელმძღვანელოთი და არა ზოგადად ჰუმანიტარულ მეცნიერებებში არსებული ლიტერატურით. ამ კუთხით სილაბუსში ერთი კვირა ეთმობა სლაიდების ფორმატს, შრიფტს, ფორმას, ფერებს, ამას ეთმობა ერთი შეხვედრა, მაშინ, როდესაც ასეთი შეხვედრა არ არის არგუმენტირებული ესსე-ს წერის შესახებ, ამ კუთხით საბჭოს წევრი არ მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია შესრულებულია.

„პოლიტიკის თეორიის“ სილაბუსთან დაკავშირებით დაეთანხმა, რომ სილაბუსში დამატებულია ავტორები, რომლებიც ექსპერტებს ჰქონდათ მითითებული. საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ თუ მასალას ჩახედავენ თითქოს ხელოვნურია აღნიშნული დამატება, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია მაკიაველი, მაგრამ მას ეთმობა 2 კვირა, როდესაც ვებერი და სტიუარტ მილი მოთავსებულია ერთ კვირაში და ასევე სხვა ავტორები, თითქოს გადანაწილება აღარ მოხდა, რადგან აქცენტი გაკეთებულია მე-18 საუკუნემდე, შემდეგ გაითვალისწინეს ექსპერტთა მოსაზრებები, მაგრამ შემჭიდროვებულ 4 კვირაში სცადეს დაეფარათ 4 საუკუნე. გარდა ამისა თუ წინა ავტორებზე ძირითადად მითითებულია ქრესტომათული მასალა ანუ განიხილება,

როგორც თითოეულ ავტორის მოსაზრება, ახალ დამატებულ მასალაში არის სახელმძღვანელოს ტიპის მასალა, რას წერდნენ ფუკოზე და არა ის, თუ რას წერდა თვითონ, მისთვის გასაგებია ფუკოს პრობლემა, რადგან შესაძლებელია ქართულად არც არის მასალა და ეს ერთადერთი გამოსავალი იყო.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ არ ეხება მესამე რეკომენდაციას, რადგან თუ აღნიშნული საკითხის სპეციალისტმა შესრულებულად მიიჩნია შესაბამისად რეკომენდაცია შესრულებულია.

მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია იყო ზოგადი სახის და მოიცავდა კურსების შეფასების კომპონენტების სტანდარტიზებას. საბჭოს წევრები ხედავდნენ მხოლოდ სამი საგნის სილაბუსს და დაინტერესდა თუ რამდენად იყო საკმარისი სამი საგნის სილაბუსის გადახედვა თუნდაც ეს სამი სილაბუსი აკმაყოფილებდეს, რამდენად იძლევა წარმოდგენას მთელ პროგრამაში სილაბუსების სტანდარტიზაციის ხარისხზე, რადგან რეკომენდაციაში არ იყო დაზუსტებული რომელ კურსებს ეხებოდა, თუ აღნიშნულ სამ სასწავლო კურსს ეხებოდა გასაგებია, მაგრამ იყო ზოგადი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ვიცე-რექტორი, დიმიტრი გეგენავა მიესალმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტს და პირველ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტის პოზიცია არის პრინციპული და არ ეხება მხოლოდ ერთ პროგრამას, ის რომ „აკადემიური წერა“ არ ჰქვია საგანს არ ნიშნავს, რომ არ ისწავლება აკადემიური წერის საკითხები, აღნიშნული სილაბუსი შემუშავებულია ბერლინის პედაგოგიურ უნივერსიტეტთან ერთად და სწორედ მათი რეკომენდაციით არის საკითხები გადანაწილებული, კურსი აპრობირებული და დანერგულია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში დაახლოებით 7 წელზე მეტია, აღნიშნული კურსების საფუძველზე მომხდარა არა ერთი საბაკალავრო ნაშრომის დაცვა სხვა პროგრამებზე, როგორებიცაა საერთაშორისო ურთიერთობები, ბიზნესი, თეოლოგია და სხვა, როგორც ჰუმანიტარულ, ისე სოციალური მეცნიერების დარგებში, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით იგი სრულიად აკმაყოფილებს აკადემიური წერის იმ ფუნდამენტურ გამოწვევებს, რომლებიც ამ შემთხვევაში საჭიროა და არ დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ აქ არის მხოლოდ 4 კვირა მოცემული, სრული სემესტრის მოცულობა არის 15 კვირა, თუმცა 13 სასემინარო მასალაა განაწილებული, 13-დან 8-ში არის სრული ასახვა აკადემიური წერის უნარ-ჩვევებისა და ფუნდამენტური მასალის, რომელიც სჭირდება სტუდენტს, რასაც ექსპერტებიც დაეთანხმნენ, რომლებმაც სხვა პროგრამები შეაფასეს, როგორც აკრედიტაციის საბჭო, რომლმაც გასულ წელს ზოგიერთი ანგარიში მოისმინა.

რაც შეეხება მეორე საკითხს, სრულიად აკადემიურ თავისუფლებას მიემხრობიან და ეს არის პროფესორის გადასაწყვეტი თუ რამდენ კვირას დაუთმობს და როგორი თანმიმდევრობით გაივლის აღნიშნულ პოლიტიკურ თეორიებს და მათ შორის, იმ თეორეტიკოსებსა და მოძღვრებებს, რომლებიც მას პრიორიტეტულად მიაჩნია. ხელოვნურად არაფრის დამატება არ მომხდარა, ოთხ ლექციაზე გადანაწილდა და ფუკოსთან დაკავშირებით დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ პირველწყარო ძალიან რთულია და ვინაიდან ისწავლება ქვედა სემესტრებში ვერ მოხერხდებოდა სხვანაირად მიწოდება, მხოლოდ სურვილების დონეზე შემოფარგვლაა შესაძლებელი ან უნდა აწიონ მაღალ დონეზე, რაც სრულიად გაუმართლებელია თავისი არსით კურიკულუმის სტრუქტურიდან გამომდინარე, იქ მხოლოდ რამდენიმე სილაბუსზე იყო საუბარი და გამორჩენილი იყო შეფასებათა სისტემა, დანარჩენ შემთხვევებში მსგავსი შეფასებები და სტანდარტიზაცია არ არსებობდა, ჩაშლილი იყო ზედმიწევნით, თითოეული კრიტერიუმი გაწერილი იყო დაწვრილებით და არ არსებობდა მსგავსი პრობლემა ყველა სილაბუსთან მიმართებით, შესაბამისად დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტს შეფასებებისა და საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირებისთვის. დაწესებულებას მიაჩნია, რომ სრულად გაითვალისწინეს აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოდგინათ მოსაზრებები.

ექსპერტმა აკადემიურ წერასთან მიმართებით განაცხადა, რომ დანაკლისის შთაბეჭდილებას სილაბუსი ნამდვილად ტოვებს, მაგრამ ლიტერატურა, რაც მითითებულია იქ უკვე იგრძნობა, რომ სიღრმისეული განმარტება და ის ნაკლოვანება, რაც შეიძლება დაენახათ სახელდებებში კვირის განმავლობაში შეხვედრების პირობებში ფიქსირებული სახელწოდებების უფრო მეტად იშლება, ტექსტი, სტრუქტურა, აგებულება, წყაროებზე მუშაობა, ციტატა, პერიფრაზირება, პლაგიატი, პროფესიული ეთიკის სტანდარტები და ა.შ. უბრალოდ ლიტერატურიდან გამომდინარე არის კონკრეტული ესსეების პირობებში ახსნილი, ავტომატურად საბჭოს წევრის სურვილი, არგუმენტირებული ესსე, კრიტიკის ნაწილი იყოს დაფარული, ლიტერატურიდან გამომდინარე ამ მხრივ დანაკლისის შევსების საშუალებას იძლევა. ექსპერტი იმედს იტოვებს, რომ აქცენტი სალექციო ფორმატის პირობებში შენარჩუნებული იქნება და სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები დეტალურად იქნება განხილული. აკადემიური წერის ნაწილში არის დავალებების კომპონენტი აქტიურად წარმოდგენილი, აკადემიური წერა წარმოუდგენელია პრაქტიკული ნაწილის ფარგლებში და ეს დაწესებულებას აქტიურად აქვს წარმოდგენილი. მომავლისთვის კარგი იქნება ლიტერატურაში ფიქსირებული აქცენტები სხვადასხვა ტიპის წერით დოკუმენტებზე, არგუმენტირებული ესსეზე, კრიტიკაზე და საბაკალავრო ნაშრომის პროექტზე იყოს ინტეგრირებული.

სილაბუსებში ფიქსირებულ შეფასების ჩაშლილ ვერსიასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი აფასებდა და რეკომენდაცია გაცემული იყო მთელ პროგრამასთან მიმართებით, ვინაიდან კითხვები, რაც ჩნდებოდა უშუალოდ რეკომენდაციებთან დაკავშირებით იმ სილაბუსებთან მიმართებაში იყო გამოსწორებული და ავტომატურად იყო დაშვება, რომ ეს ნაწილი ყველგან არის გათვალისწინებული, ასეთ ჩაშლილი და „ბენჩმარკის“ დონეზე აგებული შეფასების სისტემა მომავალში გამოყენებული იქნება სამოდელოდ. დაწესებულების ვიცე-რექტორის კომენტარიდან გამომდინარე სწორედ ასეთი დადასტურებაა. პოლიტიკურ თეორიასთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ რაც არ უნდა ეცადონ ყველაფრის დაფარვას, განსაკუთრებით თანამედროვე პოლიტიკური თეორიის ავტორები, რომლებიც მხოლოდ პოლიტიკური თეორიებით არ განისაზღვრებიან და ჩამოთვლილი ავტორებიდანაც ჩანს, ყოველთვის არის დანაკლისი ასეთი კურსის აგების პირობებში, როგორ და რანაირად კეთდება აქცენტი, გარკვეულწილად დიზაინის ელემენტებიც არის რომელ ავტორზე კეთდება აქცენტი, ვისზე მახვილდება მეტი ყურადღება და ა.შ. ამიტომ აქ არის წმინდად აქცენტების თემა, იგივე მაკიაველისთვის მეტი ყურადღების დათმობა, რადგან პირველწყაროდან გამომდინარე მიმდინარეობს უშუალოდ მუშაობა და რიგ ავტორებთან მიმართებაში მიმოხილვითი ლოგიკაა, შედეგი ის უნდა იყოს, რომ სტუდენტს წარმოდგენა შეექმნას და შემდგომი გაღრმავების საშუალება ჰქონდეს პოლიტიკური თეორიების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, რომ თანამედროვე პოლიტიკური თეორია არ იყო დაფარული ამ შემთხვევაში შევსებულია, თუმცა სიღრმეებსა და აქცენტებზე, თუ რომელი ავტორი უფრო მეტად გაიშლება შესაძლებელია მომავალში აქტიური მუშაობა.

ექსპერტის მოსაზრებით დაწესებულება პოზიტიურად მიუდგა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს და ის აქცენტები, რაც გააკეთეს ავტომატურად გაღრმავდება, გავრცელდება და იქნება გათვალისწინებული, მათ შორის ის რეკომენდაციები და სურვილები, რომელიც სხდომის განმავლობაში გამოითქვა.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ განაცხადა, რომ პოლიტიკური თეორიების შედეგებში არის პოლიტიკური იდეოლოგიები, რომელიც არის ცალკე საგანი და ეს ალბათ ტექნიკური ხარვეზია, რომელიც უნდა გამოსწორდეს, პოლიტიკური თეორია პოლიტიკური იდეოლოგიის შედეგზე ვერ გავა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 22:54**

დასრულების დრო: 22:58

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს სხდომა დასრულდა 23:00 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე
იმნაძე ნინო

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ